

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

გიორგი დობორჯგინიძე

ბიპოლარული სისტემის მსხვერვა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის
სამხედრო დოქტრინის რევიზია XX-XXI საუკუნის მიჯნაზე

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:
პროფესორი ირაკლი გორგილაძე

ბათუმი
2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი დობორჯგინიძე

24.11.2023

სარჩევი

შესავალი.....	4
თავი I	
ნატოს შექმნის ისტორია - პერსპექტივები და გამოწვევები.....	13
1.1 ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (ნატო) შექმნის ძირითადი მიზეზები და ნატო ცივი ომის პერიოდში.....	13
1.2 ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია-ნატოს ტრანსფორმაცია ცივი ომის შემდგომ პერიოდში და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები (რეალიზმი და ინსტიტუციონალური ლიბერალიზმი).....	32
თავი II	
ნატო „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ პერიოდში, საერთაშორისო სამხედრო მისიები	40
2.1 ნატოს ვალდებულებები (ჩართულობა, საქმიანობა) კოსოვოში.....	40
2.2 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენები და მდგრადი თავისუფლების ოპერაციიდან (OEF) საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალებამდე (ISAF).....	68
თავი III	
ნატოს გეოპოლიტიკური პრიორიტეტები.....	93
3.1 რუსეთსა და ნატოს შორის ურთიერთობები ურთიერთთანამშრომლობისა და კონფრონტაციის ფონზე.....	93
3.2 ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) და საქართველოს ურთიერთობები.....	106
დასკვნა.....	122
გამოყენებული ლიტერატურა.....	130

შესავალი

თემის აქტუალობა. თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში ამა თუ იმ სახელმწიფოს უსაფრთხოება დიდწილად არის დამოკიდებული რეგიონალურ და გლობალურ დონეზე განვითარებულ ინტეგრაციულ პროცესებზე. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიღწევა შეუძლიათ სწორედ იმ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ უნარი რეალურად და შესაბამისად პრაგმატულად შეაფასონ საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენები და შეიმუშაონ შესაბამისი ახლო მომავალში განსახორციელებელი სტრატეგიები.

„ცივი ომის“ დასრულების შემდგომ პერიოდში მსოფლიო პოლიტიკაში განვითარებულმა მოვლენებმა კარდინალურად შეცვალა აქამდე არსებული ძალთა ბალანსი. მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ძლიერების ზრდის პარალელურად აქტიურად მიმდინარეობდა პოლიტიკურ ძალთა ახალი გადანაწილება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არსებული ვითარების გათვალისწინებით, სხვადასხვა რეგიონებში აქტიურად ვითარდება ქვეყნებს შორის პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაცია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირი სტრატეგიული უპირატესობით სარგებლობდა და დიდი გავლენა ჰქონდა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ტერიტორიებზე, თუმცა საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური მიზნები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპით. მას სურდა გავლენის სფეროს გაფართოება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებშიც, კერძოდ საფრანგეთში, იტალიასა და საბერძნეთში. 1946 წლის 5 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ფულტონში უინსტონ ჩერჩილმა ყურადღება გაამახვილა და პირველად წარმოსთქვა ტერმინი „რკინის ფარდა“ (Churchill, 1953:277).

XX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს ევროპის კონტინენტზე მშვიდობის შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს აშშ-ს როლი და პოზიცია, რომელიც ე.წ. შეკავების დოქტრინის სახელითაა ცნობილი - აშშ-ს პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის დოქტრინა, რომლის მთავარი არსი ორ დიდ იდეოლოგიას შორის კრიტიკულ შეუთანხმებლობაში მდგომარეობდა. დოქტრინა ასევე ითვალისწინებდა ევროპის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. შეკავების დოქტრინის ავტორი

ამერიკელი დიპლომატი ჯორჯ ფ. კენანი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის გავლენის შემცირებას ევროპის კონტინენტზე. ეს დოქტრინა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა განახორციელა. მისი გეგმა „მარშალის გეგმის“ სახელითაა ცნობილი. 1948 წლის 2 აპრილს აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი „ევროპის აღორძინების“ შესახებ, რომლის მთავარი მიზანი ეკონომიკურ დონეზე კომუნიზმის შეკავება გახლდათ. „მარშალის გეგმის“ შედეგად 16-მა ევროპულმა სახელმწიფომ აშშ-სგან 17 მილიარდი დოლარის დახმარება მიიღო (ჩიტაძე, 2008:21).

1947 წელს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა, ჯორჯ მარშალმა, ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოსვლისას აუდიტორიას გააცნო გეგმა, რასაც შემდგომში „მარშალის გეგმა“ ეწოდა. მარშალმა თავის გამოსვლაში აღწერა ის უდიდესი ზიანი, რომელიც ევროპას მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მიაღდა და რომ ევროპის სახელმწიფოები უდიდეს სიდუხჭირესა და უიმედობაში ცხოვრობდნენ. მარშალმა თავის მოხსენებაში აღწერა, თუ რისი გაკეთება შეეძლო აშშ-ს და რა გავლენა შეიძლებოდა ჰქონოდა ევროპის ეკონომიკურ განადგურებას ამერიკის შეერთებულ შტატებზე. მიუხედავად ამისა, ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა უარი თქვეს აშშ-ს დახმარებაზე. მარშალის გეგმა ითვალისწინებდა აშშ-ს დახმარებას ევროპის რეკონსტრუქციასა და ეკონომიკურ განვითარებაში. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის მარშალის გეგმის დახმარების გასანაწილებლად შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტი. შემდგომში ეს კომიტეტი ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციად გადაკეთდა. პროგრამა 1952 წლამდე გაგრძელდა. მარშალის გეგმის განხორციელებით ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად ჩაერთო დასავლეთ ევროპული ქვეყნების მიმდინარე პროცესებში.¹

1948 წლის მარტში დასავლეთ ევროპის ხუთმა სახელმწიფომ - ბელგიამ, დიდმა ბრიტანეთმა, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს „ბრიუსელის პაქტს“, რომელიც მიზნად ისახავდა მჭიდრო თანამშრომლობასა და თავდაცვის საერთო სისტემის შექმნას, რომელიც საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მიზნებს წინ აღუდგებოდა.

¹ <https://old.infocenter.gov.ge>

სწორედ „ბრიუსელის პაკტი“ გახდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაარსების საფუძველი. ამ პაკტის ქვეყნები ერთიან თავდაცვის სისტემაში ჩართვის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ აშშ-სთან, კანადასთან, დანიასთან, ისლანდიასთან, ნორვეგიასა და პორტუგალიასთან. მოლაპარაკებები 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონის ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა, შეიქმნა უსაფრთხოების ერთიანი სისტემა, რომელიც ალიანსში შემავალი წევრი ქვეყნების თანამშრომლობას ეფუძნებოდა. ხელშეკრულება 14 პუნქტისაგან შედგებოდა, თუმცა მეხუთე პუნქტი ხელშეკრულების ქვაკუთხედია, რომლის თანახმადაც თავდასხმა ერთ წევრ სახელმწიფოზე განიხილება თავდასხმად მთლიანად ალიანსზე.

მოგვიანებით, 1952 წელს, ამ ხელშეკრულებას თურქეთი და საბერძნეთი შეუერთდა. 1955 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 1982 წელს ესპანეთი, 1990 წელს გერმანიის გაერთიანების შედეგად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ცივი ომის დასრულების შემდგომ აქტიურად დადგა საკითხი ნატოს შემდგომი არსებობის საჭიროებაზე, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ნატოს გაფართოება შეუქცევადი გახდა და 1999 წელს უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა გახდნენ ნატოს წევრები. 2007 წელს ნატოში გაწევრიანდა ევროპის შვიდი სახელმწიფო: ბულგარეთი, ლატვია, ლიეტუვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და ესტონეთი. ალბანეთი და ხორვატია 2009 წლის 1 აპრილს გახდნენ ნატოს წევრები. 2017 წლის 5 ივნისს კი მონტენეგრო ალიანსის 29-ე წევრი გახდა. 2020 წლის 27 მარტს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 30-ე წევრი გახდა ჩრდილოეთ მაკედონია, მას შემდეგ, რაც ათენსა და სკოპიეს შორის ისტორიული შეთანხმება მოხდა და სახელწოდებასთან დაკავშირებული დავა მოგვარდა. 2023 წლის 11 აპრილს კი ნატოს რიგებს შეუერთდა ფინეთი, რის შედეგადაც ალიანსის საზღვარი რუსეთთან გაორმაგდა. ნატოში გაწევრიანებით ფინეთმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა შეცვალა.²

მეოცე საუკუნის დასასრულს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში მოხდა დიდი რევოლუციური მოვლენები: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დემოკრატიული ძალების ხელისუფლებაში მოსვლა, საბჭოთა კავშირის დაშლა და ბიპოლარული სისტემის მსხვრევა.

² <https://old.infocenter.gov.ge>

ცივი ომის დასრულებამ ძირეულად შეცვალა ძალთა ბალანსი მთელ მსოფლიოში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი გაჩნდა უზარმაზარი გეოპოლიტიკური სივრცე, სადაც დასავლეთს ჰქონდა შესაძლებლობა დაეცვა თავისი საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, დემოკრატიულ ქვეყნებს შორის სამხედრო დაპირისპირების არ არსებობამ, ადამიანის უფლებების პრობლემის უმაღლეს დონეზე განხილვამ და მსოფლიო ასპარეზზე ტოტალიტარული რეჟიმის პოზიციების შესუსტებამ რადიკალურად შეცვალა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა.

ცივი ომის დასრულება, საბჭოთა კავშირის დაშლა და ბიპოლარული სისტემის მსხვერვა არ ნიშნავდა ევროპის კონტინენტზე სტაბილური წესრიგის დამყარებას. პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის, ამერიკელი პროფესორის ჯ. მეარშაიმერის თქმით, ბიპოლარული სისტემა შეიცვალა მსოფლიოს ანარქიული მოწყობით, კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თავი იჩინა ეკონომიკურმა პრობლემებმა, სასაზღვრო დავებმა და კონფლიქტებმა მეზობელ სახელმწიფოებს შორის და ა.შ. (Mearsheimer, 1990:52). ამ კონფლიქტებს შორისაა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მომხდარი კონფლიქტი. კონფლიქტებმა ნათლად ცხადყო, რომ დასავლეთი დადგა ევროპაში სიტუაციის დესტაბილიზაციის წინაშე, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა მის სამომავლო ინტერესებს. ეს კონფლიქტი ნატოს ჩარევის შედეგად გადაწყდა აშშ-სა და ევროპის ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე. ამ ომში ნატოს გამარჯვება ნიშნავდა მისი პოზიციის უფრო მეტად განმტკიცებას.

იუგოსლავიის მოვლენებმა აჩვენა, რომ პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციის ძირითადი პრინციპები კვლავ დომინანტური იყო ახალი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში. ეს ნიშნავდა საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვას სამხედრო ძალის გამოყენებით და კონფლიქტის ამ გზით მოგვარებას. რაც უფრო დიდი სარგებელი მოიპოვა დასავლეთმა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, მით უფრო დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მას კონტინენტზე წესრიგის დასამყარებლად. ახალმა რეალობამ ცხადყო, რომ ნატომ წამყვანი პოზიცია დაიკავა დასავლეთის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის მშენებლობაში.

ნატოს შექმნის ძირითადი მიზეზი პირდაპირ კავშირში იყო ცივ ომთან, რომელიც დასავლეთის გამარჯვებით დასრულდა, თუმცა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს ჰქონდა უზარმაზარი რესურსი, რომლის მეშვეობითაც უნდა შეენარჩუნებინა წამყვანი პოზიცია კონტინენტზე. ასევე, აქტუალური გახდა ალიანსის ახალი ფუნქციების განსაზღვრა. 1990-იან წლებში ევროპაში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ნატომ, როგორც ბიპოლარული სისტემის არქიტექტურის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა ელემენტმა, პოსტბიპოლარული სისტემის დროს არა მხოლოდ შეინარჩუნა თავისი პოზიცია, არამედ უფრო გააძლიერა, რითაც ამ ალიანსმა შეიძინა გლობალური მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის აქტუალურია ნატოს ადაპტაციის პრობლემის შესწავლა პოსტბიპოლარულ სამყაროში: ალიანსის ფუნქციონირების გაგრძელება, სტრატეგიული გადაწყვეტილებები, ამ ორგანიზაციის ტრანსფორმაცია და მართვის მექანიზმები, ასევე კონკრეტული სუბიექტების (აქტორების) პოლიტიკური ინტერესები. ამ ფენომენის შესწავლა უადრესად მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ როგორ გარდაიქმნა და ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა პოსტბიპოლარულ ეპოქაში. მიუხედავად იმისა, რომ ცივი ომი დასრულდა და დასავლეთმა შეძლო კომუნიზმზე გამარჯვება, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ დასავლეთმა შეძლო ყველა სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტა. შესაბამისად, ალიანსის შენარჩუნება და მისი ტრანსფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

საერთაშორისო ურთიერთობების პოსტბიპოლარული სისტემა განაგრძობდა არსებობას პოლიტიკური რეალიზმის ფილოსოფიის პრინციპების მიხედვით. შეიქმნა სხვადასხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტური სიტუაციები, რომელსაც თან ახლდა საომარი მოქმედებები, მასობრივი მიგრაცია ევროპაში მესამე სამყაროს ქვეყნებიდან, ეს ყველაფერი კი დიდ საფრთხეს უქმნიდა დასავლური სამყაროს ინტერესებს. დასავლეთს უკვე აღარ ეშინოდა ტოტალური აგრესიის, თუმცა ის სხვა, ნაკლებად პროგნოზირებადი საფრთხეების წინაშე აღმოჩნდა, მაგალითად, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენები, რომლებმაც უფრო მკაფიოდ წარმოაჩინეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საჭიროება.

საბჭოთა კავშირის დაშლამ დასავლეთისათვის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ვითარება შექმნა. მან უფრო წარმატებით დაიწყო თავისი ინტერესების დაცვა არა

მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, არამედ ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონშიც. სპარსეთის ყურის კრიზისმა, სადაც ალიანსის რესურსები ირიბად იყო ჩართული, აჩვენა მისი სამხედრო ძალა. ნატოს ყურადღების ზრდა ზონალურ პრობლემებზე მოწმობდა ამ ორგანიზაციის ტრანსფორმაციის აუცილებლობას. ეს განსაკუთრებით ხაზგასმული იყო „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ღონისძიებების დროს.

1991 წლის ნოემბერში რომში ალიანსის სამიტზე მიღებულ იქნა „ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია“, რომელშიც ასახული იყო ალიანსის სამომავლო ამოცანები.

ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღებამ დაასრულა დებატები მკვლევრებს შორის ნატოს არსებობაზე და გამოკვეთა მისი არსებობის აუცილებლობა.

კვლევის მიზნები და ამოცანები: წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ნატოს ტრანსფორმაციის პრობლემის შესწავლა ცივი ომის დასრულების პირობებში, ევროატლანტიკური ალიანსის როლის წარმოჩენა მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში XX-XXI სს მიჯნაზე, მისი გაფართოების ეტაპები; ასევე, იმის გაანალიზება, თუ რა როლი აკისრია ამ ორგანიზაციას დღეს და გვევლინება თუ არა ის მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტად.

ჩვენი კვლევის ამოცანაა:

- გამოიკვეთოს ნატოს იდენტობის არსი XX საუკუნის მიწურულს „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ;
- ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტში მონაწილეობის მაგალითზე ალიანსის იდენტურობის გამოვლენა;
- განიხილოს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი, ნატოს სამხედრო მისია ავღანეთში და ნატოს გეოპოლიტიკური ამოცანები;
- ნატოსა და რუსეთის ურთიერთობების ქრონოლოგიური შესწავლა, ურთიერთთანამშრომლობა და კონფრონტაცია;

- საქართველოს ნატოსკენ ინტეგრაციის გზის კვლევა და ნატო-საქართველოს ურთიერთობებში პერსპექტივების ძიება.

კვლევის მეთოდები: სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას დავეყრდენით სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებულ ძირითად მეთოდებს, ისეთებს, როგორცაა შედარების მეთოდი, დოკუმენტების შესწავლა, კონტენტ ანალიზი. ასევე, სამეცნიერო ლიტერატურის, ინტერნეტ რესურსებისა და მოწინავე გამოცდილების დახარისხების, შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის მეთოდებს. ნაშრომზე მუშაობისას განხილულ იქნა არსებული თეორიული მასალა, გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი და მონაცემთა ანალიზი, პოლიტიკის კვლევის ანალიზი, ისტორიული წყაროების მოპოვება და დამუშავება. საერთო ჯამში, ჩატარებული კვლევები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: 1) ინფორმაციის მოპოვება; 2) მონაცემთა კლასიფიკაცია; 3) სიტუაციური ანალიზი; 4) ისტორიული წყაროების ანალიზი.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ვეყრდნობით მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზასა და ლიტერატურას. ნაშრომში დიდ ადგილს ვუთმობთ სტივენ უოლტის, კენტ ვოლცის მიერ შემუშავებულ და შემდგომში მათი და სხვა ავტორების მონაწილეობით განვითარებულ სახელმწიფოების უსაფრთხოების კომპლექსის კონცეფციას. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას დიდი დახმარება გაგვიწია ნიკა ჩიტაძის წიგნმა „ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“. ამ სახელმძღვანელოში ავტორს განხილული აქვს ნატოს შექმნის ძირითადი მიზეზები, ორგანიზაციის როლი, მიზნები და ამოცანები „ცივი ომის“ პერიოდში, სტრატეგიული კონცეფციები, რა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა ორგანიზაცია „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ პერიოდში. ასევე გამოვიყენეთ ზურაბ აბაშიძის წიგნი „ცივი ომი“, სადაც ავტორი განიხილავს ცივი ომის დროინდელ საბჭოთა კავშირისა და ნატოს პოლიტიკას. ნაშრომზე მუშაობისას შევისწავლეთ სხვადასხვა კომუნიკები, დეკლარაციები, საერთაშორისო განიარაღების ხელშეკრულებები, რომლებიც მიღებულ იქნა სხვადასხვა დროს გამართულ ნატოს სამიტებზე. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი სამიტია 1991 წელს რომში გამართული სამიტი, სადაც დამტკიცდა „ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია“. მისი

შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავანალიზოთ ნატოს სამხედრო დოქტრინის ცვლილების არსი და მნიშვნელობა XX-XXI სს მიჯნაზე. კომუნიკაციებისა და დეკლარაციების შესწავლა დაგვებმარა გავგეანალიზებინა ალიანსის პოლიტიკური რეაქციები სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას მოვიძიეთ ნატოს ყოფილი გენერალური მდივნების მ. ვორნერის, ჰ. სოლანას, ასევე დასავლეთის ქვეყნების ლიდერების გამოსვლები და მათი მოსაზრებები ნატოს საქმიანობის შესახებ. ნაშრომში ფართო ადგილი დაეთმო როგორც ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებული ნაშრომების, სტატიების, წიგნების შესწავლა-განხილვას, ისე უცხოურ ლიტერატურასა და ვებ-გვერდებზე განთავსებულ ჩვენი კვლევის ინტერესში არსებულ მასალას.

ასევე გავეცანით თანამედროვე მკვლევრების ნარკვევებს, სადისერტაციო ნაშრომებსა და საერთაშორისო კონვენციებს.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები. მოცემული კვლევის მოსალოდნელი შედეგია საერთაშორისო ურთიერთობებში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (NATO) როლის და მნიშვნელობის წარმოჩენა, ბიპოლარული სისტემის მსხვრევის შემდეგ მისი არსებობის აუცილებლობა.

მოცემული ნაშრომი საინტერესო იქნება ზოგადად საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისათვის. კვლევას დიდი პერსპექტივა აქვს როგორც მეცნიერულ-შემეცნებითი, ისე გამოყენებითი კუთხით. თემაში წამოჭრილი იდეები, დასკვნები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სახელმწიფოს კიდევ უფრო გააქტიურებას ამ კუთხით საქმიანობის გასაძლიერებლად. დისერტაციის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს გეოპოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესების ეფექტური წარმოჩენისათვის.

ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დამხმარე მასალა შესაბამისი პროფილის დისციპლინების ათვისებისას. კერძოდ კი, ის გამოადგება ნებისმიერ მეცნიერს, ანალიტიკოსს თუ საერთაშორისო საკითხებზე მომუშავე სპეციალისტს. ასევე, კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული

რეკომენდაციების გამოყენებას შეძლებენ ამ სფეროში ჩართული ადამიანები, სტუდენტები, მეცნიერები და მკვლევრები.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომის შედგება შესავლის, 6 პარაგრაფად დაყოფილი სამი თავისაგან და დასკვნითი ნაწილისაგან.

I თავი

ნატოს შექმნის ისტორია - პერსპექტივები და გამოწვევები

1.1 ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (NATO) შექმნის ძირითადი მიზეზები და ნატო ცივი ომის პერიოდში

მსოფლიოში სახელმწიფოთა უსაფრთხოება და სუვერენიტეტი აღარ არის შემოსაზღვრული მხოლოდ ერთი სახელმწიფოს საზღვრებით. სახელმწიფოში სტაბილური მდგომარეობა დამოკიდებულია რეგიონალურ და გლობალურ დონეზე განვითარებულ ინტეგრაციის პროცესებზე. მსოფლიოში არსებულ მრავალრიცხოვან ორგანიზაციებს შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (NATO). პასუხი კითხვაზე, თუ რა არის ამ ორგანიზაციის წარმატების ძირითადი მიზეზები, პირველ რიგში უნდა ვეძიოთ მის პრინციპებსა და ფასეულობებში.

1949 წელს დაარსებულმა ჩრდილოატლანტიკურმა ხელშეკრულებამ (NATO) შესძლო თავისი ძირითადი მოვალეობების შესრულება, კერძოდ დაიცვა მისი წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ კი, როდესაც დადგა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, ნატომ შესძლო ტრანსფორმაცია და წარმატებით ფუნქციონირებს დღემდე. ისტორიის მანძილზე შექმნილი სხვადასხვა კოალიციები საერთო მოწინააღმდეგის დამარცხებისთანავე წყვეტდნენ არსებობას. უფრო მეტიც, იწყებოდა ძველ მოკავშირეებს შორის დაპირისპირება და საომარი მოქმედებები. ჩრდილოატლანტიკურმა ხელშეკრულებამ კი პირიქით, შეძლო ცვლილება და თავისი მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელება. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს:

- ნატოს მთავარი დასაყრდენი გახლდათ აშშ. ალიანსი გაიგივებული იყო აშშ-ს სამხედრო პოტენციალთან თავისი შეიარაღებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბირთვული არსენალით;
- ნატოს წევრების გაერთიანების ძირითადი მიზეზი იყო საერთო მოწინააღმდეგე. ეს მოწინააღმდეგე იყო საბჭოთა კავშირი, რომელიც მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ აქტიურად იწყებს თავისი

პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნების გავრცელებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში;

- ორგანიზაციის წევრებს - აშშ-ს და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს აერთიანებდათ საერთო ღირებულებები - დემოკრატია, თავისუფლება, კანონის უზენაესობა და ა.შ. (ჩიტაძე, 2008:23).

1949 წელს ვაშინგტონში 12-მა სახელმწიფომ (აშშ, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, პორტუგალია, კანადა, იტალია, დანია, გაერთიანებული სამეფო, ისლანდია, ნორვეგია) ხელი მოაწერეს ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას, რომელიც ასევე ვაშინგტონის შეთანხმებით არის ცნობილი. ვაშინგტონის ხელშეკრულება არის ალიანსის დამფუძნებელი დოკუმენტი, რომელიც შედგება 14 მუხლისაგან. მე-5 მუხლი, რომელიც ითვლება ყველაზე მნიშვნელოვან მუხლად, გულისხმობს კოლექტიურ თავდაცვას, ნატოს ერთ რომელიმე წევრზე თავდასხმის შემთხვევაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ცივი ომის“ პერიოდში არ გამხდარა საჭირო მე-5 მუხლის ამოქმედება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც დამარცხებული იქნა ფაშიზმი, საბჭოთა კავშირმა, როგორც გამარჯვებულმა ქვეყანამ, მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები მსოფლიოში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში. 1947 წლის იანვარში პოლონეთში დამკვიდრდა კომუნისტური რეჟიმი. იმავე წლის სექტემბერში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა და მისმა მოკავშირეებმა უარი თქვეს „მარშალის გეგმის“ მიხედვით აშშ-ს მიერ შემოთავაზებულ ეკონომიკურ დახმარებაზე, შეიქმნა კომუნისტური პარტიის საინფორმაციო ბიურო „კომინფორმი“, რომლის მთავარი მიზანი იყო კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოთა იდეოლოგიური ერთიანობის უზრუნველყოფა. 1948 წელს ჩეხოსლოვაკიაში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და სათავეში მოვიდა კომუნისტური პარტია, პარალელურად „გაწითლების“ საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ ნორვეგია, საბერძნეთი და თურქეთი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასავლეთის ქვეყნები დადგნენ მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე, რომელიც მოითხოვდა დროულ რეაგირებას. სულ მალე აშშ და დასავლეთ ევროპის ქვეყნები გადამწყვეტი ზომების მიღებაზე გადავიდნენ. ჯორჯ ქენანის მიერ შემუშავებული იქნა ე.წ. „შეკავების დოქტრინა“

და უფრო კონცენტრირებული სახით აისახა „ტრუმენის დოქტრინასა“ და „მარშალის გეგმაში“. ტრუმენის დოქტრინა, რომელიც შემუშავებულ იქნა აშშ-ს პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის მიერ 1947 წლის 12 მარტს, ითვალისწინებდა საბერძნეთისა და თურქეთის დახმარებას 400 მლ. აშშ დოლარით. სწორედ ეს დოქტრინა იყო პირველი ოფიციალური კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებდა კომუნიზმის შეკავებას (კაკაშვილი, 2020).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები მძიმე ეკონომიკური პრობლემის წინაშე იდგნენ. აქედან გამომდინარე, 1947 წლის 5 ივნისს აშშ-ს მიერ წარმოდგენილ იქნა ეკონომიკური აღორძინების გეგმა, იგივე „მარშალის გეგმა“, რომლის მიხედვითაც ევროპის ქვეყნებმა დაახლოებით 17 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის დახმარება მიიღეს აშშ-სგან. დახმარება შესთავაზეს სსრკ-სა და მის მომხრე სახელმწიფოებსაც, თუმცა მათ უარი განაცხადეს.

„მარშალის გეგმის“ განხორციელებამდე, მთელი დასავლეთ ევროპა მნიშვნელოვან ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. სწორედ ამის გამო შეიქმნა „ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია“, რომლის მიზანიც იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცება და „მარშალის გეგმის“ ფარგლებში შემოსული დახმარების გადანაწილება. ასევე, გაჩნდა იდეა ევროპული თავდაცვითი ორგანიზაციის შექმნის შესახებ. ეს წინადადება პირველმა წამოაყენა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერნესტ ბევინმა. 1948 წლის 17 მარტს ბელგიის, ნიდერლანდების, ლუქსემბურგის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ხელმოწერილ იქნა ბრიუსელის ხელშეკრულება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამშრომლობისა და კოლექტიური თავდაცვის შესახებ.

1948 წლის ივნისში აშშ-ს სენატმა მიიღო „ვანდერბერგის რეზოლუცია“, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აშშ-ს მონაწილეობას რეგიონალურ და სხვა სახის კოლექტიურ შეთანხმებებში ევროატლანტიკური და ასევე სხვა რეგიონების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

1948 წლის ივნისში აშშ-მ, კანადამ და ბრიუსელის ხელშეკრულების წევრმა სახელმწიფოებმა დაიწყეს მოლაპარაკებები ჩრდილოატლანტიკური რეგიონის

თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ. 1949 წლის მარტში მათ შესთავაზეს დანიას, ისლანდიას, იტალიას, ნორვეგიასა და პორტუგალიას, შეერთებოდნენ ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას. 1949 წლის 4 აპრილს, 12-მა სახელმწიფომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის პრინციპების საფუძველზე, ქ. ვაშინგტონში ხელი მოაწერა დოკუმენტს - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) შექმნის შესახებ. ეს ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1949 წლის 24 აგვისტოს, ხოლო იმავე წლის 17 სექტემბერს ვაშინგტონში ჩატარდა პირველი ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სესია.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნიდან 5 თვის შემდეგ, ცნობილი გახდა საბჭოთა კავშირის მიერ ატომური იარაღის გამოცდის შესახებ. ამ ფაქტმა აშშ-ს დააკარგვინა ატომური მონოპოლია მსოფლიოში. ალიანსი გადავიდა აქტიურ ქმედებებზე. აშშ-ს პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის ინიციატივით, 1950 წლის დასაწყისში დამტკიცდა ჩრდილოატლანტიკური რეგიონის ერთიანი თავდაცვითი სისტემის შექმნის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, სამხედრო პროგრამების ფინანსირებისათვის გამოიყო 900 მილიონი აშშ დოლარი. 1950 წლის ივლისში ქ. ლონდონში ჩატარდა ნატო-ს საბჭოში შემავალი ქვეყნების პირველი სხდომა, სადაც აშშ-ს წარმომადგენელი ჩარლზ სპოფორდი არჩეულ იქნა საბჭოს მუდმივ თავმჯდომარედ. 1952 წლის თებერვალში ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ ლისაბონში გამართული შეხვედრის დროს მოახდინა ნატოს სტრუქტურული რეორგანიზაცია. ამის შემდეგ ნატო გახდა მუდმივმოქმედი ორგანიზაცია თავისი შტაბ-ბინით პარიზში. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიაში პირველი უდიდესი ნაბიჯი გახლდათ ნატოს გაფართოების პროცესის დაწყება. 1952 წელს ნატოს წევრები გახდნენ საბერძნეთი და თურქეთი, ხოლო 1955 წელს ალიანსის სრულყოფილებიანი წევრი გახდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. 1953 წელს საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ უკვე ფლობდა წყალბადის ბომბს, ორი წლის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ინიციატივით შეიქმნა ნატოსთან დაპირისპირებული ორგანიზაცია - ვარშავის ბლოკი, რომლის წევრებიც იყვნენ აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური რეჟიმის ქვეყნები (ყოფილი იუგოსლავიის გარდა): საბჭოთა კავშირი, ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რუმინეთი და ჩეხოსლოვაკია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1956 წლიდან ჯერ პოლონეთში, შემდეგ კი უნგრეთში, კომუნისტური

რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებებმა იფეთქა. ასევე, თავისი პრეტენზიები კომუნისტურ ბანაკში ჰეგემონობაზე გამოაცხადა ჩინეთმაც, რამდენიმე წლის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ინიციატივით ვარშავის ბლოკიდან და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოდან გარიცხეს ალბანეთი. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, შეიძლება ითქვას, იყო კომუნისტური სისტემის რღვევის პირველი ნიშნები **(ჩიტაძე, 2008:24)**.

XX საუკუნის 50-იან წლებში, ნატოსა და, პირველ რიგში აშშ-ს ინიციატივით, 1951 წელს შეიქმნა ნატოს ანალოგიური სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. მისი წევრები გახდნენ ავსტრალია, ახალი ზელანდია და აშშ. ამ კავშირს ანზიუსი ეწოდა (ANZUS). ასევე, 1954 წელს მანილაში აშშ-მ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, ავსტრალიამ, ახალმა ზელანდიამ, პაკისტანმა, ტაილანდმა და ფილიპინებმა ხელი მოაწერეს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც შეიქმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია სეატო (SEATO). 1955 წელს ხელი მოეწერა ბალდათის პაქტს, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია - სენტო. მასში სრულყოფილებიან წევრებად შევიდნენ დიდი ბრიტანეთი, ერაყი, ირანი, პაკისტანი და თურქეთი და ასოცირებული წევრის სტატუსით - აშშ **(ჩიტაძე, 2008:25)**.

XX საუკუნის 60-იან წლებში ნატო მთელი რიგი გამოწვევების წინაშე დადგა, კერძოდ, 1960 წელს ჩაიშალა მოლაპარაკებები დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელიც ეხებოდა გერმანიის საკითხს. ასევე, კომუნისტური სახელმწიფოები გამოვიდნენ მოლაპარაკებების პროცესიდან, რომელსაც აწარმოებდნენ ალიანსის წევრ ქვეყნებთან განიარაღების პროცესთან დაკავშირებით. 1961 წელს საბჭოთა კავშირის ინიციატივით აღიმართა ბერლინის კედელი. 1961 წლის დეკემბერში ნატომ საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ჩატარებული ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომაზე მკაცრად დაგმო ბერლინის კედლის მშენებლობა და გამოთქვა მზადყოფნა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებების პროცესის განახლებასთან დაკავშირებით. 1962 წელს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა და აშშ-ს პრეზიდენტმა კენედიმ ოფიციალურად მიმართეს სსრკ-ის გენერალურ მდივანს ხრუშოვს მოწოდებით, ხელი მოეწერათ შეთანხმებაზე ბირთვული გამოცდების აკრძალვის შესახებ, თუმცა სსრკ-ის მიერ ეს წინადადება იგნორირებულ იქნა, ამის საპასუხოდ კი ნატოს წევრი სახელმწიფოების საგარეო

საქმეთა და თავდაცვის მინისტრებმა განიხილეს პირობები, რომელთა მიხედვითაც ნატო შესაძლებელია იძულებული ყოფილიყო გამოეყენებინა ბირთვული იარაღი. ამ დოკუმენტს „ათენის დირექტივების“ სახელი ეწოდა. 1962 წელს ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა კავშირი კუბის ტერიტორიაზე აწარმოებდა სარაკეტო ბაზების მშენებლობას. აშშ-მ ამ ქმედების წინააღმდეგ განახორციელა კუბის ბლოკადა. ასევე, აშშ-ს პრეზიდენტის ჯ. კენედის ადმინისტრაციის აქტიური ქმედებების შედეგად, საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა მოეხდინა სარაკეტო ბაზების ლიკვიდირება კუბის ტერიტორიაზე (ჩიტაძე, 2008:26).

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული აშშ-სა და სსრკ-ს შორის ურთიერთობებში დიდი ადგილი ეკავა განიარაღების საკითხს. 1960-იანი წლების მეორე ნახევარში გადადგმულ იქნა გარკვეული ნაბიჯები ამ პროცესში. პირველ რიგში, ეს იყო მზადება მრავალმხრივი შეთანხმების ხელმოწერისათვის, რომელიც ეხებოდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობას. ამ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1968 წელს. XX საუკუნის 70-იან წლებშიც აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნებოდა, კერძოდ, 1972 წელს და 1974 წელს აშშ-ს პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ეწვია საბჭოთა კავშირს, ხოლო 1973 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლ. ბრეჟნევი ჩავიდა აშშ-ში. ასევე, 1974 წელს გაიმართა ბრეჟნევისა და ფორდის შეხვედრა ვლადივოსტოკში, 1979 წელს კი ქ. ვენაში ერთმანეთს შეხვდნენ ლ. ბრეჟნევი და ჯიმი კარტერი.

ზემოთ ჩამოთვლილ შეხვედრებს, რასაკვირველია, უკვალოდ არ ჩაუვლია და მას მოყვა რიგი შეთანხმებები. 1972 მაისში საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს შეხვედრაზე ხელი მოეწერა დოკუმენტს „სსრკ-სა და აშშ-ის შორის ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ“, 1972 წელს მოსკოვში ხელი მოეწერა შეთანხმებას „რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ“ და აშშ-სა და საბჭოთა კავშირის დროებით შეთანხმებას „რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ“ და აშშ-სსრკ-ის დროებით შეთანხმებას „სტრატეგიული შეშტევი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ“. 1973 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას ბირთვული ომის თავიდან აცილების შესახებ და თანამშრომლობას ისეთ სფეროებში, როგორცაა ოკეანეში კვლევითი სამუშაოების ჩატარება და ატომური ენერჯის მშვიდობიანი გამოყენება (ბედოშვილი, 2019: 5).

მას შემდეგ, რაც 1985 წლის 11 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გენერალურ მდივნად აირჩია მიხეილ გორბაჩოვი, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავიდა. ორივე ქვეყნის ინტერესებში შედიოდა ბირთვული იარაღის რაოდენობის შემცირება. მიხეილ გორბაჩოვსა და რონალდ რეიგანს შორის პირველი ოფიციალური შეხვედრა შედგა 1985 წლის 19-20 ნოემბერს ქ. ჟენევაში. ცივი ომის პერიოდში, შეიძლება ითქვას, ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი აშშ-სა და სსრკ-ის შორის ურთიერთობის გამოსწორების გზაზე. ჟენევის სამიტზე არ ყოფილა მიღებული ხელშეკრულება ბირთვული იარაღის შემცირების თაობაზე, თუმცა გამოიკვეთა ორივე მხარის საერთო ინტერესი ამ საკითხთან დაკავშირებით და გაჩნდა მოლოდინი იმისა, რომ აშშ და სსრკ მოახერხებდნენ სამომავლოდ შეთანხმებას.

ჟენევის სამიტის დასრულების შემდეგ, 1985-1986 წლებში, ორი ქვეყნის ლიდერს შორის მიმდინარეობდა მიმოწერა აქტუალურ საკითხებზე, როგორც იყო კოსმოსური იარაღის საკითხი, ევროპის ტერიტორიიდან საშუალო მოქმედების რადიუსის მქონე ბირთვული არსენალის სრული გატანა, ბირთვული შეიარაღების გამოცდაზე მორატორიუმის გამოცხადება და სხვა. ბირთვული საკითხის ირგვლივ სიტუაცია მას შემდეგ გამწვავდა, რაც 1986 წლის 26 აპრილს უკრაინის ქ. ჩერნობილში მეოთხე ბირთვულმა რეაქტორმა კატასტროფა განიცადა. ამ ტრაგედიამ მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახა ბირთვული საფრთხის რეალური სახე. ამ აფეთქებას მოჰყვა მაღალი რადიაციული ფონი და მსხვერპლი. რეაქტორების დაკონსერვების მიუხედავად საფრთხე დღემდე არ არის აღმოფხვრილი.

1986 წლის 15 სექტემბერს გორბაჩოვმა რეიგანს მისწერა წერილი, რომელშიც ის გამოთქვამდა უკმაყოფილებას და ბრალს სდებდა რეიგანსა და მის ადმინისტრაციას გულგრილობაში, რაც ხელს უშლიდა ამ ორ სახელმწიფოს კონსესუსის მიღწევაში. გორბაჩოვი სთავაზობდა რეიგანს მათ შორის შეხვედრა გამართულიყო ისლანდიის ქ. რეიკიავიკში. ამ ადგილს გორბაჩოვი განიხილავდა მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რადგანაც ეს ქალაქი იყო მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის შუა გზაზე (Chernyaev, 2000:78).

რეიკიავიკის სამიტის წინ, 1986 წლის 4-8 ოქტომბერს, სსრკ-ში გაიმართა პოლიტბიუროს სხდომები, რომლის მიზანი იყო სამიტისთვის მომზადება.

გორბაჩოვის აზრით, შეხვედრაზე საბჭოთა მხარეს პირველ ადგილზე უნდა დაეყენებინა სტრატეგიული შეიარაღება და არა ბირთვული იარაღის გამოცდა. ასევე, უნდა განადგურებულიყო ყველა სახის ბირთვული იარაღის 50%, ევროპის ტერიტორია უნდა განიარაღებულიყო საშუალო რადიუსის მოქმედების ბირთვული რაკეტებისგან. სამიტისთვის ემზადებოდა აშშ-ც. სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ შულცმა 1986 წლის 2 ოქტომბერს პრეზიდენტ რეიგანს გამოუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც ნათლად იყო აღწერილი აშშ-ს სტრატეგიული ხედვა. დიდი ყურადღება ეთმობოდა ორ საკითხს: შეიარაღების კონტროლსა და ადამიანის უფლებებს. რეიკიავიკის სამიტს ორივე მხარისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იმედოვნებდნენ, რომ ეს იქნებოდა ურთიერთობის გაღრმავების დასაწყისი და საბოლოოდ მიაღწევდნენ შეთანხმებას განიარაღების საკითხზე (ბედოშვილი, 2019:15-16).

1986 წლის ოქტომბერში ქ. რეიკიავიკში აშშ-სა და სსრკ-ის დელეგაციები ჩავიდნენ რეიგანისა და გორბაჩოვის ხელმძღვანელობით. რეიკიავიკის სამიტის პირველი ბრიფინგი და დისკუსია გაიმართა შეხვედრის საკითხების განსახილველად. მნიშვნელოვანი იყო საშუალო რადიუსის მქონე ბირთვული შეიარაღება, ანტიბალისტიკური შეთანხმება, თავდაცვითი კოსმოსური იარაღი, ბირთვული ცდები და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხი, სტრატეგიული შეიარაღების 50%-ით შემცირება. რეიგანი ასევე იმედოვნებდა, რომ განიხილავდნენ ადამიანის უფლებების საკითხსაც, თუმცა გორბაჩოვმა განაცხადა, რომ ამ საკითხს სხვა შეხვედრაზე განიხილავდნენ. სამიტის პირველი სესიის მიმდინარეობისას გენერალურმა მდივანმა გორბაჩოვმა წამოაყენა სამი წინადადება უცხოელი მინისტრებისათვის, რათა მომზადებულიყო შეთანხმება ბირთვული განიარაღების თაობაზე. 1. უნდა შემუშავებულიყო შეთანხმების გეგმა, რათა 50%-მდე შემცირებულიყო სტრატეგიული შეტევითი იარაღი ორივე მხრიდან; 2. ორივე მხარეს სრულად მოეხდინა ბალისტიკური რაკეტების ლიკვიდაცია, თუმცა მასზე გავლენა არ უნდა ჰქონოდა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ბირთვულ პოტენციალს. მოლაპარაკებები შეეხებოდა მოკლე და საშუალო რადიუსის მქონე ბალისტიკურ რაკეტებს, რომელთა მოქმედების რადიუსი 1000 კილომეტრს არ სცილდებოდა. გორბაჩოვმა ასევე წამოაყენა საკითხი, გამართულიყო მოლაპარაკებები საშუალო

რადიუსის სისტემის თაობაზე აზიაში, რაზეც რეიგანმა მას გააცნო მოთხოვნები საბჭოთა „SS-20S“-ის შემცირებაზე აზიაში. ამის თაობაზე საბჭოთა ლიდერმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს აზიაში უნდა ჰქონოდა არანაკლებ 500 გრძელი რადიუსის მქონე ბალისტიკური რაკეტების ქობინი. 3. ABM Treaty (Anti-Ballistic Missile Systems) - ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ ხელშეკრულების მიზანი უნდა ყოფილიყო გაემლიერებინა „1972 წლის ანტიბალისტიკური რაკეტების სისტემის შესახებ მიღებული ხელშეკრულება“. მხარეები უნდა შეთანხმებულიყვნენ, რომ ხელშეკრულებას 10 წლის განმავლობაში არ დაარღვევდნენ. გარდა ამისა, საბჭოთა ინიციატივით უნდა აკრძალულიყო ყველა სარაკეტო ელემენტის ტესტირება ღია სივრცეში, გარდა ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევისა და ტესტირებისა. ასევე, გორბაჩოვმა თქვა, რომ 10 წლის შემდეგ მხარეები ამ საკითხზე თავიდან მიმართავდნენ მოლაპარაკებებს და შეთანხმდებოდნენ შემდგომი მოქმედების გეგმაზე. რაც შეეხება ბირთვულ ტესტირებას, საბჭოთა მხარე მოუწოდებდა აშშ-ს, შეეჯამებინათ ბირთვული ტესტირების სრული შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებები, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნებოდა (ბედოშვილი, 2019:18).

რეიგანის აზრით, მნიშვნელოვანი იყო საშუალო მოქმედების რადიუსის მქონე ბირთვული შეიარაღება, ანტიბალისტიკური შეთანხმება, თავდაცვითი კოსმოსური იარაღის საკითხი, ბირთვული ცდებისა და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხი, ასევე ადამიანის უფლებები. რეიკიავიკის სამიტზე არსებობდა შეთანხმების ძალიან ბევრი ვარიანტი, რომელიც უნდა განხილულიყო და შედგენილი უნდა ყოფილიყო შეთანხმების მონახაზი, რომელსაც საბოლოოდ ხელი მოეწერებოდა ვაშინგტონში სსრკ-ს გენერალური მდივნის ვიზიტისას. სწორედ ეს იყო რეიკიავიკის სამიტის მიზანი. არსებობდა მთელი რიგი საკითხები, რაზეც ვერ თანხმდებოდნენ მხარეები, მათ შორის იყო სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ არსებული პოზიციები. რეიგანი თვლიდა, რომ რაიმე მნიშვნელოვანი პოზიციის დაწყებამდე აუცილებელი იყო ეფექტური კონტროლის მექანიზმის შექმნა. სსრკ-ის პოზიცია ემყარებოდა გამაღებელი შეიარაღების პრევენციას, რომლის ბაზაზეც უნდა შედგენილიყო შეთანხმების პროექტი. საბჭოთა მხარე თანახმა იყო შეესრულებინა ჟენევაში მიღწეული შეთანხმება და 50%-ით შეემცირებინა შეიარაღება. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ ეს იყო ამერიკულ პოზიციასთან დაახლოება და დათმობა,

გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო საერთო უსაფრთხოების პრინციპები (ბედოშვილი, 2019:18).

რეიკიავიკის სამიტის პირველივე შეხვედრიდან ნათელი გახდა, რომ მოლაპარაკებების პროცესი მარტივად არ წარიმართებოდა და კომპრომისის მიღწევა არ იქნებოდა ადვილი. ამ სამიტის მეორე შეხვედრაზე უფრო დეტალურად გამოიკვეთა ორივე მხარის პოზიციები. კერძოდ, ამერიკელები ითხოვდნენ რეალურ ნაბიჯებს, ბალისტიკური შეიარაღების შემცირებას 50%-მდე, მათი რაოდენობა 4500 უნდა გამხდარიყო. საბჭოთა მიდგომა ითვალისწინებდა 6400-6800 ერთეულამდე შემცირებას, აშშ-ს პრეზიდენტი არ აპირებდა ამერიკული ავიაციის სხვა რაკეტების რიცხვის შემცირებას, რადგანაც მათ არ ჰქონდათ სწრაფი მოქმედების ძალა. ფლოტის შეიარაღებაში არსებული საჰაერო რაკეტები 6000-მდე უნდა შემცირებულიყო. საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებისა და წყალქვეშა ფლოტის არსენალის ბალისტიკური რაკეტების ოდენობა 1600 ერთეული უნდა ყოფილიყო, თუმცა ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა ევროპის ტერიტორიაზე არსებული ამერიკული და საბჭოური რაკეტები. საბჭოთა მხარე გამოვიდა ინიციატივით, რომ ევროპის კონტინენტი სრულად განთავისუფლებულიყო ორივე ქვეყნის რაკეტებისაგან, თუმცა აზიის საკითხი გაურკვეველი რჩებოდა, ამიტომაც რეიგანისათვის ეს არ იყო საკმარისი. ის მოითხოვდა ან სრულად განიარაღებას ორივე კონტინენტზე, ან ორივეზე დარჩენილიყო გარკვეული შეიარაღება. იგი თვლიდა, რომ ევროპაში ორივე მხარის რაკეტების რიცხვი 100 ერთეულით განსაზღვრულიყო, ხოლო საბჭოთა შეიარაღება აზიაში 60-70 ერთეულით (ბედოშვილი, 2019:22).

რეიკიავიკის სამიტის პირველი დღეს ორივე მხარემ გამოთქვა თავისი მოსაზრებები და ასევე აღნიშნულ იქნა, რომ აუცილებელი იყო კომპრომისი, თუმცა სამიტზე ორივე მხარე მოქმედებდა წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით და მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას ერიდებოდა. სამიტის მესამე შეხვედრა შედგა 12 ოქტომბერს, კვირას, დილის 10 საათზე. ამ შეხვედრაზე გორბაჩოვი დათანხმდა საბჭოთა SS-20s ტიპის იარაღის აღმოფხვრას ევროპაში და 100-მდე შემცირებას აზიაში, აშშ-ს PERSHING II-ს ტიპის სრულიად აღმოფხვრის და GLCM-ს ტიპის იარაღის აშშ-ში 100-მდე შემცირების სანაცვლოდ. რაც შეეხება სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას, რეიგანის აზრით, გორბაჩოვი ჯერ არ იყო მზად ამ საკითხზე მისი

პოზიციების გასაზიარებლად. ბირთვული ცდების საკითხზე კი ამერიკული მხარე კვლავ მისი ეტაპობრივი შემცირებისკენ იხრებოდა და პირველ ადგილზე ეფექტური კონტროლის საკითხს აყენებდა. საბჭოელები ცდილობდნენ რეალური პროგრესის მიღწევას ბირთვული შეიარაღების შემცირებისა და მისი სრული განადგურების საკითხში. გორბაჩოვმა თანხმობა განაცხადა აზიაში საბჭოთა რაკეტების რიცხვი 100-მდე შემცირებულიყო იმ შემთხვევაშიც კი, თუ აშშ წყნარი ოკეანის აუზში შეიარაღებას გაზრდიდა. ეს წინადადება რეიგანისთვის მისაღები აღმოჩნდა. გორბაჩოვი მოითხოვდა შეთანხმების მიღწევას ბირთვულ ცდებზე და ანტიბალისტიკური შეთანხმების ვადის განსაზღვრას, სანაცვლოდ კი მზად იყო დათანხმებულიყო სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის განვითარებაზე ლაბორატორიების დონეზე, რაზეც რეიგანმა უპასუხა, რომ მათ ინტერესებში არ შედიოდა ანტიბალისტიკური შეთანხმების მნიშვნელობის შესუსტება, მაგრამ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა რჩებოდა მნიშვნელოვან საკითხად. იგი გამოდიოდა ინიციატივით სტრატეგიული თავდაცვა ექციათ ანტიბალისტიკური შეთანხმების ნაწილად, როგორც თავდაცვაზე ორიენტირებული პროგრამა (ბედოშვილი, 2019:24).

სტრატეგიული შეიარაღებისა და საშუალო მოქმედების რადიუსის ბირთვული რაკეტების თაობაზე მხარეებმა შესძლეს კონსენსუსამდე მისვლა, ხოლო ანტიბალისტიკურ შეთანხმებასა და ბირთვულ ცდებზე მხოლოდ აზრთა გაცვლა, თუმცა შედეგის გარეშე. გორბაჩოვი და შევარდნაძე კვლავ ინტერესდებოდნენ დათანხმდებოდა თუ არა ამერიკა ანტიბალისტიკური შეთანხმების ვადების განსაზღვრას, მაგრამ სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივაზე ამერიკელთა პოზიცია უცვლელი იყო.

ამ შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა თავისუფალი მედიის საკითხი. გორბაჩოვი დათანხმდა არ ჩაეხშოთ „ამერიკის ხმის“ სიგნალი იმ პირობით, თუ აშშ-შიც შესაძლებელი იქნებოდა საბჭოთა რადიომაუწყებლობა. რეიკიავიკის სამიტის მეორე დღეს რეიგანი თავის მრჩევლებთან ერთად განიხილავდა საბჭოთა მხარისათვის შეეთავაზებინათ ბირთვული ტესტირება და კვლევები ორივე მხარეს გაეგრძელებინა 5 წლის განმავლობაში 1991 წლამდე, რაც ასევე მიღებული იყო ABM ხელშეკრულებით, რომლის თანახმადაც სტრატეგიული ბირთვული იარაღი შემცირდებოდა 50%-მდე. ორივე მხარეს უნდა შეემცირებინა ბალისტიკური

რაკეტების რაოდენობა და მათი ლიკვიდაცია უნდა დასრულებულიყო 10 წლის თავზე. 10 წლიანი პერიოდის ბოლოს კი ყველა შეტევითი ბალისტიკური რაკეტა უნდა ყოფილიყო აღმოფხვრილი, რის შემდეგაც ორივე მხარე თავისუფლად შეძლებდა გამოეყენებინა თავდაცვითი საშუალებები (ბედოშვილი, 2019:27).

საბოლოო მესამე შეხვედრისას ორი ქვეყნის ლიდერებმა შეძლეს მიეღწიათ გარკვეული კონსენსუსისათვის. საბჭოთა მხარემ შესთავაზა აშშ-ს არ გაუქმებულიყო ABM ხელშეკრულების 10 წლიანი ვადა და ის გაყოფილიყო ორ ეტაპად 5-5 წლიან ვადებად. პირველ ეტაპზე უნდა მომხდარიყო სტრატეგიული შეტევითი იარაღისა და სტრატეგიული თავდაცვითი იარაღის 50%-ით შემცირება, მეორე ეტაპზე კი სრულად განადგურება. აკრძალული უნდა ყოფილიყო ბირთვული ტესტირება და მხოლოდ ლაბორატორიაში ჩატარებულიყო. ამ წინადადებაზე შულცმა წარმოადგინა ოდნავ განსხვავებული პაკეტი. კერძოდ, ის ეთანხმებოდა გორბაჩოვის იდეას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ანტიბალისტიკურ თავდაცვაზე მუშაობა ლაბორატორიით უნდა შემოფარგლულიყო.

აშშ-ს პრეზიდენტ რეიგანს ასევე სურდა სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივასთან დაკავშირებული ცდები ჩატარებულიყო ლაბორატორიების ფარგლებს გარეთაც, თუმცა იმ დოზით, რა დოზითაც ჩაიწერებოდა შეთანხმებაში. გორბაჩოვი ამ პოზიციას არ დათანხმდა და რეიკიავიკის სამიტზე ბირთვული ცდების ჩატარების საკითხი ღიად დარჩა.

რეიკიავიკის სამიტზე ორივე მხარემ დააფიქსირა თავისი პოზიცია და უფრო ახლოს მივიდნენ კომპრომისთან, მხოლოდ ბირთვული ცდების საკითხზე ვერ მოხერხდა შეთანხმება. მიუხედავად ამისა, სამიტი მაინც შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად. საბჭოთა მხარე წავიდა ყველა წინასწარგანზრახულ კომპრომისზე. ასევე შეიძლება ჩაითვალოს ამერიკული მხარის ქმედებებიც. შეხვედრის დასაწყისში ორივე მხარეს მწირი ინფორმაცია ჰქონდა ერთმანეთის მოთხოვნების შესახებ, ამ სამიტზე კი უკვე ნათლად გამოჩნდა ორივე მხარის ინტერესები. ამასთანავე, ორივე ქვეყნის ინტერესებში შედიოდა აღნიშნულ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა. რეიკიავიკის სამიტის შემდგომ, 1986 წლის ნოემბრის დასაწყისში, ქ. ვენაში დაგეგმილი იყო სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის შევარდნაძისა და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის შულცის შეხვედრა. ამ შეხვედრაზე შევარდნაძის მთავარი ამოცანა იყო რეიკიავიკის

სამიტის შემდეგ ამერიკის ზუსტი პოზიციის განსაზღვრა. აშშ-ს პრეზიდენტი იმედოვნებდა, რომ ეს შეხვედრა განამტკიცებდა რეკიავიკში მიღწეულ შეთანხმებას. აშშ-ს პრეზიდენტი გამოდიოდა მათი პოზიციის მტკიცე დაცვის ინიციატივით. კერძოდ, აშშ არ უნდა დათანხმებულიყო სტრატეგიულ თავდაცვასთან დაკავშირებული ცდების ლაბორატორიებში ჩატარებას, 1996 წლისათვის სრულიად უნდა განადგურებულიყო როგორც ამერიკული, ისე საბჭოთა შეტევითი ბალისტიკური შეიარაღება.

ქ. ვენაში შევარდნაძისა და შულცის შეხვედრაზე შევარდნაძემ დასვა საკითხი იმის შესახებ, გაგრძელდებოდა თუ არა მოლაპარაკებები იმ ეტაპიდან რა საკითხებზეც იქნა მიღწეული შეთანხმება რეკიავიკში, რაზეც შულცმა განაცხადა, რომ საჭირო იყო პრეზიდენტთან დამატებითი კონსულტაციები. ორივე მხარეს სურდა ყოფილიყო დარწმუნებული, რომ ბირთვული პოტენციალი შემცირდებოდა ორივე სახელმწიფოს მხრიდან თანაბრად და არ დაირღვეოდა ბალანსი. 1985 წლიდან მოყოლებული აშშ-სა და სსრკ-ს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა წარმატებით, ვენის სამიტის შემდეგ კი მხარეები საკითხებს ბიუროკრატიულად მიუდგნენ. აშშ-ს მიზანს წარმოადგენდა შეთანხმების მიღწევა START-ისა და INF-ის შესახებ. ორივე მხარე თანხმდებოდა განიარაღების 10 წლიან ვადაზე. აშშ-ს მიზანი იყო სტრატეგიული იარაღის 50%-მდე შემცირება, ხოლო საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის სრულიად განადგურება. ასევე, 10 წლიანი პერიოდის მეორე ეტაპზე 6000 ქობინამდე შემცირებულიყო სტრატეგიული თავდაცვის ძალების შეიარაღება (ბედოშვილი, 2019:39).

1986 წლის მიწურულს გამოიკვეთა რეკიავიკის სამიტზე მიღწეული შეთანხმების მნიშვნელობა ორივე სახელმწიფოსათვის. რა თქმა უნდა, არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა რიგ საკითხებზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სახელმწიფოს ქვეყნის შიგნით ჰქონდა მწვავე მდგომარეობა. სსრკ-ს - ეკონომიკური პრობლემები, ხოლო აშშ-ს - „ირან-კონტრას“ სკანდალი. ორივე მხარე დაინტერესებული იყო შეთანხმების დროულად მიღწევაში, რაც უფრო ნათლად აისახა ვაშინგტონის სამიტში, რომელიც გაიმართა 1987 წლის 8-10 დეკემბერს.

ვაშინგტონის სამიტის გამართვამდე შულცი კიდევ ერთხელ შეხვდა შევარდნაძეს ქალაქ მოსკოვში. მხარეებმა კიდევ ერთხელ განიხილეს ორ ქვეყანას

შორის არსებული დაძაბული მდგომარეობა და აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადადგმული იყო ბირთვული იარაღისა და სტრატეგიული თავდაცვის საკითხებზე. საუბარი წარიმართა ასევე საშუალო რადიუსის მქონე რაკეტების შემცირების თაობაზე. შულცმა ყურადღება გაამახვილა სტრატეგიული თავდაცვის იარაღის შემცირებაზეც. შეხვედრაზე განხილულ იქნა სადაზვერვო საკითხები და ადამიანის უფლებები. აშშ-ს პოზიცია მოლაპარაკებების დასაწყისშივე იყო სტრატეგიული თავდაცვა გამხდარიყო გრძელი და საშუალო რადიუსის მქონე რაკეტების შესახებ შეთანხმების ნაწილი, ხოლო საბჭოთა კავშირის პოზიცია იყო ევროპაში სრულიად აღმოფხვრილიყო და სსრკ-სა და აშშ-ში 100-მდე შემცირებულიყო საშუალო რადიუსის მოქმედი რაკეტები. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ დროისათვის საბჭოთა კავშირში დაიწყო „პერესტროიკა“. გაჩნდა ძალიან ბევრი კითხვა ამის შესახებ, რაზეც კომუნისტური პარტიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნიკოლაი რიჟკოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებში წინსვლა ჰქონდა, და რომ სოციალურმა სისტემამ გაამართლა. „პერესტროიკა“ შეეხო ყველა სფეროს, მათ შორის მედიასა და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც. რიჟკოვს მიაჩნდა, რომ საზღვარგარეთ ამ პროცესს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, თუმცა ეს იყო სპეკულაციები და ამ მოდელს მოწინააღმდეგე არ ჰყოლია. რიჟკოვი თვლიდა, რომ საბჭოთა კავშირის სოციალისტური მიდგომა უნდა აღიარებულიყო მსოფლიო ეკონომიკის ნაწილად. აშშ-მ ნათლად დააფიქსირა თავისი პოზიცია და გამოთქვა მზადყოფნა ორმხრივი ვაჭრობისათვის.

შევარდნაძე-შულცის შეხვედრაზე შეთანხმება მიღწეულ იქნა საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტებისა და ვერიფიკაციის საკითხებზე. წინსვლა იყო ასევე ატომური იარაღის ტესტირებისა და ქიმიური იარაღის თაობაზეც. სსრკ-სა და აშშ-ს დიპლომატიური შეხვედრები მთელი 1987 წლის მანძილზე მიმდინარეობდა, თუმცა პირველი პირები რეიკიავიკის სამიტის შემდეგ ერთმანეთს არ შეხვედრიან. შევარდნაძისა და შულცის შეხვედრა შედგა 5-ჯერ. 1987 წლის 23 ნოემბერს ქ. ჟენევაში გაიმართა მორიგი შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა ss20-სა და ss25-ს შორის განსხვავებები. შევარდნაძე მოითხოვდა დაწვრილებით ყოფილიყო შეთანხმებული, თუ რომელ ბირთვულ იარაღზე იყო საუბარი, რადგანაც ეს ორი სახეობა ერთმანეთს

ჰგავდა. აშშ საბჭოთა შეთავაზებას დათანხმდა ამ ორი რაკეტის ინსპექტირების თაობაზე, ვინაიდან ეს ორი რაკეტა იწარმოებოდა ერთდროულად და მათ ბევრი ქონდათ საერთო. რაკეტებზე დაკვირვება უნდა მომხდარიყო ქარხანაში წარმოების დროს. 24 ნოემბერს ანტიბალისტიკური რაკეტების თაობაზე შეთანხმების ყველა პუნქტი იქნა განხილული და მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 10 წელი (ბედოშვილი, 2019:49).

1987 წლის დეკემბერში დაიგეგმა რეიგანისა და გორბაჩოვის შეხვედრა ქ. ვაშინგტონში. 1987 წლის 7 დეკემბერს ქ. ვაშინგტონში ჩავიდნენ სსრკ-ს გენერალური მდივანი გორბაჩოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე. 1987 წლის 7-11 დეკემბერს შედგა ვაშინგტონის სამიტი. სამიტის პირველი შეხვედრა გაიმართა შევარდნაძესა და შულცს შორის, სადაც განხილული იქნა საშუალო რადიუსის ბირთვული რაკეტების ხელშეკრულება და ასევე ss20-სა და ss25-ს შორის განსხვავება. გორბაჩოვი და რეიგანი ერთმანეთს შეხვდნენ 8 დეკემბერს. შეხვედრაზე ძირითადი საკითხი იყო ბირთვული იარაღის შემცირება. ასევე ისმებოდა კითხვები სამხედრო დოქტრინების შესახებაც. მხარეებს უნდა განესაზღვრათ, თუ რა რაოდენობა იყო საჭირო თავდაცვისათვის. აშშ-ს მხარეს მიაჩნდა, რომ ბირთვული იარაღის გასანადგურებლად ჯერ ჩვეულებრივი იარაღის არსენალში უნდა ჰქონოდათ მხარეებს ბალანსი დაცული. რეიგანს ამხნეებდა საბჭოთა მზაობა იმის შესახებ, რომ დაეთმოთ 4800-5100 ბალისტიკური რაკეტის ქობინი. ასევე რეიგანი ცდილობდა გაერკვია, შეიძლებოდა თუ არა მიეღწიათ შეთანხმება სტრატეგიული არსენალის 50%-ით შემცირებაზე, რაც ადამიანებს სამომავლოდ შეუქმნიდა უსაფრთხოების რეალურ განცდას. აშშ-ს ასევე სურდა მეორე შეთანხმების მიღწევა, რომლის მიხედვითაც არცერთი მხარე ამ პერიოდის განმავლობაში არ განათავსებდა თავდაცვით სისტემებს, რომელიც იკრძალებოდა ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ ხელშეკრულების მიხედვით. ორივე მხარე შეთანხმდა, რომ კოსმოსურ სივრცეზე ერთობლივად განახორციელებდნენ დაკვირვებას. ვაშინგტონის სამიტზე ასევე განხილულ იქნა ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის საკითხიც. კერძოდ, ავღანეთში სიტუაციის დასტაბილურებისათვის საბჭოთა ჯარები გაწვეულ უნდა ყოფილიყო და ასევე აშშ-ს მიერ მოწინააღმდეგე ძალების მომარაგებაც უნდა შემწყდარიყო. გაწვევა-ჩაურევლობის პოლიტიკით ავღანეთი უნდა გამხდარიყო ნეიტრალური, შეთანხმების

თანახმად ხელმოწერის შემდეგ დაიწყებოდა ძალების გაყვანა, აშშ კი შეწყვეტდა მოწინააღმდეგეების მომარაგებას. ეს შეთანხმება შედგა.

1987 წლის 7-10 დეკემბერს ვაშინგტონის სამიტზე მოხდა შეთანხმება საშუალო და მოკლე რადიუსის მქონე ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. 1987 წლის 8 დეკემბერს შეთანხმებას ხელი მოაწერეს აშშ-ს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა და სსრკ-ს გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა. ცივი ომის პერიოდში ეს იყო ყველაზე დიდი მოვლენა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის დიპლომატიურ ურთიერთობებში. ეს შეთანხმება წარმოადგენდა მსოფლიოში მშვიდობიანი გარემოს შექმნის გარანტიას.

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული დიდი ადგილი ეკავა განიარაღების საკითხს. აშშ არ იშურებდა ძალებს და მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სტრატეგიული შეიარაღების შემცირების და ხელშეკრულებაზე ხელმოწერასთან დაკავშირებით, თუმცა ამას შედეგი არ მოყოლია 1985 წლამდე. 1985 წელს საბჭოთა კავშირში ხელისუფლებაში მიხეილ გორბაჩოვი მოვიდა და დასაბამი მიეცა აშშ-სსრკ-ს შორის დიპლომატიურ ურთიერთობებს. ცივი ომის დასრულების ურთულესი პროცესის გზაზე დიდი ადგილი ეკავა რეიკიავიკისა და ვაშინგტონის სამიტებს. ვაშინგტონის სამიტზე ხელი მოეწერა ხელშეკრულებას მოკლე და საშუალო რადიუსის მქონე ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის თაობაზე. ამ ხელშეკრულებამ ფაქტიურად დაასრულა ცივი ომი.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ევროპაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა, რამაც უპირველეს ყოვლისა თავისი ასახვა ჰპოვა ნატოს პოლიტიკაში. დაიწყო ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფციის შემუშავება, რომელზეც მუშაობა დასრულდა 1991 წელს. მოგვიანებით კი შემუშავებულ იქნა ალიანსის სტრატეგიული კონცეფციის ადაპტირებული ვერსია და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა 1999 წელს გამართულ ვაშინგტონის სამიტზე.

„ცივი ომის“ პერიოდში კაცობრიობა ფაქტიურად მესამე (ბირთვული) მსოფლიო ომის წინაშე იდგა, თუმცა ნატოს აქტიური ძალისხმევის შედეგად მსოფლიომ მორიგი მსოფლიო ომი თავიდან აიცილა და ნატო ცივ ომში გამარჯვებული გამოვიდა. კვლევის დროს განვიხილავთ ცივ ომში ნატოს გამარჯვების სხვადასხვა მიზეზებს. პირველ

რიგში უნდა ვისაუბროთ ნატოზე, როგორც ორგანიზაციაზე, რომელიც შეიქმნა აშშ-სა და დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების მიერ ნებაყოფლობით, უპირველესად, საბჭოთა კომუნისტებისგან თავდაცვის მიზნით. დასავლეთ ევროპული სახელმწიფოები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა აშშ-ს სამხედრო კონტინგენტი ევროპაში გაზრდილიყო, ამიტომ აშშ-მ ევროპელი მოკავშირეების თანხმობით და მათი ინტერესების ურთიერთგათვალისწინებით მათ ტერიტორიაზე განათავსა 200-ზე მეტი სამხედრო ბაზა. იმავდროულად, საბჭოთა კავშირი აქტიურად იმყარებდა პოზიციებს აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. დაიწყო ე.წ. „გაწითლების“ პროცესი. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ კომუნისტური ძალები, რომლებსაც არ გააჩნდათ მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა. ამის ნათელი დადასტურება გახლდათ სახალხო გამოსვლები პოლონეთსა და უნგრეთში 1956 წელს, ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს, პოლონეთში განმეორებით 1980 წელს. ანტიკომუნისტურმა გამოსვლებმა მასობრივად იფეთქა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს აღმოსავლეთ ევროპის ფაქტიურად ყველა ქვეყანაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვარშავის ბლოკისგან განსხვავებით, ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა ვითარდებოდა ალიანსში შემავალი ქვეყნების თანასწორობის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანიზაციაში დომინანტი პოზიცია ეჭირა აშშ-ს, ნატოში თითოეული გადაწყვეტილება მიიღებოდა კონსენსუსის საფუძველზე. ნატოს წევრ ყველა ქვეყანას გააჩნდა ხმის თანაბარი უფლება. მაგალითად, ნატოს ევროპული მოკავშირეები დამოუკიდებლად იღებდნენ გადაწყვეტილებებს. 1966 წელს საფრანგეთმა დატოვა ნატოს გაერთიანებული სამხედრო ორგანიზაცია, 1974 წელს ამ ორგანიზაციიდან გამოვიდა საბერძნეთიც, რომელიც ამ სტრუქტურას მხოლოდ 1981 წელს დაუბრუნდა, ესპანეთი კი „ცივი ომის“ პერიოდში უარს აცხადებდა სამხედრო ორგანიზაციაში შესვლაზე.

იმავე დროს კი ვარშავის ბლოკის სახელმწიფოებში თუ მოვლენები ვითარდებოდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ნების წინააღმდეგ, ის ამ პროცესების შეჩერებას ძალისმიერი მეთოდით ცდილობდა. ამის მაგალითია ბერლინის ბლოკადა 1948 წელს, საბჭოთა ჯარების მიერ 1956 წელს უნგრეთში, ხოლო 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში დემონსტრაციების სისხლში ჩახშობა. ნატოს თანასწორუფლებიანობის პოლიტიკის წყალობით კი ეს ორგანიზაცია სულ უფრო

ფართოვდებოდა. ასევე, 1960 წელს შეიქმნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, რომლის წევრები იყვნენ აშშ, კანადა, ევროპის 18 სახელმწიფო, მათ შორის ნატოს წევრი ყველა ქვეყანა, ასევე ავსტრალია, ახალი ზელანდია და იაპონია. იმავდროულად, კომუნისტურ ბლოკში სრულიად განსხვავებული სურათი იდგა. 1948 წლიდან კომუნისტური პარტიის საინფორმაციო ბიუროდან გარიცხეს იუგოსლავია, ასევე XX საუკუნის 60-იან წლებში დაიშალა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ალიანსი, 1968 წელს კი ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციიდან გავიდა ალბანეთი. „ცივ ომში“ ალიანსის გამარჯვებაში, რა თქმა უნდა, დიდი წვლილი ითამაშა ეკონომიკურმა და სამხედრო ფაქტორებმაც. სამხედრო თვალსაზრისით ნატო ძლიერი ორგანიზაცია იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირს სამხედრო ბაზები გააჩნდა კომუნისტურ ბლოკში შემავალ 5-6 ქვეყანაში, ხოლო აშშ-ს 1980-იანი წლების ბოლოს გააჩნდა 1600-მდე სამხედრო ბაზა 34 ქვეყანაში, მათ შორის ბაზები განლაგებული იყო ნატოს წევრ თურქეთში - 7 ბაზა; „ცივი ომის“ მიწურულს კი აშშ-ს 40-მდე სამხედრო ბაზა იყო განლაგებული სამხრეთ კორეაში, 32 იაპონიაში და სხვა. ასევე, აშშ ეკონომიკურად უფრო ძლიერი იყო, რაც საშუალებას აძლევდა დიდი თანხები გამოეყო თავდაცვის სისტემაზე.

როდესაც ვმსჯელობთ ნატოსა და ვარშავის ბლოკს შორის განსხვავებაზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ნატო-ში მხოლოდ აშშ არ წარმოადგენდა უდიდეს სამხედრო ძალას. მას ევროპაში ჰყავდა ძლიერი მოკავშირეები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპაში დიდი კრიზისი სუფევდა, მაგრამ აშშ-ს დახმარებით, კერძოდ „მარშალის გეგმით“, მათ ეს კრიზისი დაძლიეს და ჩამოყალიბდნენ, როგორც ეკონომიკურად ასევე სამხედრო თვალსაზრისით ძლიერ სახელმწიფოებად. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, რომლებიც გახდნენ ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოები. ასევე ძლიერი არმიის ჩამოყალიბება შეძლეს იტალიამ, კანადამ და ა.შ. 1982 წლისათვის საფრანგეთის წილმა მსოფლიო სამხედრო ექსპორტში შეადგინა 11,4 %, დიდი ბრიტანეთის წილმა კი 5,6% (ჩიტაძე, 2008:47).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომუნისტურ ბლოკს ჩამოყალიბებული ჰქონდა მხოლოდ ერთი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია - ვარშავის ხელშეკრულების

ორგანიზაცია, ხოლო დასავლეთს რამდენიმე ორგანიზაცია ჰქონდა - ნატო, სეატო, სენტო, ანზიუსი, დასავლეთ ევროპის კავშირი, ანზიუკი.

ცივი ომის პერიოდში არ შეიძლება არ აღინიშნოს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ეკონომიკური განსხვავება. დასავლეთში იყო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც დიდი უპირატესობა გააჩნდა ცენტრალიზებულ გეგმიურ ეკონომიკასთან შედარებით. თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენცია ამაღლებდა შრომის ნაყოფიერებას დასავლეთში, ხოლო აღმოსავლეთში ჩაკეტილი ცენტრალიზებული ეკონომიკა, პირიქით, აქვეითებდა შრომის ნაყოფიერებას მოსახლეობაში. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ 1982 წელს, აშშ-ს შიდა ეროვნული პროდუქტი შეადგენდა 3 ტრილიონ 905 მილიარდს, ხოლო საბჭოთა კავშირის მთლიანი ეროვნული პროდუქტი - 1 ტრილიონ 266 მილიარდს.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გახლდათ ის, რომ საბჭოთა ტექნოლოგიებზე არ იყო მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე. საბჭოთა კავშირის ექსპორტის 70%-ზე მეტს წარმოადგენდა ნედლეული, პირველ რიგში ნავთობი, ნავთობის ფასი კი 1987 წლიდან მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც საბჭოთა კავშირის ბიუჯეტზე უდიდესი გავლენა იქონია (ჩიტაძე, 2008:49).

ნატოს ცივ ომში გამარჯვების მიზეზების კვლევისას არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ გეოპოლიტიკური ფაქტორები, კერძოდ, დასავლეთის ბლოკის გეოპოლიტიკური გავლენა უფრო ფართო წრეს მოიცავდა, ვიდრე საბჭოთა კავშირის. ამ უკანასკნელის გავლენა შემოიფარგლებოდა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპით და რამდენიმე ეკონომიკურად ჩამორჩენილი აზიისა და აფრიკის სახელმწიფოსაგან, ხოლო დასავლეთის გეოპოლიტიკური გავლენა ვრცელდებოდა თითქმის მთელი ამერიკის კონტინენტზე კუბისა და ნიკარაგუას გარდა, აფრიკის უდიდეს ნაწილზე, ავსტრალიასა და წყნარი ოკეანის რეგიონზე. აშშ ასევე ფლობდა მძლავრ სამხედრო ბაზებს ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებში, ფილიპინებზე, კუნძულ სან-დიეგოსა და გუამზე. რა თქმა უნდა, კომუნისტურ ბლოკს საბოლოო დარტყმა მიაყენა მის შიგნით დაწყებულმა პროცესებმა. დაიწყო მასობრივი საპროტესტო გამოსვლები კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ევროპასა და ასევე იმჟამინდელ საბჭოთა რესპუბლიკებშიც. „პერესტროიკის“ პერიოდში საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები და ბრძოლა

დამოუკიდებლობისათვის. ყოველივე ზემოთაღნიშნულმა საბოლოოდ 1991 წელს მიგვიყვანა ბელოვეჟის ტევრში ხელმოწერილ შეთანხმებამდე. ამ შეთანხმების მიხედვით საბჭოთა კავშირმა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა, შეწყვიტა არსებობა და დასაბამი მიეცა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებას და, რა თქმა უნდა, დაიწყო ამავე დროს ნატოს ტრანსფორმაციის პროცესი (ჩიტაძე, 2008:51).

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ნატომ უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებაში. ეს ყველაფერი განპირობებული იყო, პირველ რიგში, ალიანსში შემავალი სახელმწიფოების ერთიანობით, საერთო პრიორიტეტებითა და შეთანხმებებით, ნატოს წევრი ქვეყნები იზიარებდნენ საერთო დემოკრატიულ ფასეულობებს და ერთიანი ძალით ცდილობდნენ საფრთხის თავიდან აცილებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ ნატო დადგა ახალი მწვავე გამოწვევების წინაშე, როგორცაა ბალკანეთის კონფლიქტი, ტერორიზმთან ბრძოლა, ბირთვული იარაღის გავრცელებასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ. ამ ყველაფერმა კი განაპირობა ამ ორგანიზაციის ტრანსფორმაცია.

1.2 ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია-ნატოს ტრანსფორმაცია ცივი ომის შემდგომ პერიოდში და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები (რეალიზმი და ინსტიტუციონალური ლიბერალიზმი)

„ცივი ომის“ დასრულების შემდგომ მკვლევრებს შორის აქტიურად მიმდინარეობდა მსჯელობა იმის შესახებ, შეწყვეტდა თუ გააგრძელებდა ნატო არსებობას. სამხედრო ალიანსები ზოგადად იქმნებიან ომის პერიოდში და როდესაც საფრთხე აღარ არსებობს, იშლებიან. ნატოს დაშლის შესახებ საუბარი აქტიური გახდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და დასრულდა „ცივი ომი“. რეალისტები წინასწარმეტყველებდნენ, რომ ნატო დაიშლებოდა საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად ან მოხდებოდა მისი რეკონსტრუქცია ევროპაში ძალთა ახალი გადანაწილების საფუძველზე (აკობია, 2006: 55).

თუმცა, რეალისტების წინასწარმეტყველება არ გამართლდა და ნატო არათუ დაიშალა, არამედ გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დინამიური სამხედრო ორგანიზაცია. მიუხედავად რეალისტების მოსაზრებების მარცხისა, ისინი მაინც

თავიანთ მოსაზრებებს ემხრობოდნენ და ამბობდნენ, რომ მათი თეორიული მიდგომა არცთუ ისე მცდარი იყო. მაგალითად, კენეტ უოლცი თავის ნაშრომში „ძალთა ბალანსი და ნატოს გაფართოება“ ამტკიცებდა, რომ მისი წინასწარმეტყველება გამართლდა, რადგანაც დღესდღეობით ნატოს, როგორც სამხედრო ორგანიზაციას, არ ჰყავს გამოკვეთილი მოწინააღმდეგე, ვის წინააღმდეგაც იგი იბრძვის (აკობია, 2006:55).

ამ გამოწვევების აღიარების/ამოცნობის შედეგად, სტივენ უოლტმა შეიმუშავა „საფრთხის ბალანსის“ თეორია. მან ჯერ განსაზღვრა ალიანსის შექმნა, როგორც საფრთხის მიმართ რეაგირება, ხოლო შემდეგ ხაზი გაუსვა იმას, რომ ოთხი ფაქტორი, მათ შორის გაერთიანებული ძალაუფლება, გეოგრაფიული სიახლოვე, შეტევითი ძალა და აგრესიული ზრახვები, გავლენას მოახდენს სახელმწიფოების მიმართ წარმოქმნილი საფრთხის დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ უოლტი ცდილობდა განესხვავებინა სახელმწიფოების ქცევები დაბალანსებასა და გადმობირებას შორის, მან დაასკვნა, რომ დაბალანსებული ქცევა ბევრად უფრო გავრცელებული იყო, ვიდრე გადმობირება, და ეს უბრალოდ იმიტომ, რომ ვერც ერთი სახელმწიფო მოხელე ვერ იქნებოდა სრულიად დარწმუნებული, რას გააკეთებს მეორე მხარე. მაშასადამე, რწმენის დაბალანსება იყო განმეორებადი თემა მთელი ცივი ომის განმავლობაში, რაც გულისხმობდა, რომ „გარე საფრთხის წინაშე მყოფი სახელმწიფოები შეუერთდებიან სხვებს, რათა დაუპირისპირდნენ საფრთხის შემქმნელ სახელმწიფოებს“. გარდა ამისა, უოლტის აზრით, რაც უფრო დიდი იყო დამმუქრებელი სახელმწიფოს გაერთიანებული ძალები, თავდასხმის შესაძლებლობები და აგრესიული ზრახვები, მით უფრო დიდი იყო მიმდებარე ქვეყნების მიერ მის წინააღმდეგ გაერთიანების ტენდენცია. მარტივად რომ ვთქვათ, რაც უფრო დიდია მუქარის ძალა და დაბალანსების აუცილებლობა, მით უფრო დიდია მის წინააღმდეგ ალიანსის ერთიანობა. ეს ემთხვეოდა სნაიდერის პროგნოზს, რომ ცივი ომის პერიოდში, რომელიც აღიარებული იყო, როგორც ბიპოლარული სამყაროს ეპოქა, ალიანსის მიტოვება ნაკლებად სავარაუდო იყო, რადგან ზესახელმწიფოები მტკიცედ იყვნენ მოწოდებულნი თავიანთი ძლიერი ინტერესებით დაეცვათ თავიანთი მოკავშირეები და შეენარჩუნებინათ ისინი ალიანსში. ზოგადად, ორივე - „ძალაუფლების ბალანსის“ და „საფრთხის ბალანსის“ თეორიები წინასწარმეტყველებდნენ, რომ სახიფათო

საფრთხეების წინააღმდეგ დაპირისპირებისას, სახელმწიფოები დარღვეული ბალანსის აღდგენის მიზნით აუცილებლად შექმნიდნენ ალიანსებს (Walt, 1987:22).

ეს იყო ზუსტად ის, რაც მოხდა ცივი ომის პერიოდში, როდესაც ნატო შეიქმნა სსრკ-ს დასაბალანსებლად. სსრკ-ს საფრთხით დაშინებულმა 12-მა ქვეყანამ, მათ შორის აშშ-მ, კანადამ, პორტუგალიამ, იტალიამ, ნორვეგიამ, დანიამ, ისლანდიამ, ბელგიამ, ნიდერლანდებმა, ლუქსემბურგმა, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ხელი მოაწერეს ჩრდილო-ატლანტიკურ ხელშეკრულებას ვაშინგტონში 1949 წლის 4 აპრილს. დაარსების დღიდან ნატო მოქმედებდა, როგორც დამბალანსებელი ინსტრუმენტი თავისი წევრი ქვეყნების ყველაზე სერიოზული საფრთხის წინააღმდეგ. ამის საპასუხოდ, სსრკ-მ 1955 წელს მოკავშირეებთან ერთად ჩამოაყალიბა ვარშავის ხელშეკრულების პაქტი, რომელმაც შეცვალა ორ ზესახელმწიფოს შორის დაპირისპირება ორ ბანაკს შორის დაპირისპირებით. ამ ორი ალიანსის წევრობის შედარებით, „აშშ და მისი მოკავშირეები სჯობნიან საბჭოთა ალიანსის ქსელს ეროვნული ძალაუფლების პირველადი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი განსხვავებით“ (Walt, 1987:274).

ერთ-ერთი ახსნა იმისა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები აშკარა უპირატესობას იჩენენ აირჩიონ აშშ, როგორც მათი „სრულყოფილი მოკავშირე“ მდგომარეობს იმაში, რომ „მისი გაერთიანებული ძალები უზრუნველყოფს, რომ მის ხმას გაიგონებენ და მის ქმედებებს იგრძნობენ“. უბრალოდ, ნატოში გაწევრიანებით დასავლეთ ევროპის ქვეყნები მიიღებდნენ უსაფრთხოების დაცვას აშშ-სგან. გარდა ამისა, მოსალოდნელი იყო, რომ სსრკ უფრო დიდ საფრთხეს შეუქმნიდა ევროპას, თუ ის დომინანტი იქნებოდა აშშ-სთან დაპირისპირებაში. ჰალფორდ მაკინდერი ამტკიცებდა თავის „ისტორიის გეოგრაფიულ ცენტრში“: „ვინც მართავს აღმოსავლეთ ევროპას, მართავს ჰართლენდს, ვინც მართავს ჰართლენდს, მართავს მსოფლიო კუნძულს, ვინც მართავს მსოფლიო კუნძულს, მართავს მსოფლიოს“ (Mackinder, 1904: 298-321).

ამ ლოგიკით, სსრკ, რა თქმა უნდა, დიდი უპირატესობით სარგებლობდა ე.წ. ჰართლენდის დასაკავებლად მისი ცენტრალური პოზიციის გამო. შესაბამისად, მოსალოდნელ საფრთხეს უქმნიდა სხვა ქვეყნებს, რომლებიც ასევე მდებარეობდნენ ჰართლენდში (ანუ ცენტრალურ ნაწილში). ამის საპირისპიროდ, ამ მოკავშირეებისგან საკმარისად შორს ყოფნის გამო, აშშ არ განიხილებოდა მნიშვნელოვან საფრთხედ.

როგორც უოლტმა დაასკვნა, „აშშ არის გეოგრაფიულად იზოლირებული, მაგრამ პოლიტიკურად პოპულარული, ხოლო საბჭოთა კავშირი პოლიტიკურად იზოლირებულია სხვა სახელმწიფოებთან მისი გეოგრაფიული სიახლოვის შედეგად“ (Walt, 1987:277).

„პოლიტიკურად პოპულარული“ არ ნიშნავდა იმას, რომ ევროპული ქვეყნები დიდად მიესალმნენ აშშ-ს იმდროინდელ საგარეო პოლიტიკას, მაგრამ ეს მიუთითებდა, რომ ევროპულ ქვეყნებს ერჩივნათ აშშ ეხილათ, როგორც მათი უსაფრთხოების გარანტი.

როგორც ჩანს, ტრადიციულმა ლიტერატურამ ალიანსების შესახებ სრულად ახსნა, თუ რატომ შეიქმნა ალიანსი და როგორ ირჩევდნენ წევრი ქვეყნები თავიანთ მოკავშირეებს. ზოგადად, თითქმის ყველა რეალისტს სჯეროდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მუქარა შეიძლება არ იყოს საკმარისი ალიანსების შესაქმნელად, ისინი აუცილებელი იყო. თუმცა, ნეორეალიზმმა გვერდი აუარა ალიანსის მდგრადობის საკითხს მას შემდეგ, რაც თავდაპირველი მტერი დამარცხდა, „და რა ხდება მაშინ, როდესაც საფრთხეები ქრება, ძალთა ბალანსის გადანაცვლების, ან მოკავშირეების მიერ საფრთხის აღქმის შეცვლით?“ იდეალურ შემთხვევაში, ნეორეალიზმის მიხედვით, თუ ალიანსი ჩამოყალიბდა საფრთხის გამო, ის უნდა შესუსტდეს საფრთხის არარსებობის შემთხვევაში (McCalla, 1996:445-475).

ტრადიციული ლიტერატურა, ძლიერ რეალისტურიც და ნეორეალისტური ორიენტაციისაც, ასკვნიდა, რომ ალიანსების არსებობა არ გაგრძელდებოდა მუქარის გარეშე. ამრიგად, ნეორეალისტური ლინზიდან, როდესაც სსრკ დაიშალა, ნატოს წევრების მიერ აღქმული საფრთხე სწრაფად და არსებითად შემცირდა, რაც შეასუსტებდა ნატოს ერთიანობას და დაშლამდე მიიყვანდა მას. 1989 წელი ბერლინის კედლის დაცემის წელი იყო, რაც საბჭოთა საფრთხის დაშლის ნიშანს წარმოადგენდა. ჯონ მირშაიმერმა იწინასწარმეტყველა, რომ საბჭოთა საფრთხის გარეშე, ნატო აღარ იქნება ეფექტური ალიანსი (Mearsheimer, 1990:52).

თუმცა, ამ მოლოდინების საწინააღმდეგოდ, ნატო უფრო გაფართოვდა, ვიდრე დაიშალა მომდევნო ათწლეულში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ცივი ომის დასრულებისთანავე ნეორეალისტური პროგნოზები ახდენის ძალიან მცირე ნიშანს ავლენდა.

იმის გასაგებად, თუ რატომ განსხვავდება ნატო სხვა ტრადიციული ალიანსებისგან, ან რატომ არ არის საკმარისი რეალისტური ალიანსის თეორია ნატოს გამძლეობის ასახსნელად, სასარგებლოა ნატოს გამოკვლევა ინსტიტუციური თეორიის გამოყენებით. ჰანს მორგენტაუმ წამოაყენა კონცეფცია სახელწოდებით „იდეოლოგიური სოლიდარობა“, რომელიც ხაზს უსვამდა იდეოლოგიის მნიშვნელობას ალიანსის ფორმირებაში. სახელმწიფოები, რომლებიც იზიარებდნენ მსგავს პოლიტიკურ, კულტურულ ან სხვა მახასიათებლებს, უფრო მეტადაა შანსი რომ მოკავშირეები იყვნენ. თუმცა, ჯორჯ ლისკა მხარს უჭერდა მოსაზრებას, რომ ალიანსები ყალიბდებოდა საერთო მტრის პირისპირ და ვარაუდობდა, რომ სახელმწიფოებს შორის „იდეოლოგიური ან ეთნიკური კავშირები“ შესაძლოა ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორები იყოს ალიანსის პარტნიორების გაერთიანებაში (Liska, 1962:27).

ნატო სწორედ ისეთი ალიანსია, რომელიც სარგებლობს ორგანიზაციული ინტერესებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარდა მატერიალური ინსტიტუტებისა და პრაქტიკისა, ტრანსატლანტიკური ურთიერთობა ასევე სტრუქტურირებულია საერთო იდეოლოგიური ღირებულებებით. დემოკრატიული ქვეყნების ბუნებრივი ნათესაობის რწმენით, ნატოს წევრები ერთმანეთს განიხილავენ, როგორც არსებითად კარგ სახელმწიფოებს, რომლებსაც არ აქვთ განზრახული საფრთხე შეუქმნან ერთმანეთს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ აშშ დომინანტურ როლს თამაშობს ნატოში, მისი წამყვანი სტილი განსხვავდება საბჭოთა კავშირისგან: აშშ არასოდეს მოქმედებს დაძალებით, რათა აიძულოს სხვა წევრი ქვეყნები კომპრომისზე წავიდნენ. მიზეზი, როგორც ბენჯამინ პოლმა განმარტა, იყო ის, რომ მნიშვნელოვანი იყო „გადაფარვის ხარისხი იმ მიზნებს შორის, რომლებსაც შეერთებული შტატები და მისი ევროპელი მოკავშირეები მისდევენ“ და რამდენად იზიარებენ ისინი თავიანთ საერთო ვალდებულებას „მიმდინარე ლიბერალური გლობალური წესრიგის“ და „გაზიარებული ლიბერალური იდეოლოგიის“ ასპექტში.

ამიტომ, მსგავსი თვისებების გაზიარებით, წევრი ქვეყნები ალიანსს განიხილავენ საკუთარი პოლიტიკური პრინციპების დასაცავად, რომელიც ერთის მხრივ თავიდან აიცილებს იდეოლოგიურ კამათს და უნდობლობას და, მეორე მხრივ, აძლიერებს ბუნებრივ ლოიალობას ერთიანობის მიმართ. უოლტის თქმით, მას შემდეგ, რაც

ალიანსი სანდოობის სიმბოლოდ იქცა, უფრო სავარაუდოა, რომ იგი შენარჩუნდეს (Walt, 1987:156-179).

შეერთებული შტატების სახელმწიფო მოხელეები განსაკუთრებით დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოკავშირეებს იზიდავდნენ როგორც ძალის, ისე ნების გამოვლენით. ამით მათ დაივალდებულეს თავი შეექმნათ სანდოობის იმიჯი. ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა განაცხადა, რომ „... (ამერიკის) ალიანსების მთლიანობა არის მშვიდობის შენარჩუნების საფუძველი, და თუ აღმოჩნდება, რომ ამერიკის დაპირება უსარგებლოა, მშვიდობის სტრუქტურა დაინგრევა და ჩვენ საშინელი კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით“ (Weinstain, 1969:52).

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს აქვს საკმარისი შესაძლებლობები სხვა წევრი ქვეყნების გასაკონტროლებლად, უფრო მეტი წვლილი შეიტანა ნატოს სანდოობის ხელშეწყობაში, რაც თავის მხრივ ამაღლებდა როგორც აშშ-ს, ისე მთლიანად ალიანსის სანდოობას.

როგორც ჩანს, ორგანიზაციულ ინტერესებს, კერძოდ, საერთო იდეოლოგიებიდან ან ღირებულებებიდან გამომდინარე სანდოობას შეუძლია იყოს ალიანსების ქცევის მამოძრავებელი ძალა; თუმცა, არსებობს შეზღუდვები, თუ რამდენად შეუძლია ორგანიზაციულ ინტერესებს მათი შენარჩუნება. ალიანსი, რომელსაც ზურგს უმაგრებს კარგად განვითარებული ორგანიზაციული სუბიექტი, შეიძლება გახანგრძლივდეს, მაგრამ ეს არ იძლევა გარანტიას, რომ საფრთხის არარსებობის შემთხვევაში ალიანსი არასოდეს დაიშლება. რაზეა დამოკიდებული გადარჩენა, როგორც რობერტ მაკკალამ დაასკვნა, არის ის, თუ „რამდენად სარგებლობენ (ნატოს) წევრები ალიანსით და მის გარშემო არსებული უსაფრთხოების ურთიერთობებით“ (McCalla, 1996:461).

როგორც ნეორეალისტებმა გამოთვალეს, ნატო არაფრით განსხვავდებოდა სხვა ალიანსებისგან, რომლებიც ისეთი ძვირადღირებული იყო პოლიტიკითა და რესურსებით, როგორც შეიძლება წარმოვიდგინოთ. ამრიგად, როგორც კი შემცირდებოდა საფრთხე, რომელიც ადრე ამართლებდა ამ ხარჯებს, ნატოს წევრი ქვეყნები დატოვებდნენ ბლოკს, როგორც მოსალოდნელი იყო. თუმცა, ისევ და ისევ, ნეორეალისტური პროგნოზი არაზუსტი აღმოჩნდა, რადგან ნატო უფრო განვითარდა და გახდა ძლიერი და ჯანსაღი ალიანსი.

ისინი, ვინც ნატოს დასრულებას წინასწარმეტყველებდნენ, ხშირად ძალიან ვიწრო პერსპექტივით უყურებდნენ ნატოს ფუნქციებს, მაგრამ სინამდვილეში, როგორც დუგლას სტიუარტი ამტკიცებდა, ნატოს უფრო მეტი დანიშნულებისთვის ჰქონდა ადგილი, ვიდრე მკაცრად განსაზღვრული სამხედრო ფუნქციებია, იმის გათვალისწინებით, რომ იგი ასევე მოიცავდა დავების გადაჭრისა და საგარეო და პოლიტიკური კურსების კოორდინაციის ეფექტურ მექანიზმებს (Stuart, 1993: 763-787).

რობერტ კეჰანიმა თეორეტიკოსებისგან მოითხოვა ესარგებლათ იმ ფაქტით, რომ ალიანსები არის ინსტიტუციები და რომ მათი ხანგრძლივობაც და სიძლიერეც (სახელმწიფოების ერთგული ალიანსებისადმი ერთგულების ხარისხი, მაშინაც კი, როცა ხარჯები მოჰყვება) შეიძლება ნაწილობრივ იყოს დამოკიდებული მათ ინსტიტუციურ მახასიათებლებზე (Keohane, 1989:15).

უოლტის თქმით, პარტნიორებს შორის ინსტიტუციონალიზებული თანამშრომლობის მაღალი დონის მქონე ალიანსები უფრო მეტ სანდოობას მიიღებდა, რაც დაეხმარებოდათ დაჯგუფების გაფართოებაში (Walt, 1987:156-179).

ინსტიტუციურ ლიბერალებს, რეალისტებისგან განსხვავებით, სჯერათ, რომ ინსტიტუტები ემსახურებიან უფრო მაღალ ინტერესებს, ვიდრე ეს დიდ სახელმწიფოთა ვიწრო ინტერესებია. საერთაშორისო ინსტიტუტები, სამხედრო ალიანსების ჩათვლით, უადვილებენ სახელმწიფოებს გზებს დატკბნენ თანამშრომლობის შედეგად მიღებული საერთო სარგებელით, ამცირებენ მომსახურების დანახარჯებს და აწესებენ წესებს და ნორმებს, რომლითაც ისჯება ცუდი საქციელი. იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტები აფერხებენ ღალატის შესაძლებლობას, ისინი ხელს უწყობენ თანამშრომლობას.

ინსტიტუციონალისტების ცენტრალური არგუმენტია ის, რომ ჩამოყალიბების შემდეგ ინსტიტუტებს ახასიათებთ სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, რადგან უფრო ადვილია ინსტიტუტების მოდიფიცირება, ვიდრე ახლის შექმნა. შესაბამისად, როდესაც ინსტიტუტების წინაშე დგება ახალი პრობლემები ვიდრე ისინი, რომელთა დასაძლევადაც ინსტიტუტები თავიდან შეიქმნენ, სახელმწიფოები ილტვიან ამ ინსტიტუტების არა დაშლის, არამედ მათი მოდიფიკაციისაკენ, რათა უპასუხონ ახალ გამოწვევებს. ინსტიტუციური ლიბერალისტები ასევე ამტკიცებენ, რომ ინსტიტუტები

მას შემდეგაც კი განაგრძობენ არსებობას, როცა ჰეგემონის ძლიერება, რომლის მეშვეობითაც ეს ინსტიტუტი შეიქმნა, სუსტდება (აკობია, 2006: 57-58).

რობერტ მაკკალას აზრით, 1996 წელს, როდესაც ნატოს ტრანსფორმაცია არ იყო ისეთი მასშტაბური, როგორც დღეს არის, იგი თვლიდა, რომ ცივ ომში ნატოს გამარჯვების შემდეგ დაიწყებოდა მისი ტრანსფორმაცია, წევრი ქვეყნები ალიანსს ახალ მიმართულებას მისცემდნენ, არსებული მექანიზმების და პროცედურების გამოყენებით ზედ დააშენებდნენ წარსულ წარმატებებს და მომავალში გამოიყენებდნენ ახალ პრობლემებთან გასამკლავებლად (აკობია, 2006:59).

ძირითადად, ნატოს ყველა წევრი თანხმდება მეხუთე მუხლის პირობაზე, რომ „ერთზე თავდასხმა არის თავდასხმა ყველას წინააღმდეგ“, რაც მყარ საფუძველს უქმნის ლეგალიზებულ თანამშრომლობას. აქედან გამომდინარე, ნორმები და პრაქტიკა შეუფერხებლად ფორმირდება ნატოს სტრუქტურასა და პროცესში, რაც ამცირებს „წევრების როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი ტრანზაქციის ხარჯებს საკუთარი და სხვების ქცევის სახელმძღვანელო მითითებების მიწოდებით“ (McCalla, 1996:461).

ამ გზით, როგორც დუგლას ბლანდმა აღნიშნა, ნატო-მ გააძლიერა თავისი წევრების დაცვა საერთო მოლოდინებზე მოქმედების მექანიზმების შექმნის გზით, რაც ამცირებს უსაფრთხოების კავშირების მუდმივი კორექტირების აუცილებლობას მუდმივი გარე ცვლილებების საპასუხოდ (Bland, 1991:12-13).

ცივი ომის დასასრულისთვის ნატოს წევრებმა უკვე 45 წელი გაატარეს და სწავლობდნენ, თუ როგორ ემუშავათ გრძელვადიან კოალიციაში დახვეწილი სტრუქტურის მეშვეობით, ამიტომ არ არსებობდა საფუძველი მათთვის, დაეტოვებინათ არსებული პროცედურები და მექანიზმები და შეექმნათ ალტერნატიული ალიანსი, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ახალი რეჟიმის შექმნა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ძველის შენარჩუნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნატოს უდიდესი აქტივი იყო მისი ინსტიტუციური სტრუქტურა. როგორც სელესტ ვალანდერმა თქვა, „ალიანსის ინსტიტუციური აქტივების ადაპტაცია“ იყო ნატოს მდგრადობის ერთ-ერთი მთავარი ახსნა პირველადი საფრთხის არარსებობის პირობებში (Wallander, 2000:705-735).

თავი II

ნატო „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ პერიოდში, საერთაშორისო სამხედრო მისიები

2.1 ნატოს ვალდებულებები (ჩართულობა, საქმიანობა) კოსოვოში

„ცივი ომის“ დასრულების შემდგომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი - NATO დადგა ახალი გამოწვევების წინაშე. უპირველეს ყოვლისა, ეს დაკავშირებული იყო ნატოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული კონფლიქტების გადაწყვეტასთან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს ალიანსის ჩართვა ყოფილი იუგოსლავიის სხვადასხვა რესპუბლიკაში არსებულ დაპირისპირებებში.

შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, ნატომ დაუყოვნებლივ გაიარა ადაპტაციის პროცესი. 1990 წლის ლონდონის დეკლარაციამ და, უფრო მეტად, რომის სამიტზე გამოქვეყნებულმა 1991 წლის „ახალმა სტრატეგიულმა კონცეფციამ“ აღიარა, რომ მოკავშირეთა უსაფრთხოებისთვის ამ „ახალ სტრატეგიულ გარემოში“ უფრო რთული იქნებოდა რისკების პროგნოზირება. ვარაუდობდნენ, რომ ახალი საფრთხეები შეიძლება წარმოქმნილიყო სერიოზული ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და მათ შორის ეთნიკური მეტოქეობისა და ტერორისტული დავეების გამო, რომელსაც აწყდებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მრავალი ქვეყანა. ამგვარად, თუ როგორ მოერგებოდა ნატო კრიზისის მართვისა და კონფლიქტების პრევენციის ახალ ამოცანას, გადამწყვეტი გახდა მისი, როგორც სიცოცხლისუნარიანი და მნიშვნელოვანი ორგანიზაციის შესანარჩუნებლად ცივი ომის შემდგომ ეპოქაში.

1992 წლიდან 1995 წლამდე პერიოდში ნატომ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ესენი იყო სამხედრო-საჰაერო ძალების ოპერაციები, რომელთა მიზანი იყო ბოსნია ჰერცეგოვინაში აკრძალული საჰაერო ზონის რეჟიმის უზრუნველყოფა. ასევე, ალიანსი საავიაციო მხარდაჭერას უწევდა გაეროს ძალებს. 1993 წლის აგვისტოში ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ჩაეტარებინა მოსამზადებელი სამუშაოები უფრო რადიკალური სამხედრო ქმედებების მისაღებად, რაც გულისხმობდა საავიაციო დარტყმების განხორციელებას. ნატოს სამხედრო კომიტეტის რეკომენდაციით, მიღებულ იქნა დოკუმენტი „ბოსნიასა და

ჰერცოგოვინაში საავიაციო დარტყმების ოპერატიული ვარიანტები“. ნატოს მხრიდან ეს ქმედებები გამოწვეული იყო იმით, რომ ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე არ წყდებოდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებები (ჩიტაძე, 2008:105).

1994 წლის იანვარში, ნატოს სამიტზე ბრიუსელში, ალიანსმა გამოთქვა მზადყოფნა განეხორციელებინა საჰაერო დარტყმები ბოსნიის დედაქალაქ სარაევოსთვის ალყის მოხსნის მიზნით, რათა ამ ქალაქში უზრუნველყოთ ჰუმანიტარული ტვირთის შეტანა მშვიდობიანი მოსახლეობისათვის. 1994 წლის 28 თებერვალს ნატომ თავის არსებობის ისტორიაში პირველად განახორციელა სამხედრო ოპერაცია, რომლის დროსაც ნატოს ძალების მიერ ჩამოგდებულ იქნა ოთხი სამხედრო თვითმფრინავი, რომლებმაც დაარღვიეს აკრძალული ზონა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცეში. 1994 წლის აპრილში ბოსნიელი სერბების სამხედრო ფორმირებები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ ბოსნიის ქ. გორაჟდედან, რამაც საშუალება მისცა სხვადასხვა ჰუმანიტარულ მისიებს ქალაქში შეეყვანათ ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული კოლონები (ჩიტაძე, 2008:105).

1994 წლის 5 აგვისტოს ნატოს თვითმფრინავებმა მიიტანეს საჰაერო დარტყმები სამხედრო ობიექტზე სარაევოს მახლობლად. ბოსნიელი სერბების პოზიციებზე პრევენციული დარტყმები მომავალშიც გაგრძელდა. საბოლოოდ სერბები იძულებულნი გახდნენ დაეწყოთ ნატოსა და გაეროს მიერ შემოთავაზებული სამშვიდობო გეგმის განხილვა. 1995 წლის 2 ნოემბერს დეიტონში (აშშ, ოჰაიოს შტატი), პარაფირებულ იქნა სამშვიდობო შეთანხმება ბოსნია ჰერცოგოვინას, ხორვატიასა და იუგოსლავიას შორის. 1995 წლის 14 დეკემბერს პარიზში ხელი მოეწერა ბოსნიის სამშვიდობო შეთანხმებას.

ამრიგად, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გამოიყენა საკუთარი სამხედრო პოტენციული სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების მოგვარებას ნატო ცდილობდა მშვიდობიანი მოლაპარაკებებით და სამი წლის განმავლობაში ამ პროცესში ჩართულნი იყვნენ ნატოს წევრი ცალკეული ქვეყნები და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. ბოსნიის ომის დროს ნათლად გამოჩნდა, რომ გაერო, რომელსაც საერთაშორისო სამართლის პრინციპების

შესაბამისად ეკისრებოდა მთავარი პასუხისმგებლობა შეეჩერებინა კონფლიქტი, ვერ აღმოჩნდა ქმედუნარიანი განხორციელებინა ღონისძიებები მშვიდობის დასამყარებლად. შესაბამისად, ბოსნიის კონფლიქტის მოგვარება ალიანსის პრიორიტეტად იქცა, მისი უმოქმედობა კი გამოიწვევდა ნატოს ავტორიტეტის შელახვას, რადგანაც სწორედ ეს ორგანიზაცია განიხილებოდა ევროპაში უშიშროების მთავარ გარანტად.

ბოსნიაში ნატოს ხელმძღვანელობით ჩატარებული სამშვიდობო ოპერაციების შედეგად შეიქმნა პრეცედენტი და დაგროვდა სხვა სახის ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო სამხედრო-პოლიტიკური გამოცდილება. როგორც კი ბოსნიაში კრიზისი ჩაცხრა, საყოველთაოდ მოსალოდნელი იყო, რომ კოსოვო იქნებოდა „შემდეგი გამოცდა“ ალიანსისთვის, რომელმაც გაფართოების პროცესთან ერთად გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. „უძველესი სიძულვილი (ხანგრძლივი მტრობა)“, რეგიონში ხანგრძლივი ისტორიული წყენა, რომელიც მომდინარეობდა სადავო შეხედულებებიდან კოსოვოს ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ, განიხილებოდა კონფლიქტის მთავარ მიზეზად. კოსოვოს, პროვინციას 11000 კვადრატულ კილომეტრზე ნაკლები ფართობით, ჰყავდა ორი მილიონიანი მოსახლეობა, რომელთა 90% ალბანელი იყო, მაგრამ როგორც ალბანური, ასევე სერბული ეროვნული თემები ამას საკუთარ ტერიტორიად აცხადებდნენ. სერბების მიერ ხაზგასმული ძირითადი აქტუალობა ეხებოდა რწმენას, რომ კოსოვო იყო სერბეთის ისტორიული და სულიერი ცენტრალური ადგილი. მეორე მხრივ, ალბანელები დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ სერბული ტომების კოსოვოში ჩამოსვლამდე დიდი ხნით ადრე, მათი წინაპრები იქ უკვე დასახლდნენ ჩვ. წ. მე-6 საუკუნიდან. შედეგად, საკუთარ დასაბუთებაზე დაყრდნობით, როგორც ალბანელებს, ასევე სერბებს ჰქონდათ ღრმად ფესვგადგმული ვალდებულება, მოეთხოვათ კოსოვო საკუთარ ტერიტორიად თაობიდან თაობამდე. მეორე მსოფლიო ომის მოვლენები კოსოვოელების მზარდი აღშფოთების მიზეზი გახდა, როდესაც თავიანთი სამშობლო, ტერიტორიული ფართობით მცირე, იხილეს დანაწილებულ-დაყოფილი გერმანელებს, იტალიელებსა და ბულგარელებს შორის. ტიტოს კომუნისტური აგენტები დაჰპირდნენ, რომ მხარს დაუჭერდნენ ყველა ალბანელის გაერთიანებას: „ომის შემდეგ ერთიანი ალბანეთი-კოსოვო გახდებოდა იუგოსლავიის ნაწილი, ან

თუნდაც ზოგადად უფრო დიდი ბალკანეთის ფედერაცია“. თუმცა, როგორც გაირკვა, 1945 წლის შემდგომ იუგოსლავიის სახელმწიფომ არა მხოლოდ სერბებს, არამედ ალბანელებსაც გაუცრუა იმედი (Rogel, 2004:73).

ბოსნიაში ხაზგასმული მშვიდობისა და უსაფრთხოების გამოწვევები საბოლოოდ აღმოჩნდა მამოძრავებელი ძალა ნატოს გაფართოებისთვის. ბოსნიის კრიზისის მოგვარების შემდეგ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბევრმა ქვეყანამ დაიწყო ნატოში სრულმასშტაბიანი გაწევრიანება, როგორც მათი გრძელვადიანი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალება. როგორც ჰალამსმა დაასკვნა, ეს იყო ნატოს მისია ბოსნიაში, რომელმაც ხელი შეუწყო გაფართოების საკითხის მტკიცედ დაყენებას ნატოს ტრანსფორმაციის დღის წესრიგში. ამრიგად, მადრიდის სამიტზე პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის ოფიციალური მოწვევის შემდეგ შეერთებოდნენ ალიანსს, 1990-იანი წლების ბოლოს ვხედავთ, რომ ნატო მიიწევს „ღირებულებათა ალიანსისკენ, რომელიც გაერთიანებულია ევროპის იმ სახელმწიფოებზე უსაფრთხოების გავრცელებაში, რომლებიც იცავენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ნორმებს, რომლებიც მჭიდროდ აკავშირებენ ნატოს ამჟამინდელ წევრებს“ (Daalder, 1999:12). ეს „ახალი“ ალიანსი, რომლის წევრთა რაოდენობა გაიზარდა და ამოცანებიც გაფართოვდა „ტერიტორიის გარეთ“, აღმოჩნდა პირველი ოფიციალური გამოცდის წინაშე ცივი ომის შემდგომ პერიოდში: კოსოვოს ოპერაცია. ხავიერ სოლანას თქმით, კოსოვო მნიშვნელოვანი იყო ნატოს ისტორიისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ „პირველად თავდაცვითმა ალიანსმა დაიწყო სამხედრო კამპანია საკუთარი საზღვრების გარეთ ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად. პირველად, სუვერენული ერების ალიანსი იბრძოდა არა ტერიტორიის დასაპყრობად ან შესანარჩუნებლად, არამედ იმ ღირებულებების დასაცავად, რომლებსაც ეფუძნება თავად ალიანსი“ (Solana, 1999:114).

ეს თავი ძირითადად არის კოსოვოს ოპერაციის შემთხვევის შესწავლა, რომელიც ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ იქნა აშშ-ს მიერ გადაწყვეტილებები მიღებული კოსოვოს შემთხვევაში. იგი ჯერ გვაცნობს ომის ისტორიულ ფონს, შემდეგ კი ასახავს იმას, თუ როგორ შეიცვალა აშშ-ს პოლიტიკა ჩაურევლობიდან სამხედრო ინტერვენციამდე. კოსოვო ძირითადად ნატოს ოპერაცია იყო; შესაბამისად, თავი შემდგომ გადადის იმის შეფასებაზე, იყო თუ არა ეს ნატოს წარმატებული ოპერაცია და

აანალიზებს კოსოვოს მისიის მემკვიდრეობას ნატოზე კოსოვოს ომის შედეგების ჩათვლით.

§. „უძველესი სიძულვილიდან“ დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებამდე

მეორე მსოფლიო ომის მოვლენები კოსოვოელების მზარდი აღშფოთების მიზეზი გახდა, როდესაც თავიანთი სამშობლო, ტერიტორიული ფართობით მცირე, იხილეს დანაწილებულ-დაყოფილი გერმანელებს, იტალიელებსა და ბულგარელებს შორის. ტიტოს კომუნისტური აგენტები დაჰპირდნენ, რომ მხარს დაუჭერდნენ ყველა ალბანელის გაერთიანებას: „ომის შემდეგ ერთიანი ალბანეთი-კოსოვო გახდებოდა იუგოსლავიის ნაწილი, ან თუნდაც ზოგადად უფრო დიდი ბალკანეთის ფედერაცია“. თუმცა, როგორც გაირკვა, 1945 წლის შემდგომ იუგოსლავიის სახელმწიფომ არა მხოლოდ სერბებს, არამედ ალბანელებსაც გაუცრუა იმედი (Rogel, 2004:73).

სერბეთი გახდა ექვსი ფედერაციული რესპუბლიკიდან ერთ-ერთი, სადაც მრავალი სერბი გაფანტული აღმოჩნდა მეზობელ იუგოსლავიის რესპუბლიკებში. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სახელმწიფო სტრუქტურა თავდაპირველად შეიქმნა ფედერალურ ერთეულებს შორის თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, სერბებს სჯეროდათ, რომ მიზანი იყო სერბეთის უფრო მეტად დასუსტება. მეორეს მხრივ, კოსოვო, მიუხედავად იმისა, რომ მიენიჭა „ავტონომიური რეგიონის“ სტატუსი მისი დიდი ალბანური მოსახლეობის გამო, გახდა სერბეთის ნაწილი და არა ალბანეთისა, ვისთან ინტეგრაციაც მას თავად სურდა. სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა იმით, რომ იუგოსლავიის კონსტიტუცია, რომელიც გამოქვეყნდა 1946 წელს, ალბანელებს „ეროვნებად“ და არა „ერად“ ასახელებდა, რაც გულისხმობდა, რომ ალბანელები ვერასოდეს დააფუძნებდნენ საკუთარ რესპუბლიკას. ამდენად, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ვერც სერბებმა და ვერც ალბანელებმა ვერ მიიღეს ის, რისთვისაც იბრძოდნენ, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დასრულდა (Rogel, 2004:73).

კოსოვოელი ალბანელებისკენ სასიკეთოდ ბედი მხოლოდ 1960-იან წლებში შემოტრიალდა. 1963 წელს იუგოსლავიის მთავრობამ კოსოვო „პროვინციის“ სტატუსამდე აიყვანა; 1965 წელს კოსოვოს გამოეყო ფინანსური დახმარება, რომელიც შეადგენდა ე.წ. სპეციალური ფედერალური ფონდის 40%-ს, რომელიც შეიქმნა განუვითარებელი რეგიონების ეკონომიკური გაუმჯობესებისთვის; 1967 წელს

ტიტომ მნიშვნელოვანი ვიზიტი განახორციელა პროვინციაში; 1968 წელს „მეტოჰია“, დიდი აუზი, რომელიც მოიცავს კოსოვოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, ამოიღეს პროვინციის სახელიდან; ხოლო 1969 წელს კოსოვომ შეადგინა ახალი კონსტიტუცია და დააარსა ახალი უზენაესი სასამართლო (Rogel, 2003:167-182).

ერთი ნაბიჯით წინ წაწევის მიზნით, 1974 წლის კონსტიტუციამ საბოლოოდ მისცა კოსოვოს უფლება, ჰქონოდა თანაბარი ხმები ეროვნულ სამთავრობო ორგანოებში, რითაც მოხდა კოსოვოს იდენტიფიცირება, როგორც იუგოსლავიის ფედერაციის ექვსი ერთეულთაგანისა. მეორე მხრივ, ალბანელების გამარჯვებით წახალისებულმა ან სტიმულირებულმა სერბებმა დაიწყეს სერბების გაერთიანებისკენ სწრაფვა. „სერბული ნაციონალიზმის“ აღზევებასთან ერთად, კოსოვო მალევე განიხილებოდა, როგორც ყველაზე შესაფერისი ადგილი სერბების გეგმის დასაწყებად, რადგან კოსოვო არსებითად „სერბეთის ისტორიული და სულიერი ცენტრი“ იყო (Silber, Little, 1997).

ეთნიკური დაძაბულობა მკვეთრად არ გაზრდილა მანამ, სანამ სლობოდან მილოშევიჩი, რომელმაც კოსოვოს ავტონომია ჩამოართვა, 1989 წელს სერბეთის პრეზიდენტი არ გახდა. მომდევნო წლებში, ნაციონალისტური კურსის შესანარჩუნებლად, მილოშევიჩმა მიატოვა პარტიული იდეოლოგია და ყურადღება გაამახვილა კომუნისტური პარტიების ლიგის (LCY) გაწმენდაზე კოსოვოში, ვოევოდინასა და მონტენეგროში. ის ცდილობდა შეენარჩუნებინა „წინა კონფედერაციის ნარჩენები კოსოვოსა და მონტენეგროზე პოლიტიკური და სამხედრო კონტროლის გამკაცრებით“ (Petras, 1999:1414).

კონკრეტულად, კოსოვოს შემთხვევაში, რაც მილოშევიჩს უპირველეს ყოვლისა უნდა გადაეღაბა თავისი მიზნის მისაღწევად, იყო 1973 წლის კონსტიტუციით შექმნილი დაბრკოლება, რომელმაც კოსოვოს ავტონომია მისცა. ამასთან დაკავშირებით, 1989 წლის 23 მარტს კოსოვოს ავტონომიური სტატუსი გაუქმებულ იქნა პარლამენტის მიერ. ცოტა ხნის შემდეგ სერბებმა სერბეთი კვლავ ერთიან სახელმწიფოდ გამოაცხადეს.

საპასუხოდ, კოსოვოელებმა საპროტესტო აქციები მოაწყვეს, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ბელგრადის მხრიდან მკაცრი პოლიციური და სამხედრო შეზღუდვების შემოღებას მიაღწიეს. ალბანეთის კომუნისტური პარტიის

ლიდერების სასტიკმა დაპატიმრებამ და უსამართლო სასამართლო პროცესებმა საბოლოოდ გაამძაფრა დაძაბულობა ალბანელებსა და სერბებს შორის და შემფოთება გამოიწვია იუგოსლავიის სხვა რესპუბლიკებშიც. სერბების ზეწოლის ფონზე, ალბანელმა პოლიტიკურმა ლიდერებმა მაინც გამოსცეს კოსოვოს სუვერენიტეტის დეკლარაცია მას შემდეგ, რაც კოსოვომ ავტონომია დაკარგა 1989 წლის მარტში. იმავე წლის ბოლოს, ალბანელმა ლიდერებმა დააარსეს კოსოვოს დემოკრატიული ლიგა (LDK), როგორც მათი ლეგიტიმური პოლიტიკური პარტია, რომელმაც 1991 წლისთვის გააერთიანა 700 000 წევრი. იბრაჰიმ რუგოვამ, LDK-ის ლიდერმა, კოსოვოელებისთვის პოლიტიკური პროგრამა შექმნა, რაც მის მიერ პაციფიზმისადმი რწმენას ეფუძნებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ კოსოვო ღარიბი იყო, მის ხალხს იარაღი არ ჰქონდა და სერბებს სურდათ ეპოვათ საბაზი კოსოვოში ლაშქრობისთვის, რუგოვამ ამჯობინა პოლიტიკა „იყავი მშვიდად და დაელოდე“. მოკლედ რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ რუგოვა დათანხმდა საბოლოო მიზნად დაესახა კოსოვოს რესპუბლიკის შექმნა, ის მუდმივად უჭერდა მხარს სერბების მიმართ პაციფიზმის ძირითად პრინციპს (Rogel, 2003:167-182).

შემდეგი ნაბიჯი კოსოვოელების გამარჯვების გამოცხადებამდე იყო რეფერენდუმის ჩატარება საკუთარი რესპუბლიკის დაარსების შესახებ, რომელმაც ამომრჩეველთა უზარმაზარი მხარდაჭერა მიიღო 1991 წლის 22 სექტემბერს. თუმცა, არც ერთი ეს ცვლილება არ იქნა აღიარებული სერბების მიერ. სერბეთის მხარდაჭერით, რომელმაც ოფიციალურად გაგზავნა გზავნილი სერბეთის გაერთიანების შესახებ კოსოვოს ავტონომიის გაუქმების შემდეგ, ხორვატიამ და სლოვენის სერბებმა გამოსცეს დამოუკიდებლობის დეკლარაციები და ჩაატარეს რესპუბლიკური არჩევნები არაკომუნისტური მთავრობების ხელისუფლებაში მოსაყვანად 1991 წელს. ყველა ეს სიგნალი იმაზე მეტყველებდა, რომ იუგოსლავიის დაშლა ახლოვდებოდა და ომი გარდაუვალი იყო, მაგრამ კოსოვო შედარებით მშვიდად რჩებოდა, რადგანაც ჯერ ბოსნია მოექცა ყურადღების ცენტრში. ბედის ირონიით, 1980 წელს ტიტოს გარდაცვალების შემდეგ, კოსოვოში სიტუაცია არ გამწვავებულა, პირიქით, ალბანელებიც და სერბებიც მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ბოსნიის კრიზისის დროს. კოსოვოელმა ალბანელებმა „ავტონომია“ მიიღეს, როგორც „ჩვენ მიერ მართვა და ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა სერბებთან“, კოსოვოს

ალბანელები კონცენტრირდნენ საკუთარი სკოლებისა და საავადმყოფოების მართვაზე საკუთარ ქვეყანაში, ფინანსურ დახმარებას კი საზღვარგარეთ სხვა ალბანური თემებისგან მიიღებდნენ. მეორეს მხრივ, სერბები დაკავებულნი იყვნენ „სამ-წელიწადნახევრიანი ალყით სარაევოს წინააღმდეგ“ და ენდობოდნენ თავიანთი პოლიციის შესაძლებლობებს კოსოვოს პატრულირებაში. ამდენად, მათ არ ჰქონდათ დრო და ენერჯია უმართავ პროვინციასთან გამკლავებისთვის, მაგრამ ეს დროებითი მშვიდობა კოსოვოში მალევე დაირღვა ბოსნიაში ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, როდესაც დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებით უკმაყოფილო კოსოვოს ალბანელებმა სერბების მიმართ სამხედრო პოლიტიკა აირჩიეს.

§. „პაციფიზმიდან“ სამხედრო მიდგომამდე

მიუხედავად იმისა, რომ გამაფრთხილებელი ნიშნები კოსოვოდან 1980-იანი წლებიდან მოდიოდა, დასავლელმა ლიდერებმა ვერ უპასუხეს მათ რაც შეიძლება სწრაფად. მიზეზი, რის გამოც დასავლეთმა უარი თქვა კოსოვოს პრობლემის სერიოზულად აღქმაზე, ერთის მხრივ, ბოსნიისა და ხორვატიისგან განსხვავებით, იყო ის, რომ კოსოვო საყოველთაოდ აღიარებული იყო დასავლეთის მიერ, როგორც სერბეთის ნაწილი, „სუვერენული უფლებების გარეშე, რომლითაც სარგებლობდნენ იუგოსლავიისგან გამოყოფილი სხვა რესპუბლიკები“ (Hallams, 2010:36).

მეორე მხრივ, ალბანეთის ლიდერის იბრაჰიმ რუგოვას მიერ მიღებული სტრატეგია იყო „პასიური წინააღმდეგობა“, რომელიც ვარაუდობდა, რომ ომი არ იქნებოდა საჭირო, თუ ალბანელები შეძლებდნენ დემოკრატიული ინსტიტუტების აშენებას კოსოვოს შიგნით. ამდენად, მკვეთრი ყნოსვის არქონის გამო, კოსოვომ ხელიდან გაუშვა ერთადერთი შანსი ორჯერ, რომლითაც დასავლეთის ყურადღების მიპყრობა შეეძლო, სანამ კონფლიქტი მოულოდნელად გამწვავდებოდა. პირველი შანსი 1992 წლის დეკემბერში გაჩნდა, როდესაც პრეზიდენტმა ჯორჯ ჰ. ბუშმა გაგზავნა „საშობაო გაფრთხილება“, რომელიც შედგენილი იყო მისი სახელმწიფო მდივნის, ლოურენს იგლბურგერის მიერ. მილოშევიჩისთვის გაგზავნილი მესიჯი იყო, რომ „კოსოვოში სერბეთის ქმედებით გამოწვეული კონფლიქტის შემთხვევაში, შეერთებული შტატები მზად იქნება გამოიყენოს სამხედრო ძალა სერბების

წინააღმდეგ კოსოვოში და სერბეთში“ (Binder, 1992).

კოსოვოელებს უნდა გამოეყენებინათ ეს შესაძლებლობა და წამოეყენებინათ კოსოვოს საკითხი, რომელიც შესაძლოა უფრო ადრე დადებულიყო საერთაშორისო საზოგადოების დღის წესრიგში და ამით თავიდან აეცილებინათ ომის დაწყება. მეორე მანსი ეხებოდა დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების მიღებას 1995 წლის ნოემბერში, რომელმაც ბოლო მოუღო სამწელნახევრიან სისხლიან ეთნიკურ დაპირისპირებას ბოსნიაში. მილოშევიჩი მიიწვიეს დეიტონში და ექცეოდნენ, როგორც საპატიო სტუმარს და სახელმწიფოს ლეგიტიმურ მეთაურს, რადგან კლინტონის ადმინისტრაცია ეძებდა გზებს კონფლიქტის სამშვიდობო მოლაპარაკებებით დარეგულირებისათვის (Ludsin, 2005).

სინამდვილეში, თუ დავუბრუნდებით 1992 წლის აპრილში ლონდონის შეხვედრას, რომელიც მოწვეული იყო ბოსნიაში მოსალოდნელი ომის განსახილველად, მოსაზრება, რომ დასავლეთი არ ეთანხმებოდა კოსოვოს, როგორც „ერს/რესპუბლიკას“ უკვე აშკარა გახდა, რუგოვას დელეგაციას ექცეოდნენ როგორც დამკვირვებლებს და არა როგორც მონაწილეებს. თუმცა, კოსოვოელმა ალბანელებმა მხოლოდ დეიტონის შეთანხმების შემდეგ გააცნობიერეს, თუ რამდენად „უმნიშვნელონნი“ იყვნენ ისინი დასავლეთისთვის. მათი პროვინციის სტატუსი გადაუჭრელი დარჩა, მილოშევიჩი გახდა რეგიონის ხელისუფლების შუამავალი. მიუხედავად იმისა, რომ რიჩარდ ჰოლბრუკმა ხაზგასმით აღნიშნა კოსოვოში სიტუაციის სირთულე და მილოშევიჩის მიერ დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების დაცვის უზრუნველყოფა, გაერო-მ მხოლოდ ის გააკეთა, რომ ყურადღება მხოლოდ ბელგრადის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელებას დაუთმო მანამ, სანამ სერბეთი არ დაიწყებდა პოზიტიურ და პირდაპირ ურთიერთობას კოსოვოელებთან (Rogel, 2003:175).

ამრიგად, ჩათვალეს რა მხოლოდ სერბეთის შიდა/საშინაო საკითხად, კოსოვო მოხსნილი იქნა მოლაპარაკების მაგიდიდან. ამან კოსოვოელები იმედგაცრუებულნი დატოვა საერთაშორისო საზოგადოებისგან უყურადღებო ქცევით. იმედგაცრუება კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც სერბეთი და მონტენეგრო ოფიციალურად აღიარებულ იქნა ევროკავშირის მიერ იუგოსლავიის სახელმწიფოებად 1996 წლის აპრილში. ამის საპირისპიროდ, კოსოვო, როგორც 1996 წლის ივნისში განაცხადა

პრიშტინაში ახლად შექმნილი აშშ-ს საინფორმაციო ოფისის ხელმძღვანელმა, კვლავ განიხილებოდა იუგოსლავიის ნაწილად (Rogel, 2004:77).

შედეგად, მთელმა ამ ტანჯვამ აიძულა კოსოვო მიეღო გადაწყვეტილება სამხედრო მიდგომის გამოსაყენებლად. რაც კოსოვოელებმა ისწავლეს დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების შედეგად იყო ის, რომ რუგოვას პაციფიზმს არსად მიჰყავდა ისინი. პაციფისტური პოლიტიკის უარყოფის შემდეგ, კოსოვოელები შეიცვალნენ უფრო სამხედრო მიდგომის სასარგებლოდ. ფაქტობრივად, კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია (KLA), კოსოვოს ალბანური გასამხედროებული ორგანიზაცია, რომელიც ცდილობდა კოსოვოს გამოყოფას იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისგან, უკვე ჩამოყალიბდა 1990 წელს, მაგრამ შედარებით პასიური დარჩა 1995 წლამდე. სამხედრო ფრთად დაარსებულმა KLA-მ 1996 წელს დაიწყო პარტიზანული მოქმედებების სერია სერბეთის წინააღმდეგ, მათ შორის პერიოდული თავდასხმები პოლიციის განყოფილებებსა და იუგოსლავიის სამთავრობო ოფისებზე იმის დაბრალებით, რომ სერბებმა მოკლეს ალბანელი მშვიდობიანი მოსახლეობა ეთნიკური წმენდის კამპანიის ფარგლებში (Allan, Zelizer, 2004).

საკვასუხოდ, სერბეთის ხელისუფლებამ დაგმო KLA, როგორც ტერორისტული ჯგუფი და გააძლიერა პოლიციის მმართველობა რეგიონში მისი უსაფრთხოების ძალების გაზრდით. სერბეთის მცდელობამ მოეხდინა KLA-ს იზოლაცია ტერორიზმის იარაღის მიწებებით, გამოიწვია კონტრპროდუქტიული ეფექტი, კერძოდ KLA-ს სანდოობა ამაღლდა კოსოვოს ალბანელებში. სერბების ქმედებები კი დაგმობილ იქნა. სერბები ცდილობდნენ კოსოვოს ეთნიკურად ალბანელი მოსახლეობისგან გაწმენდას, 1997 წლის ოქტომბერში და ნოემბერში სერბების მიერ მოკლულ იქნა KLA-ს რაზმის მებრძოლები, მათ დაკრძალვას კი ესწრებოდა 33,000-მდე მგლოვიარე ალბანელი. ამგვარად, მკვლელობები გაგრძელდა, KLA-ს შურისძიებამ იმატა და გაიზარდა KLA-ს მხარდაჭერაც (Rogel, 2003:175).

ამ კამპანიამ საბოლოოდ დააჩქარა იუგოსლავიის სამხედრო ძალების ძირითადი გადამჭრელი ზომები, რამაც გამოიწვია კოსოვოს კრიზისი 1998 და 1999 წლებში. კოსოვოში ძალადობის გაუარესებამ უდავოდ შეაშფოთა დასავლეთი, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ გაეკრიტიკებინა სამხედრო ინტერვენცია, რომელსაც

ხელმძღვანელობდნენ მილოშევიჩი და სერბი მილიციელები კოსოვოში, რამაც ხელი შეუწყო „კოსოვოს ალბანელების ქვეყნიდან აყრას და ლტოლვილთა კრიზისს“, რობერტ გელბარტი, აშშ-ს წარმომადგენელი პრიშტინაში, ცდილობდა ალბანელებისთვის ლექციები წაეკითხა. მან საჯაროდ უწოდა KLA-ს „ყოველგვარი ეჭვის გარეშე ტერორისტული ჯგუფი“, რადგან „KLA ჩართული იყო თავდასხმებში სერბ ნაციონალისტებთან კოსოვოში, რეპრესიებში ეთნიკური ალბანელების წინააღმდეგ, რომლებიც „თანამშრომლობდნენ“ სერბეთის მთავრობასთან“ (Moran, 2006).

ამას თბილად მიესალმნენ სერბები, რომლებმაც გაიგეს ეს, როგორც „ტერორისტების“ აკრძალვის (მკაცრი ზომების გატარების) გზა „მათსავე პროვინციაში“. ამავდროულად, დიდმა ბრიტანეთმა ბელგრადში გაგზავნა თავისი საგარეო საქმეთა მინისტრი რობინ კუკი, რათა დაეყოლიებინა მილოშევიჩი ალბანელებთან მოლაპარაკებაზე. თუმცა, მილოშევიჩმა უარი თქვა ელჩთან შეხვედრაზე. დასავლეთი საბოლოოდ გამოფხიზლდა და გააცნობიერა, თუ რამდენად მძიმე იყო სიტუაცია და რამდენად მკაცრი იყო მილოშევიჩი. 1998 წლის 7 მარტს, მადლენ ოლბრაიტმა, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა, მკაცრად განაცხადა: „ჩვენ არ ვაპირებთ განზე გავდგეთ და ვუყუროთ სერბეთის ხელისუფლებას, როგორ აკეთებენ კოსოვოში იმას, რასაც ბოსნიაში ვეღარ აღწევენ თავს“ (Albright, 2003:380-381).

ოლბრაიტის შეხედულება იყო, არ დაეშვათ იგივე შეცდომა, რაც ბოსნიაში. მალე მას შემდეგ, რაც „საკონტაქტო ჯგუფის“ ქვეყნებმა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და რუსეთი) მოიწვიეს შეხვედრა ლონდონში კოსოვოს საკითხის განსახილველად, რობერტ გელბარდი გაემგზავრა მილოშევიჩთან შესახვედრად და გააფრთხილა ნატოს მიერ სამხედრო ძალის შესაძლო გამოყენების შესახებ სერბეთის წინააღმდეგ (Moskowitz, Lantis 2004:256).

მან ასევე მოუწოდა კლინტონის ადმინისტრაციას დაებოძა სერბეთი, რაზეც თავდაპირველად უარი თქვა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველმა სენდი ბერგერმა. მოგვიანებით, მარტში, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1160, რომლითაც დაგმო იუგოსლავიის მიერ ძალის გადამეტებული გამოყენება და KLA-ს ტერორისტული აქტები.

უფრო მეტიც, მაისში, რიჩარდ ჰოლბრუკი, „მილოშევიჩის ჭიქის მეგობარი დეიტონიდან“, აირჩიეს ლობისტად, რათა დაერწმუნებინა მილოშევიჩი რუგოვასთან სასაუბროდ. ამის შემდეგ, 15 მაისს, მილოშევიჩისა და რუგოვას პირველი შეხვედრა დროულად გაიმართა, თუმცა დიალოგი სწრაფად ჩაიშალა. რუგოვას არ სურდა დანებება და არ იშურებდა ძალისხმევას მშვიდობიანი შეთანხმების მისაღწევად. 1998 წლის მაისში რუგოვა და კოსოვოს ალბანეთის სხვა ოფიციალური პირები გაემგზავრნენ ვაშინგტონში პრეზიდენტ კლინტონთან, ვიცე პრეზიდენტ გორთან და სახელმწიფო მდივან ოლბრაიტთან შესახვედრად. ოვალურ კაბინეტში გამართულმა შეხვედრამ საბოლოოდ მისცა კლინტონს უფლება შეეთავაზებინა მხარდაჭერა კოსოვოს ალბანელებისთვის. მომდევნო თვის დასაწყისში რუგოვა გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს შეხვდა და მოითხოვა გაეროს ან ნატოს დაუყოვნებლივ ჩარევა.

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულმა შტატებმა პირობა დადო „ბოსნიას არ გაიმეორებდნენ“, მას მაინც არ სურდა ჩართვა, როდესაც სერბეთის ეროვნულმა რეფერენდუმმა 1998 წლის 23 აპრილს აჩვენა, რომ სერბების 95%-მა უარყო საგარეო მედიაცია კოსოვოს კრიზისის მოსაგვარებლად.

ფაქტობრივად, აშშ-ს დამოკიდებულება უცვლელი დარჩა: დაე, იუგოსლავიის მთავრობას ეწარმოებინა ვაჭრობა KLA-სთან, რაც იყო „პოლიტიკა, რომელსაც ვაშინგტონი არასოდეს განიხილავდა თავისთვის - მოლაპარაკება ჯგუფთან (KLA), რომელიც მან ტერორისტულ ორგანიზაციად მოიხსენია“ (Dempsey, 1998). აშშ-ს უფრო მკაცრი და მტკიცე პოზიცია გამოიკვეთა და ნათელი გახდა მხოლოდ ნატოს მინისტრიალის შემდეგ. უილიამ კოენმა აშშ-ს თავდაცვის მდივანმა, მოუწოდა ნატოს თავდაცვის მინისტრებს, „განიხილონ ყველა სამხედრო ვარიანტი... არ შემოიფარგლონ ჰაერით, ხმელეთით ან ზღვით ან ამ სამის კომბინაციით“.

სხვა მინისტრებმაც, რომლებიც შემფოთებულნი იყვნენ რეგიონში არსებული დაძაბული სიტუაციით, გადაწყვიტეს მილოშევიჩის გატეხვა საჰაერო წვრთნების ჩატარებით, კერძოდ, „შეუპოვარი შევარდენით“ (Solana, 1998).

ნატოს 85 სამხედრო თვითმფრინავი გაიგზავნა ალბანეთისა და მაკედონიის თავზე „ბალკანეთის საჰაერო შოუში“ საფრენად, რაც წინასწარ აფრთხილებდა მილოშევიჩს ნატოს შესაძლებლობის შესახებ, სწრაფად აელო ძალაუფლება

რეგიონში. გარდა ამისა, რიჩარდ ჰოლბრუკი კვლავ გაგზავნეს მილოშევიჩთან მოსალაპარაკებლად, რომელიც დათანხმდა კოსოვოს მონიტორინგის ძალებს, კოსოვოს დიპლომატიურ დამკვირვებელთა მისიას (KDOM). თუმცა, სერბეთის თანამშრომლობითი ჟესტი დიდხანს არ გაგრძელებულა. KDOM-ის მონიტორინგის ოპერაციების დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ, სერბეთის ძალებმა გააძლიერეს ზაფხულის შეტევა დრენიცას რეგიონში KLA-სა და კოსოვოს ალბანურ სოფლებზე თავდასხმით, რამაც დიდწილად შეცვალა ალბანეთის მიღწევები (Elsie, 2004:98).

მეორე მხრივ, სულ მცირე 34 ადამიანის ცხედარი, რომლებიც სერბი პოლიციის მტკიცებით მოკლული იქნა KLA-ს მიერ, აღმოაჩინეს არხში სოფელ გოლჯიანეს მახლობლად, რამაც გამოიწვია სერიოზული ბრალდებები KLA-ს წინააღმდეგ (Krieger, 2001:108).

ძალადობის შესაჩერებლად გაეროს უშიშროების საბჭომ 23 სექტემბერს მიიღო რეზოლუცია 1199, რომელიც მოითხოვდა სერბების გაყვანას და ლტოლვილების დაბრუნებას, თუმცა ერთადერთი შედეგი, რაც ამ დადგენილებას მოჰყვა, იყო მძიმე დარღვევა - სერბმა ძალებმა უგულვებელყვეს უშიშროების საბჭოს 1199 დადგენილება და კიდევ 35 ადამიანი მოკლეს გორნიე ობრინიეში, რომელთაგან 21 ერთი ოჯახიდან იყო. მიხვდა რა, რომ სერბებიც და ალბანელებიც უარს იტყოდნენ რეზოლუციის სრულად შესრულებაზე, ნატომ დაიწყო სამხედრო ძალის გამოყენების ლეგიტიმურობის განხილვა. აქტივაციის გაფრთხილების გაცემის ნებართვა (ACTWARN) საბოლოოდ მიეცა ნატოს უზენაეს მეთაურს ნატოს თავდაცვის მინისტრიალის შემდეგ შეხვედრაზე ვილამურაში (პორტუგალია). რაც შეეხება ACTWARN-ს, როგორც პირველ რეალურ ნაბიჯს საჭაერო თავდასხმებისთვის მოსამზადებლად, ნატომ კიდევ უფრო გააორმაგა ინტერვენციის ლეგიტიმაცია საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის ცნობილი მსჯელობის გაზიარებით, რომ ჰუმანიტარული საგანგებო მდგომარეობა ამის საშუალებას აძლევდა. ნატოს სხვა წევრები, როგორცაა გერმანია, ასევე შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია დაიწყო „ისტორიაში პირველი ჰუმანიტარული ომი გენოციდის წინააღმდეგ“ (Rouleau , 1999).

იმავე თვის ბოლოს, სერბეთის წინააღმდეგ საჭაერო თავდასხმების მომხრე ოლბრაიტმა ადმინისტრაციას სთხოვა ეცნობებინა კაპიტოლიუმისთვის გემის

შესახებ. თუმცა, ოლბრაიტის წინადადებას შეხვდა კონგრესის მხრიდან წინააღმდეგობა, რის გამოც ადმინისტრაციას არ დაუტოვეს შანსი კოსოვოში სახმელეთო ჯარების გაგზავნის, თუნდაც სამშვიდობოების სახით. ბედის ირონიით, საბოლოო გადაწყვეტილებისკენ რუსეთმა უბიძგა, რომელმაც 8 ოქტომბერს ლონდონის ჰითროუს აეროპორტში შეხვედრისას საკონტაქტო ჯგუფის ლიდერებს „არაპირდაპირი ნებართვა“ მისცა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა უთხრა ჯგუფს, რომ „თუ გაეროს სერბეთში ინტერვენციას შესთავაზებენ, რუსეთი (და მასთან ერთად, ჩინეთიც) მას ვეტოს დაადებს; თუმცა, თუ ნატო ჩაერევა, რუსეთი ამას მხოლოდ გააპროტესტებს“ (Rogel, 2003:176).

სანამ ნატო აყალიბებდა „აქტივაციის ბრძანებას“ (ACTORD) შეზღუდული დაბომბვის კამპანიის მომზადების უფლებით, კოსოვოში მშვიდობის ნიშანი გაჩნდა, რამაც ნატო აიძულა გეგმა დროებით შეეჩერებინა. მშვიდობის ეს ნიშანი, ეგრეთ წოდებული „ოქტომბრის შეთანხმება“, რეალურად მიღწეული და უზრუნველყოფილი იყო რიჩარდ ჰოლბრუკის მიერ. ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, 13 ოქტომბერს, ჰოლბრუკმა დაარწმუნა მილოშევიჩი დათანხმებულიყო „სერბეთის მიერ გაეროს 1199 რეზოლუციაზე, ცეცხლის შეწყვეტაზე, ჯარების გაყვანაზე, არჩევნებზე, კოსოვოს არსებით ავტონომიაზე და სხვა ნდობის აღდგენით ზომებზე“ (Vann, 1998).

გარდა ამისა, შეთანხმების თანახმად, კოსოვოს შემმოწმებელი მისია (KVM), რომელიც ჩამოყალიბდა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) შეუიარაღებელი დამკვირვებლების მიერ, იმუშავებდა KDOM-თან ერთად რეგიონში ძალადობის მონიტორინგზე. ამრიგად, ნატომ ACTORD-ის ვადა 27 ოქტომბრამდე გაახანგრძლივა. მშვიდობის ამ იშვიათი შესაძლებლობის გამოსაყენებლად, გენერალი უესლი კლარკი, ნატოს უმაღლესი მეთაური და გენერალი კლაუს ნაუმანი, ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, ერთად გაემგზავრნენ ბელგრადში 24 ოქტომბერს. ამ დროულმა ვიზიტმა მიაღწია იმას, რომ მილოშევიჩი დაეთანხმა შეთანხმებას კოსოვოში ძალების შემცირებაზე. ამის შემდეგ, ათასობით სერბი უშიშროების ძალები კოსოვოდან გავიდა და ათასობით კოსოვოელი ალბანელი დაბრუნდა მთებიდან. კლინტონი მიესალმა იმ მოვლენებს, რომლებიც იძლეოდნენ კრიზისის დიპლომატიურად გადაწყვეტის საშუალებას, თუმცა მან ასევე

გააფრთხილა, რომ „ვალდებულებები არაა შესაბამისობაში, ბალკანეთის სასაფლაოები სავსეა პრეზიდენტ მილოშევიჩის გატეხილი დაპირებებით.“ იგივე მოსაზრებას იზიარებდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ტონი ბლერი, როცა თქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებამ „გარღვევა“ მოახდინა, ნატო მაინც „მზადაა საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოსაყენებლად“.

ეს შეშფოთება საფუძვლიანი აღმოჩნდა. ზამთრის დადგომასთან ერთად კოსოვოში სასაზღვრო შეტაკებები და შებრძოლებები უკან დაბრუნდა, რადგან სერბეთი უკმაყოფილო იყო მაკედონელების მიმართ, რომლებმაც ნატო-ს თავის ტერიტორიაზე ჯარების განლაგების უფლება მისცეს. სერბეთის გამოწვევის მოსაგვარებლად და კოსოვოში სამშვიდობოების დასაცავად, ნატომ მაკედონიაში განათავსა „ექსტრაქციის ძალები“ (XFOR). სერბებმა, შეჩერების ნაცვლად, 15 იანვარს ალბანურ სოფელ რაჩაკაში 45 მოსახლე დახოცეს სერბეთის ოთხ პოლიციელზე KLA-ს თავდასხმის საპასუხოდ. ამ ტრაგედიამ კიდევ უფრო დაარწმუნა საკონტაქტო ჯგუფი და ნატო, რომ პირდაპირი ინტერვენცია სერბეთის წინააღმდეგ აუცილებელი იყო. რაჩაკის ხოცვა-ჟლეტის ფონზე, ოლბრაიტის მიერ აშშ-ს ან ნატოს ულტიმატუმი საბოლოოდ გამარჯვებული აღმოჩნდა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის უმაღლესი მრჩევლების შეხვედრაზე. აშშ-ს განცხადებიდან ათი დღის შემდეგ, საკონტაქტო ჯგუფმა ულტიმატუმი წაუყენა კოსოვოს ალბანელებსა და სერბებს და მოუწოდა მათ სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებისკენ საფრანგეთში, რამბუიეში 6 თებერვალს. ყველა დაინტერესებულისთვის ცხადი იყო, რომ ეს იქნებოდა „პრობლემის სრულყოფილად მოგვარების ბოლო შესაძლებლობა“ (Solana, 1999:116). მიუხედავად იმისა, რომ მილოშევიჩმა უარი თქვა დასწრებაზე, მან პირობა დადო, რომ სერბების წარმომადგენლები გამოჩნდებოდნენ რამბუიეში და სერბეთის საელჩო პარიზში ასევე დაუჭერდა მხარს დელეგაციას, მაგრამ შეხვედრაზე გაგზავნილი სერბები, ეპისკოპოს არტემიეს გარდა, არც ერთი არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი. ჩვეულებისამებრ უხეშად, მათ გააფრთხილეს კოსოვოელები, რომ საფრანგეთში ჩასვლის შემთხვევაში მათ ნებისმიერ წარმომადგენელს დააპატიმრებდნენ. სწორედ საფრანგეთმა გადაარჩინა კონფერენცია ასეთ საგანგებო ვითარებაში. კოსოვოელებისთვის აუცილებელი სამგზავრო დოკუმენტებითა და ტრანსპორტირების დაუყოვნებლად მიწოდებით, ფრანგებმა საბოლოოდ მიიღეს 16-კაციანი დელეგაცია, რომლის წამყვანი ალბანელები

იყვნენ პაციფისტი რუგოვა, 29 წლის სამხედრო შეიარაღებული ძალების უფროსი ჰაშიმ თაჩი და Koha Ditore-ს რედაქტორი ვეტონ სუროი. თუმცა, სერბეთის დელეგაციაზე უკეთესები არც ესენი აღმოჩნდნენ, რადგან ალბანური დელეგაციის „განსხვავებული ჯგუფისგან შემდგარ, მეტოქე ფრაქციების კუთვნილ პირებს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს“, გაუჭირდა შიდა კონსენსუსის მიღწევა შეთანხმებების ხელმოსაწერად. ეს „მშვიდობის კონფერენცია“ მოელოდა ორი დოკუმენტის დაბადებას, რომელთაგან პირველი შეიცავდა დაუთმობელ პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ იუგოსლავიის ტერიტორიულ მთლიანობას და ამავედროულად უარს ამბობდნენ კოსოვოს დამოუკიდებლობაზე და იცავდნენ ადამიანის უფლებებს როგორც სერბებისთვის, ასევე ალბანელებისთვის. მეორე დოკუმენტი, ეგრეთწოდებული „გარდამავალი შეთანხმება“, მიზნად ისახავდა ისეთი საკითხების განხილვას, როგორცაა ცეცხლის შეწყვეტა, წარმომადგენლობითი ასამბლეა კოსოვოში და არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხანგრძლივად მსჯელობდნენ კონკრეტულ საკითხებზე და გამოთქვამდნენ განსაკუთრებულ შემფოთებას დამოუკიდებლობის თაობაზე მომავალი რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, ალბანელები კონფერენციას ხუმრობად თვლიდნენ.

ამჯერად ამერიკელებმა მოლაპარაკებების გადარჩენის ინიციატივა აიღეს ხელში. პრეზიდენტმა კლინტონმა, 1998 წლის აგვისტოდან მოყოლებული მონიკა ლევინსკისთან მისი „არასათანადო ურთიერთობის“ გამო იმპიჩმენტის ჩაწყენარების შემდეგ, მოიწვია შეხვედრა საგარეო პოლიტიკის გუნდთან, რათა განეხილათ „ნატოს დაგეგმვა, აშშ-ის ხარჯები და კოსოვოს ძალების (KFOR) გასვლის სტრატეგია (Kim, Woehrel, 2008).

იმპიჩმენტის დრამის დასრულების შემდეგ, პრეზიდენტმა კლინტონმა მაშინვე წარმოთქვა რადიომიმართვა და დააკონკრეტა თავისი განზრახვა, რომ 4000 ამერიკელი სამშვიდობო გაგზავნილი იქნებოდა კოსოვოში ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ.

გარდა ამისა, სერბების უნდობლობამ ხელი მოეწერათ შეთანხმებაზე, აიძულა კლინტონი ჯერ ალბანელებთან ეთანამშრომლა. ალბანელებისთვის შეთანხმების მიღების მცდელობისას, ოლბრაიტი საფრანგეთში გაფრინდა მოლაპარაკებების

ბოლო დღეებში, რომლის დროსაც იგი კოსოვოელებს დაპირდა დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარებას სამ წელიწადში. მოთხოვნის შესაბამისად, რამბუიეს კონფერენცია შეჩერდა, რათა კოსოვოს დელეგაციას მისცემოდა დრო ალბანელებთან კონსულტაციებისთვის. 18 მარტს კოსოვოს ალბანელებმა საბოლოოდ მოაწერეს ხელი შეთანხმებას, ხოლო სერბები ისევ უარზე იყვნენ. სამშვიდობო მოლაპარაკებების „მოსალოდნელმა წარუმატებლობამ“ საბოლოოდ მისცა შეერთებულ შტატებს საშუალება ეთქვათ, რომ ალბანელები იყვნენ „კარგი ბიჭები“, რაც, ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, აკმაყოფილებდა აშშ-ს რეალურ მიზანს, რომ ევროპას საბოლოოდ დაემტკიცებინა, რომ სერბები შეურიგებელი იყვნენ (Daalder, Hanlon, 2000:89).

პრეზიდენტმა კლინტონმა გამოიყენა შესაძლებლობა შეხვედროდა კონგრესის ლიდერებს, რათა განეხილათ აშშ-ს KFOR-ის როლი. იმავდროულად, რიჩარდ ჰოლბრუკი და კრისტოფერ ჰილი მილოშევიჩთან შესახვედრად წავიდნენ, რათა ის ნატოს შეთანხმებას დათანხმებოდა. თუმცა, მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო და დადასტურდა, რომ სერბების მხრიდან შეთანხმების „ნული მთელი ნული პროცენტი“ შანსი იყო. და რაც უფრო უარესი იყო, 20 მარტს 40 000 სერბული ჯარი სწრაფად გადავიდა კოსოვოში KVM-ის წასვლის შემდეგ. კოსოვოს ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-ცენტრალურ ნაწილებში ახალი შეტევების გატარებით, სერბეთის ჯარები უფრო და უფრო აგრესიულები ხდებოდნენ. აქამდე, ყველა დიპლომატიური მცდელობა კოსოვოში მშვიდობის მისაღწევად წარუმატებელი აღმოჩნდა. ამან, კიდევ უფრო დაარწმუნა დასავლეთი, რომ იუგოსლავიაზე ნატოს საჭაერო თავდასხმების თავიდან აცილების ძალიან მცირე პერსპექტივა არსებობდა.

§. „78-დღიანი ომი“

24 მარტს დაიწყო კოსოვოს საჭაერო კამპანია, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც "78 დღიანი ომი". ამ კამპანიას არ გააჩნდა გაეროს უშიშროების საბჭოს კონკრეტული ავტორიზაცია/ნებართვა. ამრიგად, გაეროს წინა რეზოლუციებზე დაყრდნობით, რომლებიც მოითხოვდნენ მილოშევიჩის ეუთოსა და ნატოსთან დადებული შეთანხმებების სრულ და სწრაფ შესრულებას, აშშ-ს ხელმძღვანელობით

ნატო იყო მთავარი ძალა საჰაერო თავდასხმების განსახორციელებლად. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც შეერთებულმა შტატებმა აირჩია გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლა, იყო ის, რომ უშიშროების საბჭოს წევრებს შორის კონსენსუსის პროგნოზი არ იყო იმედისმომცემი. როგორც ადრე იგორ ივანოვმა განაცხადა, რუსეთი და ჩინეთი ვეტოს დაადებენ ინტერვენციის წინადადებას, თუკი ის გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე იქნება დაყენებული, თუმცა რუსეთი და ჩინეთი მხოლოდ გააპროტესტებდა და ხელს არ შეუშლიდა ნატოს ოპერაციას კოსოვოში. როდესაც კოსოვოში ომის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა დაუყოვნებლივ გააუქმა თავისი მოგზაურობა ვაშინგტონში შუა ფრენის დროს, რათა ეჩვენებინა რუსეთის წინააღმდეგობა იუგოსლავიაზე თავდასხმების დაწყებასთან დაკავშირებით (Lobe, 1999).

აქედან გამომდინარე, ნატოს თავდასხმის მზარდმა დაგმობამ გადადო რუსეთის დუმის კენჭისყრა Start II ხელშეკრულებისთვის. გარდა ამისა, რუსებმა განაგრძეს ზეწოლა შეერთებულ შტატებსა და ნატოზე მას შემდეგაც, რაც ნატო რეალურად ჩაერთო კოსოვოში. რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა გამოაცხადა დაბომბვის ან ნატოს სახმელეთო ომის თაობაზე და გააფრთხილა აშშ და მისი მოკავშირეები, რომ რუსეთი მზად იყო მონაწილეობა მიეღო ევროპულ ან მსოფლიო ომში. გენადი სელეზნევა, დუმის პრეზიდენტმა, განაცხადა კიდევ, რომ ელცინმა მოამზადა ბირთვული რაკეტები სერბეთის თავდამსხმელების დასამიზნებლად. ამასთან დაკავშირებით, ვიქტორ ჩერნომირდინი ვაშინგტონ პოსტში წერდა, რომ საჰაერო თავდასხმების გაგრძელება რუსეთ-აშშ კონტაქტებს რამდენიმე ათწლეულით უკან დახევს: „მსოფლიო ამ ბოლო ათწლეულში არასოდეს ყოფილა ასე ახლოს ბირთვული ომის ზღვარზე, როგორც ახლა“ (Chernomyrdin, 1999).

მაგრამ არცერთ მათგანზე არ მიუქცევია აშშ-ს სერიოზული ყურადღება, ალიანსი დაჟინებით აგრძელებდა ნატოს ერთიანი სამეთაურო სტრუქტურის შენარჩუნებას (Chossudovsky, 1999).

შედეგად, მოგვიანებით, ბირთვული რაკეტების ბრალდების უარყოფის შემდეგ, ელცინმა მოისურვა დასავლეთთან ურთიერთობის გადარჩენა. ვიქტორ ჩერნომირდინი დაინიშნა სპეციალურ წარმომადგენლად ბალკანეთში, ხოლო პრემიერ მინისტრი პრიმაკოვი გაათავისუფლეს. ნატოსთან შედარებით გაეროს

არასაკმარისი შესაძლებლობების აღიარებისას, კრიტიკოსებმა კიდევ ერთი შეკითხვა წამოაყენეს: „რატომ გახდა ნატო, ვიდრე ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია, როგორცაა ევროკავშირი, WEU, კოსოვოში ინტერვენციის მთავარი ინსტრუმენტი“. ელენ ჰალამსი თვლიდა, რომ სამი ძირითადი ფაქტორი იყო კრიტიკული ნატოს შეუცვლელი პოზიციის უზრუნველსაყოფად: „ნატოს პოზიცია, როგორც ევროპის უსაფრთხოების უპირველესი გარანტი; ბოსნიაში ნატოს მისიის შედეგად მიღებული გამოცდილება; და ალიანსის აშშ-ს ხელმძღვანელობა“ (Hallams, 2010:38).

ამრიგად, შეერთებულმა შტატებმა აირჩია ნატო საკაერო თავდასხმების დასაწყებად, რომლის მისია იყო არა მხოლოდ ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილება, არამედ ნატოს ლიდერობის შენარჩუნება ევროპის უსაფრთხოების საკითხებში. ოლბრაიტმა განაცხადა, რომ აუცილებელი იყო ნატოს ინტერვენციის მიღმა მორალური იმპერატივის დამტკიცება, იმის გათვალისწინებით, რომ კოსოვოში ძალიან ბევრმა ხოცვა-ჟლეტამ ძლიერ შოკში ჩააგდო მსოფლიო.

ტონი ბლერი, ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი და ჯორჯ რობერტსონი, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი, ასევე იყვნენ ჰუმანიტარული ინტერვენციის კურსის ძლიერი მხარდამჭერები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ მორალური და ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილების ფართო და ფუნდამენტურ აუცილებლობას. სხვა საფუძვლიანი დასაბუთება, კერძოდ, ნატოს ან ვაშინგტონის სანდოობისა და ლიდერობის გარანტია, განიხილებოდა ინტერვენციის რეალურ მამოძრავებელ ძალად. „ბოსნიაში ნატოს სანდოობა დადგა, რადგან ის ვერ ჩაერია ადრე კრიზისში; კოსოვოში ალიანსის სანდოობა საფრთხის ქვეშ იყო, რადგან მას არ შეეძლო ბოსნიაში დაშვებული შეცდომების გამეორება“ (Hallams, 2010).

ნატოს გაფართოების გეგმა ერთი ნაბიჯით წინ წავიდა, პოლონეთის, უნგრეთის და ჩეხეთის ნატოში მოწვევით. მათ სურდათ ძალ-ღონე არ დაეშურებინათ თავიანთი ძნელად მოპოვებული გამარჯვების დასაცავად. ნატოს გაფართოებისთვის აშშ-ის ძალისხმევამ არა მხოლოდ აჩვენა აშშ-ს ფუნდამენტური ერთგულება ნატოსადმი, არამედ ასევე დაადასტურა რწმენა, რომ აშშ უნდა დარჩეს ევროპის ნებისმიერი განვითარებადი უსაფრთხოების არქიტექტურის ცენტრში. შედეგად, შეერთებულმა შტატებმა დაივალდებულა თავი ნატოს მიმართ

მონაწილეობა მიეღო კოსოვოს კრიზისში და იწინასწარმეტყველა, რომ კოსოვოში წარმატება ხელს შეუწყობს აშშ-ს ლიდერობის კონსოლიდაციას ევროპაში და ალიანსის გაერთიანებას. ამ მიზნით, ნატო-ს თავიდანვე გათვალისწინებული ქმედება იყო ისეთი მოქმედება, რომელიც შემოიფარგლებოდა ბელგრადის გარეუბანში მსუბუქი დაბომბვით, სერბეთის საჰაერო თავდაცვის სისტემების გატეხვით და სერბეთის სარდლობისა და კონტროლის შესაძლებლობების შემცირებით, რაც მხოლოდ რამდენიმე დღეს უნდა გაგრძელებულიყო.

გ. ნატოს სავალალო ქმედებები

თავდაპირველად ნატოს ინიციატივას სამხედრო მოქმედებების განხორციელებაზე სერბებმა ეჭვის თვალთ შეხედეს და არ შეშინებულან. ომის დაწყებიდან მეორე დღეს სერბმა ჯარებმა სოფელ ბელა ცრვკასთან პროვოკაციულად მოკლეს 60-ზე მეტი კოსოვოელი ალბანელი. იუგოსლავიამ უკომპრომისო დამოკიდებულებით მაშინ უშიშრად გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები აშშ-სთან, დიდ ბრიტანეთთან, გერმანიასთან და საფრანგეთთან, რითაც გამოხატა ომისთვის მზადყოფნა. მეორე მხრივ, კოსოვოს ალბანელები ზოგადად მიესალმნენ ნატოს ჩართულობას, მაგრამ დაბომბვის დაწყებისთანავე მათ სხვა გზა არ ჰქონდათ, თუ არა პროვინციის დატოვება სპეციალური „ლტოლვილთა მატარებლებით“. სტატისტიკის მიხედვით, მხოლოდ პირველ კვირაში დაახლოებით 300 000 კოსოვოელი გაიქცა და 848 000-ზე მეტმა კოსოვოელმა გადაკვეთა კოსოვოს საზღვრები მაკედონიაში, ალბანეთსა და მონტენეგროში მთელი ომის განმავლობაში (Rogel, 2003:178).

სერბეთის ხელისუფლებამ ალბანელების წასვლა დიდ შესაძლებლობად მიიჩნია სერბებისთვის პირადი ქონების საკუთრების დოკუმენტების ჩამორთმევისთვის, რაც მიზნად ისახავდა ალბანელების დაბრუნების გართულებას. ბედის ირონიით, ამ უნებლიე ჯაჭვურმა რეაქციამ ვერაფერი უზრუნველყო, გარდა იმისა, რომ ნატოს დაბომბვას სერბეთში დაბრალდა ლტოლვილთა ნაკადების წარმოშობა. ნატო კიდევ უფრო გააკრიტიკეს იმის გამო, რომ სერბებს საშუალება მისცა განეხორციელებინათ ოცნება კოსოვოს ალბანელებისგან გაწმენდის შესახებ,

რომლის ბრალდებამაც აიძულა ნატო დახმარებოდა ლტოლვილებს გამოკვებასა და დასახლებაში.

იყო მრავალი ფაქტორი, რამაც გამოიწვია ნატოს არადადამკმაყოფილებელი ქმედებანი ამ ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ ჰავიერ სოლანამ წარმატებით მოიპოვა ცხრამეტევე წევრის თანხმობა სამხედრო მოქმედების განსახორციელებლად, მან ვერ შეძლო კონსენსუსის უზრუნველყოფა ოპერატიული გეგმების შესახებ. ფაქტობრივად, გაჩნდა დებატები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ოპერაცია, ნატოს სხვადასხვა ძალები სხვადასხვა გეგმებზე საუბრობდნენ. მაგალითად, აშშ ეწინააღმდეგებოდა სახმელეთო ჯარების გაგზავნას, საფრანგეთი ხიდების დაბომბვის წინააღმდეგი იყო, საბერძნეთი კი თავს არიდებდა ჩართვას, ომის წინააღმდეგ აბსოლუტური საზოგადოებრივი აზრის გამო (Rogel, 2003:178).

ეს განსხვავებული პრეფერენციები გადაიზარდა უთანხმოებაში ბრძოლის ველზე, რის შედეგადაც შეფერხდა ოპერატიული გეგმები. მაგალითად, ერთი უზარმაზარი შეფერხება მოხდა 4 აპრილს, როდესაც პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს განელაგებინათ 24 Apache თავდასხმის ვერტმფრენი (Task Force Hawk) და 2000 დამცავი ძალა ალბანეთში. მიზეზი, რის გამოც განლაგება ბოლო წუთს გადაიდო, ეხებოდა ოფიციალური პირების დებატებს იმის შესახებ, მიიყვანდა თუ არა ვერტმფრენები აშშ-ს უფრო ახლოს სახმელეთო ომთან (Owens, 2001:199- 200).

კიდევ ერთი საკამათო ფაქტორი, რამაც გამოიწვია ნატოს ცუდი შესრულება/მოქმედებები, დაკავშირებულია ნატოს არასაკმარის შესაძლებლობებთან კამპანიის წარმართვისა და კოორდინაციისთვის. გავრცელებული ინფორმაციით, ნატოს ბომბები ხშირად ცდებოდა ან მიზნად ისახავდა არასწორ შენობებს, რაც იწვევდა ეჭვებს და აძლიერებდა ანტიამერიკულ განწყობებს. მაგალითად, ნატოს პირველი შეცდომა ამ ბრძოლაში მოხდა 6 აპრილს ქალაქ ალექსინაცში, როცა სამი რაკეტა მოხვდა საცხოვრებელ უბანში სახლებს და დაიღუპა მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე. ერთი კვირის შემდეგ, ნატო კვლავ გახდა ახალი ამბების გმირი, როდესაც შეცდომით დაარტყა რამდენიმე კოსოვოელ ალბანელ ლტოლვილს და დაიღუპა მინიმუმ 60 ადამიანი. ხიდების დაბომბვის ბრძანების შემდეგ, პრიშტინასთან ხიდზე მყოფი სამოქალაქო ავტობუსი

შემთხვევით განადგურდა, ნისის მახლობლად ბაზარი და საავადმყოფო შემთხვევით იქნა სამიზნე, როდესაც ნატო ცდილობდა აეროდრომზე კლასტერული ბომბით დაერტყა. ამ შეცდომებს დაემატა 7 მაისის ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც ნატომ დაუშვა კოსოვოში, როდესაც დაიბომბა ჩინეთის საელჩო ბელგრადში. უბედური შემთხვევის დროს სამი დაიღუპა და ოცი დაიჭრა (Rogel, 2003:179).

გაეროს უშიშროების საბჭომ დაუყოვნებლივ მოიწვია შეხვედრა ვაშინგტონის „სამინელი შეცდომის“ განსახილველად, რამაც სერიოზული დიპლომატიური კრიზისი გამოიწვია აშშ-სა და ჩინეთს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შემფოთებულნი იყვნენ ჩინეთის რეაქციით, შეერთებულმა შტატებმა სწრაფად იგნორირება გაუკეთა თავის შეცდომებს და დაუფიქრებლად დაბომბა კორისა, როდესაც სერბებმა 87 კოსოვოელი ალბანელი გამოიყენეს ცოცხალ ფარად. ასევე მაისში, KLA-ს პოზიცია კოსარეში შემთხვევით დაიბომბა, რის შედეგადაც 67 დაიღუპა; ვარვარინის ხიდი განადგურდა, რის შედეგადაც 11 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, ხოლო სურდულიცაში საცხოვრებელი სახლი დაზიანდა, როდესაც ნატოს რაკეტა კურსს აცდა, რის შედეგადაც სულ მცირე 20 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

არ ჩანდა გონივრული საბაზი ამ ძვირადღირებული შეცდომების ასახსნელად გარდა იმისა, რომ ნატოს არ ჰქონდა საკმარისი შესაძლებლობები კამპანიის წარმართვისა და კოორდინაციისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ნატოს წევრ ქვეყნებს არ ჰქონდათ ერთიანი პოზიცია, დეტალური ოპერატიული გეგმა და საკმარისი შესაძლებლობები კამპანიის წარმართვისა და კოორდინაციისთვის, ნატომ საბოლოოდ მოიგო კოსოვოს ომი. 22 აპრილს ვაშინგტონში ნატოს 50 წლის იუბილე აღინიშნა, რამაც მთლიანობაში ხელი შეუწყო ალიანსის ერთიანობის შენარჩუნებას და რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების განმტკიცებას. ელცინმა დაურეკა კლინტონს სამიტის მიმდინარეობისას, სადაც განიხილეს ვიცე-პრეზიდენტ გორსა და რუსეთის სპეციალურ წარმომადგენელს კოსოვოში ვიქტორ ჩერნომირდინს შორის კონტაქტების განახლება. კონკრეტულად სტრატეგიული პერსპექტივიდან, სამიტმა ასევე მოიტანა საჰაერო თავდასხმების გააქტიურება, სამიზნეების სიის გაფართოება ნავთობის საცავების, საკვანძო საგზაო და

სარკინიგზო ხიდების, სარკინიგზო ხაზების და რადიო და ტელევიზიების ჩათვლით. ორი დღის შემდეგ ნატომ ოფიციალურად გამოაცხადა საჰაერო უპირატესობის მიღწევის შესახებ საშუალო და მაღალ სიმაღლეებზე, რაც აღნიშნავს მისი საოპერაციო გეგმის პირველი ფაზის დასრულებას. ამის შემდეგ ნატო გადავიდა მეორე ფაზაზე, თუმცა ალიანსის მიზნები უკვე სრულად იყო განხორციელებული პირველ ეტაპზე. სანამ ნატო კოსოვოში იუგოსლავიის ჯარებზე თავისი უპირატესობის დამტკიცებას იწყებდა, იუგოსლავიამ ალიანსის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში და მოითხოვა დროებითი ზომები ნატოს დაბომბვის დაუყოვნებლივ შესაჩერებლად (Ronzitti, 1999:45-54).

მაგრამ ნატოს დარტყმები ბელგრადზე არ შეწყვეტილა. როდესაც KLA იწყებდა კონტრშეტევას კოსოვოში მომარაგების მარშრუტის მოსაპოვებლად, ვიქტორ ჩერნომირდინი გაემგზავრა მილოშევიჩთან შესახვედრად, რომელმაც აღიარა მზარდი საერთაშორისო ზეწოლა. მოსალოდნელი იყო, რომ ჩერნომირდინი იუგოსლავიას წარუდგენდა „კონკრეტულ წინადადებებს“, რომელიც მოიცავდა ნატოს საჰაერო თავდასხმების შეჩერებას, რასაც მოჰყვებოდა მილოშევიჩის ძალების გაყვანა კოსოვოდან და პროვინციის ავტონომია, მაგრამ ნატო დაჟინებით ამტკიცებდა, რომ არ შეაჩერებდა საჰაერო თავდასხმებს მანამ, სანამ იუგოსლავიის ჯარები კოსოვოდან არ გავიდოდნენ. თუ მილოშევიჩი უარს იტყოდა თანამშრომლობაზე, როგორც აშშ-ს თავდაცვის მდივანმა უილიამ კონმა თქვა, „ჩვენ დავიწყებთ თავდასხმას მეტი ხანგრძლივობით, უფრო მეტ სამიზნეზე და მეტი მიმართულებიდან“.

გარდა ამისა, ნატომ გადაწყვიტა გაეზარდა თავისი სახმელეთო ჯარები (სამშვიდობოები) მეზობელ მაკედონიაში 48000-მდე, თუმცა, იუგოსლავია არ შემინებულა მანამ, სანამ ნატომ არ გამოაცხადა გადაწყვეტილება დახმარებოდა ალბანელებს მათი საგზაო ქსელის მშენებლობაში. ამოიცნო რა „გზის „ორმაგი გამოყენების“ პოტენციალი ნატოს სახმელეთო ჯარების გადასაყვანად“, იუგოსლავიამ სწრაფად გააგზავნა სიგნალები, რომ ისინი მზად იყვნენ ითანამშრომლონ ნატოსთან, მხოლოდ იმ პირობით, თუ გაერო იქნებოდა საბოლოო არბიტრი (Hosmer,2001:113).

დიდი რვიანის ქვეყნები შეთანხმდნენ სამშვიდობო წინადადებაზე, რომელიც ითვალისწინებდა კოსოვოში სამოქალაქო უსაფრთხოების არსებობას. გადაწყვიტეს მოლაპარაკებები გაემართათ კონიგსვინტერში (ბონის გარეთ), რათა მიეღოთ

საბოლოო გადაწყვეტილება ნატოს შვიდკვირიანი ბალკანეთის კამპანიის დასასრულებლად. G8-ის ყველა მინისტრის მიერ შეთანხმებული გეგმა დაიდო როგორც G8 პრინციპები: ლტოლვილების უსაფრთხო დაბრუნება; იუგოსლავიის და მისი მეზობელი სახელმწიფოების ამჟამინდელი საზღვრების შენარჩუნება; KLA-ს განიარაღება. G8-ის ქვეყნები ასევე დაჰპირდნენ კოსოვოს გაეროს ადმინისტრაციის შექმნას და ავტონომიას.

ამრიგად, სიტყვიერად, კოსოვოს ძალები (KFOR) იქნა მიღებული, მაგრამ ძალების ბირთვის შედგენა ნატოს წევრ ქვეყნებს მოეთხოვებოდათ. საპასუხოდ, იუგოსლავიამ მაშინვე აცნობა გერმანიას, რომ ისინი მზად იყვნენ მიეღოთ G8 პრინციპები დაბომბვის დასასრულებლად. 3 ივნისს, მას შემდეგ რაც შუამავლებმა, კერძოდ ვიცე-პრეზიდენტმა გორმა, სახელმწიფო მდივნის მოადგილემ სტრობ ტალბოტმა, რუსეთის სპეციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორ ჩერნომირდინმა და ნეიტრალურმა შუამავალმა ფინელმა მართი აპტისარმა, აიძულეს მილოშევიჩი დანებებულიყო, ბელგრადმა ოფიციალურად მიიღო კოსოვოს ახალი სამშვიდობო შეთანხმების მონახაზი, რომელიც ითვალისწინებდა კონფლიქტის დასრულებას და ნატოს სამშვიდობო ძალების შესვლას კოსოვოში.

პრეზიდენტი კლინტონი და მოკავშირეები ფრთხილად მიესალმნენ მილოშევიჩის კოოპერატიული დამოკიდებულების შეცვლას, ერთის მხრივ, გამოიყენეს შესაძლებლობა და გამართეს კიდევ ერთი G8 შეხვედრა კიოლნში, რათა განეხილათ გაეროს ავტორიზაციის დეტალები. 9 ივნისს ნატოსა და იუგოსლავიის ოფიციალურმა პირებმა ხელი მოაწერეს სამხედრო ტექნიკურ შეთანხმებას, რომელიც დაარეგულირებდა სერბების მთელი სამხედრო, საპარლამენტო და პოლიციის ძალების გაყვანას.

მეორე დღეს გაეროს უშიშროების საბჭომ საბოლოოდ მიიღო რეზოლუცია 1244, რითაც ომი ოფიციალურად დასრულდა. რეზოლუციის მიხედვით, კოსოვოში საერთაშორისო სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება შეიძლება განთავსდეს და ნატოს 50 000 ჯარისკაცით ჩამოყალიბებული KFOR იძლეოდა ასობით ათასი ლტოლვილის უსაფრთხო დაბრუნების გარანტიას და შემდგომი ეთნიკური წმენდის თავიდან აცილებას. გაერომ შექმნა მისია კოსოვოში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბერნარ კუმნერი, „ექიმები საზღვრებს გარეშე“-ს ფრანგი დამფუძნებელი. მას

დააკისრეს სამი დავალება: „დაეყოლებინა კოსოვოელები სერბეთის ან იუგოსლავიის ფარგლებში ავტონომიის იდეისკენ; მოიძიონ თანამშრომლობა ადგილობრივ ლიდერებთან, როგორც ალბანელებთან, ასევე სერბებთან და თავიდან აიცილოს ადამიანის უფლებების დარღვევა“ (Rogel,2003:180). თავის მხრივ, KFOR-ი, რომელიც კოსოვოში 12 ივნისს უნდა შესულიყო, გააოცა ინციდენტმა, რომელიც კოსოვოში ჩასვლამდე რამდენიმე საათით ადრე მოხდა. ორასმა რუსმა ჯარისკაცმა, რომლებიც ბოსნიაში საოკუპაციო ძალებს შორის იყვნენ, გაიარეს სერბეთი და ორმოცდაათი მანქანით კოსოვოში გადავიდნენ ნატოს შესვლამდე, თანაც აიღეს კონტროლი პრიშტინის აეროპორტზე (Felkay, 2002:206). რუსები მოელოდნენ, რომ ალიანსი გამორიცხავდა მათ ომის შემდგომი რეკონსტრუქციიდან, მაგრამ პირიქით ნატო მიესალმა რუსეთის მონაწილეობას KFOR-ში, რადგან ეს ხელს შეუწყობდა კოსოვოს აღდგენას. ალბანელებმა ისევ ნაკადად იწყეს დენა უკან კოსოვოში. პირველ სამ კვირაში 600 000-ზე მეტი ლტოლვილი დაბრუნდა, რაც ისტორიაში ლტოლვილთა ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი დაბრუნება იყო. 1999 წლის შემოდგომის ბოლოსთვის უკვე 848 000 ალბანელი ლტოლვილიდან ყველა უკან დაბრუნდა (Rogel,2003:180).

გარდა ამისა, კოსოვოელებმა დაარწმუნეს თავი, მორგებოდნენ ავტონომიის დროებით პირობებს და გადაედოთ საკრებულო არჩევნები და დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმი უახლოეს მომავალში. ჯერჯერობით, კოსოვოში ვითარება ზოგადად სტაბილიზირებული იყო და ნატოს გამარჯვების პრეტენზია შეიძლებოდა ჰქონოდა, მაგრამ ყველა ანალიტიკოსი არ ეთანხმებოდა იმას, რომ ნატო წარმატებული იყო კოსოვოში. მაგალითად, მაიკლ მანდელბაუმმა დაასკვნა, რომ ნატოს ინტერვენცია კოსოვოში იყო „სრულყოფილი მარცხი“. მან ნატოს იუგოსლავიის ომი განიხილა, როგორც „სამხედრო წარმატება“ იმით, რომ „ალიანსის საჰაერო ძალებმა თავიანთი მისიები შეასრულეს გაგზავნით და თავდასხმამ აიძულა სერბი სამხედროების გაყვანა სამხრეთ იუგოსლავიის კოსოვოს პროვინციიდან“, მაგრამ ეს ასევე იყო „პოლიტიკური მარცხი“ „ომის უფრო ფართო პოლიტიკური შედეგების“ თვალსაზრისით (Mandelbaum, 1999:2-8).

გადამწყვეტი ფაქტორები, რამაც ხელი შეუწყო ნატოს გამარჯვებას კოსოვოში, ძირითადად ეხებოდა ნატოს უნიკალურ უპირატესობას ნებისმიერ სხვა ორგანიზაციასთან შედარებით. ერთის მხრივ, ნატოს ინსტიტუციური

სტრუქტურები ნატოს ლეგიტიმურობის მაღალ ხარისხს სთავაზობდნენ; მეორეს მხრივ, მისი სამხედრო შესაძლებლობები ნატოს აძლევდა საკმარის შესაძლებლობებს მისი საერთო მიზნების მისაღწევად. ნატოს 19 წევრისგან შემდგარმა ალიანსმა მიაღწია მკაფიო კონსენსუსს ინტერვენციის აუცილებლობის შესახებ და დარჩა მტკიცე და ერთიანი ბოლომდე, აჩვენა თავისი ინსტიტუციური სარგებლობა. ამრიგად, ნატო-ს გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მოქმედებამდე კონსენსუსის მოპოვების მოთხოვნა იყო ნატოს ინტერვენციის ლეგიტიმაციის მნიშვნელოვანი ხარისხი. უფრო მეტიც, ნატოს შეუდარებელმა სამხედრო შესაძლებლობებმა ასევე შეუწყო ხელი მის საერთო წარმატებას კოსოვოში. სხვა ალიანსები, როგორცაა გაერო და ევროკავშირი, ვერ შეძლებდნენ მიეღწიათ იმისათვის, რასაც ნატომ მიაღწია კოსოვოში.

მიუხედავად იმისა, რომ ნატო-მ დიდი წვლილი შეიტანა კოსოვოში ეთნიკური წმენდის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად, ისიც მართალია, რომ ნატომ დაუშვა მთელი რიგი უპატიებელი შეცდომები ბრძოლის დროს, რომელთა თავიდან აცილება შეიძლებოდა, ნატოს რომ შეემუშაებინა სიცოცხლისუნარიანი და ერთიანი სტრატეგია. ელენ ჰალამსის თქმით, ნატოს ლიდერების არასწორი ვარაუდები იყო, რამაც არასწორი სტრატეგია გამოიწვია. უპირველეს ყოვლისა, ჩინოვნიკებს სურდათ, რომ ბრძოლა შემოფარგლულიყო ბელგრადის გარეუბანში მსუბუქი დაბომბვით, რომელიც მხოლოდ რამდენიმე დღეს გაგრძელდებოდა (Hallams, 2010).

ამრიგად, მოკლევადიანი კამპანია შესაძლოა არ იყო საუკეთესო სტრატეგია, მაგრამ ის ერთადერთი მისაღები პოზიცია იყო. ამბიციურ სტრატეგიასა და ტაქტიკასთან დაკავშირებით ნატოს წევრების უთანხმოების გარდა, აშშ-ს არ ჰქონდა სურვილი გრძელვადიანი კამპანიის წამოწყებისთვისაც. უძლური იყო რა გამკლავებოდა მწვავე შიდა დებატებს იმის თაობაზე, იყო თუ არა აშშ-ის ინტერესები კოსოვოში საფრთხის წინაშე, შეერთებულ შტატებს უჭირდა ამერიკელების დარწმუნება, რომ აშშ-ს ეროვნულ ინტერესებს ნამდვილად ემუქრებოდა კოსოვოს კრიზისი. ასე იყო ნატოს სხვა წევრ ქვეყნებშიც, რომელთაგან ბევრი ცდილობდა შეენარჩუნებინა შიდა კონსენსუსი საკუთარ მთავრობებსა და საზოგადოებებს შორის.

მეორე მცდარი ვარაუდი, რომელიც ოფიციალურმა პირებმა მიიღეს, იყო ის, რომ საჰაერო თავდასხმები საკმარისი იქნებოდა სერბების დასამარცხებლად. პრეზიდენტი კლინტონი გამორიცხავდა კოსოვოში სახმელეთო ძალების გამოყენების ნებისმიერ შესაძლებლობას ინტერვენციის დასაწყისში მისი სატელევიზიო გამოსვლიდან, მსხვერპლის შექმნისა და ამით საზოგადოების მხარდაჭერისა და ალიანსის ერთიანობის შელახვის შიშით. მოგვიანებით, „მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში სახმელეთო შეჭრის მხარდაჭერა გაიზარდა საჰაერო კამპანიის გაგრძელებისას, ნატოს ყველა მოკავშირე, ბრიტანეთის გარდა, დამნაშავე იყო იმაში, რომ ვერ შეთანხმდნენ სახმელეთო ომის აუცილებლობაზე“. (Hallams, 2010).

ფაქტობრივად, კოსოვოში სახმელეთო ჯარების გაგზავნის გეგმა გონივრული ჩანდა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო იმ შეზღუდული კონსენსუსის გათვალისწინებით, რომელიც ნატოს 19 წევრისგან შეეძლო. ითვლებოდა, რომ საჰაერო კამპანია იყო ერთადერთი ვარიანტი, რომელზეც ნატოს ყველა წევრი შეთანხმებული იყო, რის შედეგადაც მიიღწევა სტრატეგია სახმელეთო ძალების მონაწილეობის გარეშე, რამაც კიდევ უფრო შელახა ნატოს სტრატეგიული სანდოობა. უფრო მეტიც, ამ მცდარი საჰაერო კამპანიის სტრატეგიაში ყველაზე დიდი წვლილი სწორედ შეერთებულმა შტატებმა შეიტანა, რადგან აშშ-მ უარი თქვა გეგმის შეცვლაზე, მაშინაც კი, როდესაც სასწრაფოდ იყო საჭირო სახმელეთო ჯარების შეყვანა. მიზეზი, რის გამოც შეერთებულმა შტატებმა მტკიცედ უარყო სახმელეთო ჯარების მობილიზება, დაკავშირებულია მისი ხელმძღვანელობის შემფოთებასთან და სანდოობასთან. ერთის მხრივ, შეერთებულ შტატებს არ სურდა ეღიარებინა, რომ მან არასწორად იწინასწარმეტყველა კამპანია, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა მის სანდოობას, ხოლო მეორეს მხრივ, შეერთებულ შტატებს მუდმივად სურდა შეენარჩუნებინა რაც შეიძლება მეტი კონტროლი დაგეგმვაზე, მათ შორის, არსებულიყო „მხოლოდ აშშ-ს“ სივრცე და დოკუმენტები, რაც ხელს შეუწყობდა აშშ-ს ლიდერობის შენარჩუნებას ოპერაციაში (Johnson, Zenko, 2002: 55).

აღსანიშნავია, რომ კოსოვოში აშშ იყო დომინანტური სამხედრო ძალა ნატოს ფარგლებში, მაშინ როცა ევროპის წევრმა ქვეყნებმა მცირე წვლილი შეიტანეს ნატოს წარმატებაში. ალიანსში მუშაობის შედეგად აღმოჩენილმა თავსებადობის

პრობლემებმა ხელი შეუწყო რეალობის გამოვლენას, რომ აშშ-ს სამხედრო შესაძლებლობები ბევრად აღემატებოდა ევროპელ წევრების სამხედრო შესაძლებლობებს. პირველი, არ იყო საკმარისი თავსებადი უსაფრთხო კომუნიკაციები აშშ-სა და ევროპას შორის მათი მრავალფეროვანი სისტემების გამო სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით.

მაშასადამე, ნატოს დაბომბვამ გამოიწვია უამრავი ადამიანის დაღუპვის ტრაგედია. იურიდიული და მორალური საკითხებისთვის, „ის იბრძოდა ერთი ჯგუფის (კოსოვოს ალბანელების) მხარდასაჭერად სამოქალაქო ომში სუვერენულ სახელმწიფოში (სერბეთი/იუგოსლავია), რომელიც იურიდიულად ხელშეუხებელი სუბიექტია საერთაშორისო სამართლის მიხედვით“ და „ეს განხორციელდა გაეროს თანხმობის გარეშე“, ასევე ნატოს იმ ქვეყნების ხალხების თანხმობის გარეშე, რომლებიც მონაწილეობდნენ მასში.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ გააკრიტიკეს კოსოვოში ალიანსის დაგეგმვასა და შესრულებაზე კონტროლის გამო, ის არ იყო დამნაშავე ევროპის დამოკიდებულებაში აშშ-ს სამხედრო შესაძლებლობებზე. ევროპელმა წევრებმა უნდა გაიზიარონ ნატოს პასუხისმგებლობა და ტვირთი შეერთებულ შტატებთან ერთად და არ გახდნენ ალიანსში აშშ-ის წვლილის თავისუფალი მხედრები.

ნატოს „ახალი სტრატეგიული კონცეფციის“ მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა 1999 წელს, ალიანსი იქნება მზად, შემთხვევის მიხედვით და კონსენსუსის საფუძველზე წვლილი შეიტანოს კონფლიქტების ეფექტურ პრევენციაში და აქტიურად ჩაერთოს კრიზისების მართვაში, მათ შორის კრიზისზე რეაგირების ოპერაციებში, რათა გააძლიეროს „ევროატლანტიკური“ რეგიონის უსაფრთხოება და სტაბილურობა.

საერთო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ კოსოვოში არსებული დაძაბული ვითარების მიმართ ჩარდილოატლანტიკური ალიანსის დამოკიდებულება ხასიათდებოდა გარკვეული სურთულეებითა და წინააღმდეგობებით. ამ პრობლემამ უდიდესი გავლენა მოახდინა ნატოში შემდგომში განხორციელებულ დადებით ცვლილებებზე. კოსოვოში ნატოს სამშვიდობო ოპერაცია იყო პრეცედენტი იმისა, რომ ნატომ ალიანსის ფარგლებს გარეთ განახორციელა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, რომლის მიზანი იყო ეთნიკური წმენდის თავიდან აცილება და ძალადობის

შეჩერება. ალიანსი დადგა რთული ამოცანის გადაწყვეტის წინაშე, როდესაც მისმა ყოველგვარმა მცდელობებმა კოსოვოში არსებული კონფლიქტი მოგვარებულიყო მშვიდობიანი გზებით, შედეგი არ გამოიღო. ნატო იძულებული გახდა განეხორციელებინა სამხედრო ოპერაცია სუვერენული სახელმწიფოს (იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის) წინააღმდეგ, რის მიზეზიც, როგორც ცნობილია, იყო მანამდე არსებული მასშტაბური ეთნიკური დაპირისპირება სერბებსა და კოსოვოელ ალბანელებს შორის.

2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს პარლამენტმა მიიღო კოსოვოს დამოუკიდებლობის აქტი, რასაც მოჰყვა საერთაშორისო თანამეგობრობის არაერთგვაროვანი შეფასებები. ამჯერად კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა გაეროს წევრმა 111-მა სახელმწიფომ.

2.2 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენები და მდგრადი თავისუფლების ოპერაციიდან (OEF) საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალებამდე (ISAF)

2001 წლის 11 სექტემბერს მთელი მსოფლიო საგონებელში ჩააგდო აშშ-ში მომხდარმა ტერაქტმა. ეს იყო უპრეცედენტო მასშტაბის ტერაქტი, რომლის დროსაც ტერორისტებმა გაიტაცეს ამერიკული სამგზავრო ლაინერები, რომელთა მიზანი იყო ნიუ იორკსა და ვაშინგტონში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაგებობების ნგრევა. ორი ლაინერი დაეჯახა ნიუ იორკში მდებარე ტყუპ ცათამბჯენს. პირველი თვითმფრინავი ჩრდილოეთ ცათამბჯენს ადგილობრივი დროით 08:46 საათზე დაეჯახა, მეორე კი სამხრეთ ცათამბჯენს 09:03 საათზე. ორ საათზე ნაკლებ დროში კი ცათამბჯენები ჩამოინგრა, 09:37 საათზე მესამე ლაინერი ვაშინგტონთან მდებარე აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის უზარმაზარი შენობის - პენტაგონის დასავლეთ ფასადს დაეჯახა, მეოთხე თვითმფრინავში კი მგზავრებმა ტერორისტებს წინააღმდეგობა გაუწიეს და ლაინერი 10:03 საათზე, პენსილვანიის შტატში ჩამოვარდა. ეს თვითმფრინავი, სავარაუდოდ, ვაშინგტონში კაპიტოლიუმს უნდა დაჯახებოდა. ტერაქტის შედეგად დაიღუპა 2977 ადამიანი (მათ შორის 19 ტერორისტი). ეს ტერაქტი იყო თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენა მთელი მსოფლიოსათვის.

ეს შემზარავი ტერორისტული აქტი ავღანეთში, ისლამური ექსტრემისტული

ქსელური ორგანიზაციის „ალქაიდას“ მიერ დაიგეგმა. ავღანეთს მაშინ თალიბები აკონტროლებდნენ. „ალ ქაიდა“ საუდელი ოსამა ბინ ლადენის მეთაურობით აშშ-სა და მის მოკავშირეებს ისლამურ სამყაროში კონფლიქტების გაღვივებაში ადანაშაულებდა. ტერაქტების უშუალო შემსრულებელი იყო 19 ადამიანი: სამი ჯგუფი ხუთ-ხუთი ადამიანის შემადგენლობით და ერთი ოთხკაციანი (ეს უკანასკნელი იმყოფებოდა იმ ლაინერში, რომელიც პენსილვანიაში ჩამოვარდა). ყოველ ჯგუფში კი იყო ერთი ადამიანი, რომელმაც თვითმფრინავის მართვა იცოდა, ყველა მათგანს გავლილი ჰქონდა სწავლება აშშ-ს კერძო საავიაციო სკოლებში. მათგან 15 საუდის არაბეთიდან იყო, 2 არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან ერთი ეგვიპტიდან და ერთი ლიბანიდან.

„ალ ქაიდა“ წლების განმავლობაში გაძლიერდა და საბოლოოდ 1996 წელს ამ დაჯგუფებამ, შეიძლება ითქვას, აშშ-ს ომი გამოუცხადა. იმავე წელს ოსამა ბინ ლადენმა გამოსცა ფატვა. ფატვას სახელად ერქვა „ომის გამოცხადება ამერიკელების წინააღმდეგ, რომლებსაც ოკუპირებული აქვთ ორი წმინდა ადგილის მიწები“. ოსამა ბინ ლადენი ითხოვდა, რომ აშშ-ს საუდის არაბეთიდან გაეყვანა ჯარი, რომელიც აქ 1990-1991 წლის სპარსეთის ყურის კრიზისის მერე იყო დარჩენილი.

მიუხედავად იმისა, რომ ოსამა ბინ ლადენი რადიკალური ანტიამერიკული ნარატივებით გამოირჩეოდა, ის გეგმა, რომელიც 11 სექტემბერს შესრულდა, მას სხვა ტერორისტმა მიაწოდა. თავდასხმების იდეის ავტორი იყო პაკისტანელი ხალიდ შეიხ მუჰამედი. საინტერესოა, რომ მას აქამდეც ჰქონდა მონაწილეობა მიღებული მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე მოწყობილ თავდასხმაში. ის იყო მსოფლიო სავაჭრო ცენტრში მომხდარი 1993 წლის ტერაქტის დამფინანსებელი და მრჩეველი. ამას გარდა ის იყო რამსი იუსუფის ბიძა, იმ ადამიანის, რომელმაც 1993 წლის აფეთქება მოაწყო. ასაფეთქებლებით სავსე მანქანა მაშინ ჩრდილოეთ ცათამბჯენის ქვეშ აფეთქდა. ტერორისტების მიზანი შენობის საყრდენის განადგურება და მისი ჩამონგრევა იყო, რაც არ გამოუვიდათ.

ალ-ქაიდას 1998 წლის აშშ-ს საელჩოებზე განხორციელებულმა ტერაქტებმა შეიხ მუჰამედი დაარწმუნა იმაში, რომ ოსამა ბინ ლადენი ბოლომდე მზად იყო ამერიკელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მან დაჯგუფებასთან არაფორმალური თანამშრომლობა და დახმარება განაგრძო და არც საკუთარი გეგმის თავიდან შეთავაზება გამორჩენია.

9/11-ის კომისიის ანგარიშის მიხედვით, ბინ ლადენი თვითმფრინავების გეგმას, სავარაუდოდ, 1998 წლის ბოლოს, ან 1999 წლის დასაწყისში დათანხმდა, საკუთარი თანაგუნდელის, ატეფის თხოვნის საფუძველზე. შეიხ მუჰამედი ალ-ქაიდაში უკვე ოფიციალურად გაწევრიანდა. 9/11-ის კომისიის ანგარიშის მიხედვით, ხალიდ შეიხ მუჰამედის თავდაპირველ გეგმაში საუბარი იყო 10 თვითმფრინავის გატაცებაზე. თავდასხმები უნდა მომხდარიყო აშშ-ს დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზეც. სამიზნეები იქნებოდა გამოძიების ფედერალური ბიუროსა (FBI) და ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს (CIA) შტაბბინები, ასევე ატომური ელექტროსადგურები და კალიფორნიის უმაღლესი შენობა. მეათე თვითმფრინავს ის თავად გაიტაცებდა, დაფრინდებოდა ერთ-ერთ ამერიკულ აეროპორტში, დახოცავდა ყველა ზრდასრულ კაცს, შემდეგ კი სიტყვით გამოვიდოდა.

შეიხ მუჰამედი და ოსამა ბინ ლადენი ოპერაციისთვის ალ-ქაიდას გამოცდილ წევრებს არჩევდნენ, თუმცა 1999 წლის ბოლოს გამოჩნდა 4 ახალგაზრდა ჯიჰადისტი, რომელთაც განათლება გერმანიაში ჰქონდათ მიღებული. ეს იყო ე.წ. ჰამბურგის ჯგუფი: მუჰამედ ატტა, რამზი ბინ ალ-შიბი, მარვან ალ-შეჰი და ზიად ჯარა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ახალწვეულები იყვნენ და ალ-ქაიდას ტერაქტისთვის სტაჟიანი წევრები სჭირდებოდა, ჰამბურგის ჯგუფი 9/11-ის ტრაგედიის ერთ-ერთი მთავარი განმხორციელებელი გახდა. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მათ კარგად იცოდნენ ინგლისური და ჰქონდათ დასავლეთში ცხოვრების გამოცდილება.

ჰამბურგის ჯგუფის და ზოგადად 9/11-ის ტერაქტების მთავარ შემსრულებლად მუჰამედ ატტას მოიაზრებენ ხოლმე. ის 1968 წელს, ეგვიპტეში, ადვოკატის ოჯახში დაიბადა. ის კაიროს უნივერსიტეტში ინჟინერიას სწავლობდა და ბაკალავრიატი კარგი ქულებით დაასრულა. მამამისი სწავლის უცხოეთში გაგრძელებისკენ მოუწოდებდა, ამ მიზნით კაიროში ატტა 1992 წელს გოეთეს ინსტიტუტის გერმანული ენის პროგრამაში ჩაეწერა. საბოლოოდ ატტა გერმანიაში მოხვდა და ჰამბურგის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა. თანდათან ის უფრო და უფრო რადიკალური ისლამიზმის გზას ადგებოდა. მის გარშემო გერმანიაში შეიკრიბნენ მისი თანამოაზრეები, რომლებიც იკრიბებოდნენ ხოლმე და ერთმანეთს აზრებს უცვლიდნენ. ბოლოს ისე მოხდა, რომ ალ-ქაიდას რიგებშიც კი მოხვდა. როდესაც ჰამბურგის ჯგუფი 9/11-ის გეგმაში ჩაერთო, ატტა იყო ის, ვინც ცდილობდა აშშ-ში

თავად და მის რამდენიმე თანამზრახველს თვითმფრინავის მართვის შესწავლის კურსები ეპოვათ. მან აშშ-ს ვიზა გერმანიაში ცხოვრების გამოცდილებისა და უნივერსიტეტის მაღალი ქულების მეშვეობით მარტივად მიიღო. 4 კაციდან ვიზა მხოლოდ ბინ ალ-შეჰის არ მისცეს, ამიტომაც მას მოუწია თანამზრახველებს დისტანციურად დახმარებოდა. ჰამბურგის ჯგუფი ალ-ქაიდას დანარჩენ წევრებს აშშ-ში შემოსვლაში დაეხმარა. 19 გამტაცებლიდან 15 საუდის არაბეთის მოქალაქე იყო, სავარაუდოდ ეს განზრახული იყო, რათა მათ ამერიკის ვიზები მარტივად აეღოთ. აშშ-ში 9/11-ის გეგმის რამდენიმე ბოროტმოქმედმა ისწავლა, თუ როგორ ემართათ თვითმფრინავი. 9/11-ის ტერაქტების შემდეგ, მომენტალურად ივარაუდეს კავშირი ოსამა ბინ ლადენთან და ალ-ქაიდასთან. უკვე ორი კვირის შემდეგ კი, FBI-იმ დაადგინა ეს კავშირი.

თავდაპირველად ტერაქტებზე პასუხისმგებლობას არც ერთი დაჯგუფება არ იღებდა. ტერაქტის მომდევნო დღეს პაკისტანურ გაზეთში ოსამა ბინ ლადენის წერილი გამოქვეყნდა, რომელშიც ის თავდასხმებს ადიდებდა, თუმცა პასუხისმგებლობას არ იღებდა, მისი თქმით, როგორც ჩანს, ტერაქტი კონკრეტულმა პირებმა ინდივიდუალური სურვილით განახორციელეს. 2001 წლის ნოემბერში ამერიკელმა სამხედროებმა ავღანეთში, ჯალალაბადში ერთ-ერთი სახლიდან ამოიღეს ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ოსამა ბინ ლადენი თანამზრახველს 9/11-ის ტერაქტის გეგმაზე ესაუბრებოდა.

ოსამა ბინ ლადენმა ტერაქტებზე პასუხისმგებლობა ფაქტობრივად 2004 წელს აღიარა, მან გამოაქვეყნა ჩანაწერი, რომელშიც ის 9/11-ის თავდასხმის მიზეზებს განმარტავდა „გეტყვით, ალაჰმა უწყის, რომ ცათამბჯენებს არასდროს დავესხმებოდით თავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს აუტანელი გახდა, როცა ამერიკისა და ისრაელის კოალიციის მიერ პალესტინასა და ლიბანში ჩვენი ხალხის წინააღმდეგ შევიწროებისა და ტირანიის მოწმე გავხდით, ეს აზრად მომივიდა”. - ამბობდა ოსამა ბინ ლადენი ჩანაწერში. ჩადენილი ხალიდ შეიხ მუჰამედმაც აღიარა. 2003 წლის მარტში აშშ-სა და პაკისტანის დაზვერვის ჯგუფებმა ის პაკისტანში დააკავეს.

საინტერესოა, რომ ისტორიაში პირველად გააქტიურდა NATO-ს ქარტიის მეხუთე მუხლი, რაც გულისხმობს, რომ თუკი წევრ ქვეყანას თავს დაესხმებიან, ეს მთელ ალიანსზე თავდასხმას ნიშნავს. ცნობილი იყო, რომ ოსამა ბინ ლადენი ამ დროს

ავღანეთში იმყოფებოდა. პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თალიბანს ბინ ლადენის გადმოცემა და ალ-ქაიდას ბაზების დახურვა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ამის შემდეგ, გადაწყდა ავღანეთში შეჭრა, რათა ტერორისტული საფრთხე აერიდებინათ. 2001 წლის 7 ოქტომბერს აშშ-მ ეს ოპერაცია NATO-ს მოკავშირეებთან ერთად დაიწყო. აშშ-ს მთავრობის ქმედებას, 9/11-ის ტერაქტთან დაკავშირებით, ხშირად დაგვიანებულად აფასებენ. საქმე ისაა, რომ ინფორმაციის დეტალებს ალ-ქაიდას თავდასხმის საფრთხის შესახებ ფლობდა CIA-იც და FBI-იც. თუმცა ამ ინსტიტუციებს შორის შეუთავსებლობის და გარკვეული უთანხმოებების გამო ინფორმაციის სათანადოდ გაცვლა და სრული სურათის ფორმირება ვერ ხერხდებოდა. ამერიკელი ჟურნალისტი და ავტორი, ლორენს რაითი საკუთარ წიგნში „გამოკვეთილი ცათამბჯენი: ალ-ქაიდა და გზა 9/11-სკენ“ - წერს, რომ FBI-სა და CIA-ს შორის ერთგვარი „ინსტიტუციური ბრძოლა“ მიმდინარეობდა. ამას გარდა, მისი აზრით ალ-ქაიდას საფრთხეს სათანადოდ ვერ აფასებდნენ: „ამ ახალი საფრთხის ყველაზე შემაშინებელი მხარე ის იყო... რომ ის თითქმის არავინ მიიღო სერიოზულად. ძალიან უჩვეულო, პრიმიტიული და ეგზოტიკური იყო“. ტერაქტამდე 1 თვით ადრე, 2001 წლის 6 აგვისტოს, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ყოველდღიური ანგარიშიც კი მიიღო, სათაურად “ბინ ლადენი აშშ-ზე თავდასხმას აპირებს”, რაც ასევე დარჩა სათანადო რეაგირების გარეშე (წიქარიშვილი, 2021).

მას შემდეგ, რაც აშშ-მ გამოაცხადა ავღანეთში ფართომასშტაბიანი ოპერაციების განვითარება, კერძოდ, ოპერაცია მდგრადი თავისუფლება (OEF), რომელიც უნდა დაწყებულიყო 2001 წლის 7 ოქტომბერს, OEF-ის თავდაპირველი გეგმა იყო საჰაერო და საკრუიზო რაკეტების სერიის განხორციელება თალიბების საკვანძო პოზიციებზე ქაბულში, ყანდაჰარსა და ალ-ქაიდას სხვა ბაზებზე. არსებობდა დიდი იმედი, რომ 11 სექტემბერი მისცემდა ნატოს შესაძლებლობას გამოეჩინა თავისი შესაძლებლობები და მზადყოფნა, შეებრძოლოს საერთაშორისო ტერორიზმის მიერ შექმნილ საფრთხეებს - მისია, რომელსაც ნატო ადრე 1999 წლის „ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში“ მთავარ პრიორიტეტად განსაზღვრავდა (Graham, Simonian, 2002).

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ აშშ-მ მოკავშირეებთან ერთად მოახდინა სწრაფი რეაგირება, მალევე გაირკვა თვითმკვლელი ტერორისტების იდენტობა და წარმომავლობა, აშშ და მთელი მსოფლიო აღმოჩნდა ისეთი საფრთხის

წინაშე, როგორცაა ტერორიზმი. აშშ სამხედრო ძალებს ნატოს სხვა წევრ სახელმწიფოებთან ერთად მოუწიათ ომი ტერორიზმის წინააღმდეგ. ეროვნული ძალაუფლების ყველა ელემენტი-დაზვერვა, დიპლომატია, ჯანდაცვა უშიშროება ფინანსური და ეკონომიკური ინსტიტუტები ყველა ჩაერთო ამ საქმეში. აშშ-ს ლიდერები აღნიშნავდნენ, რომ მათ უნდა ამოეშროთ ის ჭაობი, სადაც ბინადრობდნენ ტერორისტები, ტერორისტების მდებარეობა კი იყო ავღანეთი. ავღანეთში პირველი საბრძოლო ოპერაციის განმავლობაში „ოპერაცია მდგრადი თავისუფლებისათვის“ სპეციალური სამხედრო ძალების ჯარისკაცებს ჩამოსხდომა მოუწიათ მტრის ტერიტორიაზე. საბრძოლო ოპერაციის დროს სამხედრო ძალებს თავიანთი საქმიანობები პირველი რიგში უნდა მიემართათ იერიშისაკენ, ასევე აშშ-ს საჰაერო ძალების მთელი ძალა თალიბანისა და ალ ქაიდას ზეწოლისაკენ, რათა ავღანეთი აღარ ყოფილიყო ტერორისტების ნავსაყუდელი. 2001 წლის შემოდგომაზე აშშ-ს ძალებმა დაიწყეს ჩამოსხდომა კარში, კანდაბანდთან ახლოს, უზბეკეთის ჩრდილო-ცენტრალურ ნაწილში, სადაც ადრე საბჭოთა ჯარები იყო განლაგებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ავღანეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს შეადგენს მთები და მათ შორის მდებარე ხეობები, რაც ტერორისტებისათვის კარგ სამალავს წარმოადგენდა. *ოპერაცია მდგრადი თავისუფლებისათვის* განხორციელებისას სამხედრო ძალებს უწევდათ მთებში გაფანტული მტრის განადგურება სხვადასხვა გზებით. ავღანეთში სამხედრო ოპერაციის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა სამხედრო ძალების გადასხმა. სამხედრო ოპერაციები ფოკუსირებული იყო შეექმნათ სათანადო ოპერაციული ბაზა ქვეყნის გარეთ, თუმცა იმდენად ახლოს, რომ სპეციალური ძალები ადვილად ჩართულიყო ოპერაციის სამიზნე ტერიტორიებში, რაც ძალიან სწრაფად მოხდა უზბეკეთთან კავშირის წყალობით. 2001 წლის შემოდგომაზე აშშ-ს ძალებმა დაიწყეს ჩამოსხდომა კარში უზბეკეთის ჩრდილო-ცენტრალურ ნაწილში. ადგილზე განთავსების შემდეგ სამუშაო ჯგუფი DAGGER გააგზავნეს ჩრდილოატლანტიკური ძალების ხელმძღვანელების დასახმარებლად და ერთობლივი სამუშაოების დასაწყებად თალიბანის ავღანეთიდან გასაძევებლად. მთავარი დატვირთვა მოდიოდა სპეციალურ ძალებზე. მათ დაგეგმეს მალევე დაემყარებინათ კავშირი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ფრაქციულ ლიდერებთან, როგორებიც იყვნენ გენერალი აბდულ რაშიდ დოსტუმბი, მულა დაუდი და ფაჰიმ ხანი. აშშ-ს საჰაერო ძალების

დახმარებით, თითოეულ მათგანს ეძლეოდა შესაძლებლობა მყარად მოეკიდა ფეხი ჩრდილოეთ ავღანეთში და უზრუნველყოთ აშშ-ს სპეციალური ძალების შემდგომი ოპერაცია სამხედრო ბაზით ზამთრის დადგომამდე. ავღანეთში სამხედრო ოპერაციის მთავარი კონცეფცია იყო ჩამოესხა ჯარები მაზარ-ე-შარიფში და ბაგრამ-ქაბულის ტერიტორიაზე, რომელსაც იმავდროულად მოყვებოდა ჯარების გადასხმა კონდოზ-ტალოქანის რეგიონში. როცა ეს ტერიტორიები იქნებოდა მთლიანად დაცული, შემდგომი ნაბიჯი იყო გაგზავნილიყო ჯგუფები კანდაჰარის განსათავისუფლებლად, რომელიც იყო თალიბანთა მოძრაობის ცენტრი. ასევე ყურადღება იქნებოდა გამახვილებული ტორა-ბორას მთებზე, სადაც თავს აფარებდნენ ტერორისტები.

21 ოქტომბრიდან 14 ნოემბრის განმავლობაში, სპეციალური ძალები მიმართავდა მუდმივ საჰაერო შეტევებს, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა თალიბან/ალ-ქაიდას მეთაურები და მათი კონტროლი, მოკლულ იქნა ბევრი მოწინავე სამხედრო და იერიშის მიტანა დაიწყო ავღანეთის დედაქალაქ ქაბულზე. შეტევა გადაწყდა 13 ნოემბერს, მტრის თავდაცვა უკვე დანგრეული იყო, შეტევის დაწყებიდან 24 საათის შემდეგ მსოფლიო პრესის გასაკვირად აღებულ იქნა ქაბული, თალიბანი და ალ-ქაიდას წევრები გაიქცნენ, ხოლო უკვე დეკემბერში აშშ-ს ჯარები მონაწილეობდნენ ავღანეთში აშშ-ს საელჩოს ხელმეორედ გახსნაში. მაზარ-ე შარიფის და ტალოქან-კონდოზის კამპანიების განმავლობაში, გათავისუფლებულ იქნა ავღანეთის პროვინციები, მათ შორის მაზარ-ე შარიფის მთავარი ქალაქი მეიმანა, სარ-ე პოლი, შებერგანი, ჰეირათანი, აიუბაკი, კონდოზი, ხანაბადი, ტალოქანი და კიდევ 50 ქალაქი. ამ ოპერაციის სისრულეში მოსაყვანად მათ მოუწიათ ევლოთ ცხენით, რელიეფის შესაბამისი ტრანსპორტით, პიკაპის ტიპის სატვირთო მანქანებით და ფეხითაც კი რთულ მთიან რელიეფზე და შეძლეს მტრის დამარცხება ერთ თვეში მინიმალური დანაკარგებით. მტრის მხრიდან იყო მნიშვნელოვანი დანაკარგი და თალიბანისა და ალ-ქაიდას თავდაცვითი პოზიციების განადგურება, მათ შორის ქაბულის გათავისუფლება. ავღანეთის ნაწილის სრულ გათავისუფლებასთან ერთად აშშ ცდილობდა მოეგვარებინა ჰუმანიტარული საკითხებიც და ცდილობდა დახმარებოდა ქვეყნის მოსახლეობას. ბრძოლების მიმდინარეობისას C-17 სატვირთო თვითმფრინავით, რომელიც დატვირთული იყო დღიური რაციონით (სპეციალური საკვებით, ხორცპროდუქტების გარეშე, რომელიც განკუთვნილი იყო

მუსულმანებისათვის), გადმოყრილ იქნა ათასობით საკვების პაკეტი ლტოლვილთა ბანაკებში, რათა მცირედით მაინც შეემსუბუქებინათ მათი მდგომარეობა. ამასთანავე, ყრიდნენ ბუკლეტებს სხვადასხვა ლოკაციებზე, სთავაზობდნენ ჯილდოს გაქცეულ თალიბანისა და ალ-ქაიდას ლიდერებზე, ატყობინებდნენ მომავალი თავისუფლების შესახებ და აფრთხილებდნენ აუფეთქებელი არტილერიისა და ნაღმების შესახებ.

ჩრდილოეთ ავღანეთში ტაქტიკური წარმატებების შემდეგ, სამხრეთით კანდაჰარი იყო აშშ-ს შემდეგი სამიზნე. ქალაქი იყო განლაგებული შორს და შედგებოდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან. კანდაჰარი წარმოადგენდა თალიბანთა მოძრაობის სულიერ და პოლიტიკურ ცენტრს, მისი აღება შეიძლებოდა გაზაფხულამდეც კი გაგრძელებულიყო, თუმცა სპეციალური ძალების ნაწილებმა შეაღწიეს რეგიონში და მიუახლოვდნენ ქალაქს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. მათ შეუერთდნენ ადგილობრივი სამხედროებიც. პირველი ჯგუფი განლაგდა კანდაჰარის ჩრდილოეთით 14 ნოემბერს, აქ ისინი შეუერთდნენ ჰამიდ კარზაისა და მისი მიმდევრების ჯგუფს. კარზაი იყო პუშტუნთა ტომის ლიდერი, რომელიც იყო პროდასავლური და ანტითალიბანური პოზიციის იშვიათი კომბინაცია, რაც იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აშშ-ს სამომავლო გეგმებისათვის ანტითალიბანური ფრონტის ჩამოყალიბების საქმეში. SF ჯგუფმა დაიწყო კარზაისთან უფრო ახლოს მუშაობა, მისი მცირე დანაყოფის აღსაჭურვად და გასაწვრთნელად სამხრეთით საბრძოლველად. კანდაჰართან ბრძოლებში ასევე ჩაერთო გულ შარზაი, რომელიც იყო ადგილობრივი ანტითალიბანთა ლიდერი და ასევე კანდაჰარის ყოფილი მმართველი. შარზაიმ გამოიჩინა მზადყოფნა და 21 ნოემბერს გაგზავნა დელეგაცია თავისი ძმის მეთაურობით თალიბანთან მოსალაპარაკებლად. სამწუხაროდ, ამ მისიამ მარცხი იწვნია, რადგანაც თალიბანელებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა შარზაი იძულებული გახდა შეეცვალა გეგმები. 24 ნოემბერს შარზაის ძალები შევიდნენ ტახტ-ე პოლში და დაიკავეს მთავარი მაგისტრალი კანდაჰარსა და ჩამანს (პაკისტანი) შორის. დეკემბრის დასაწყისში შარზაიმ განაღო პოზიციები აეროპორტზე საბოლოო შეტევისათვის. შარზაი აშშ-ს საჰაერო ძალის მხარდაჭერის იმედით იგერიებდა მტერს. საბოლოოდ, 7 დეკემბერს, შარზაიმ დაიწყო შეტევა აეროპორტისაკენ, თუმცა მან მიიღო ზარი ტელეფონზე, რითაც შეატყობინეს, რომ თალიბანმა მოახდინა ძალების ევაკუაცია კარზაისთან მოლაპარაკებების შემდეგ.

შარზაი გაემართა ქალაქისაკენ, მმართველის რეზიდენციისაკენ მას მიყვა SF ძალებიც. ქალაქი დაეცა, კარზაიმ კი ქალაქის მმართველად დაამტკიცა გულ შარზაი.

2002 წლის 2 მარტიდან 19 მარტამდე განხორციელდა ოპერაცია „ანაკონდა“ შაჰი კოუტის ველზე. ამ ოპერაციის მიზანი იყო 200-დან 500 ტერორისტამდე ლიკვიდაცია, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ ქალაქ გარ დიზის სამხრეთით გადაჭიმულ მთათა კომპლექსში შაჰი კოუტის ველზე. ოპერაცია „ანაკონდას“ განხორციელებაში მონაწილეობდნენ როგორც ამერიკელი ჯარისკაცები, ისე ავღანეთის ადგილობრივი დანაყოფები. ოპერაციის სირთულეს პირველ რიგში განაპირობებდა გეოგრაფიული მდებარეობა - შაჰი კოუტის ველი იყო ამაღლებულ ადგილზე. ველი გარშემორტყმულია მოუხერხებელი რელიეფით, რაც მას ფაქტიურად მიუდგომელს ხდიდა. თავდაპირველად დანაყოფი DAGGER განიხილავდა თავდასხმის შესაძლებლობას სპეციალური ჯგუფის ძალების გამოყენებით, რომელსაც წინ წარუძღვებოდა ადგილობრივი ავღანური ძალები, თუმცა ეს გეგმა შეიცვალა და საჭირო გახდა დამატებითი საჰაერო ძალების ჩართვაც. ოპერაციის ფარგლებში ძალების დაგეგმარება, მართვა და კონტროლი დაევალა გაერთიანებული ძალების „MOUNTAIN“ მე-10 სამთო დივიზიის მეთაურს, გენერალ ჰაგენბეკს.

„ანაკონდას“ ოპერაციის მანევრული გეგმა მიმართული იყო ველის ტერიტორიის იზოლაციისაკენ და ალყის შემორტყმისკენ, რასაც თავისთავად მოყვებოდა შეტევები ალ ქაიდას ტერორისტების გასანადგურებლად. ავღანეთის პოლიცია, აშშ-ს და კოალიციის სპეციალური ძალები შექმნიდნენ სამ კონცენტრაციულ რგოლს მტრის წინააღმდეგ. შეტევის მიზანი იყო მოეკლათ ან ტყვედ ჩაეგდოთ იმდენი ალ ქაიდას წევრი, რამდენიც იქნებოდა შესაძლებელი, არ მიეცათ მათთვის გაქცევის საშუალება „შავი გასასვლელებით“.

ოპერაცია „ანაკონდა“ მიმდინარეობდა 2 მარტიდან 19 მარტის ჩათვლით. ამ პერიოდში ტერორისტების წინააღმდეგ განხორციელდა არაერთი შეტევა როგორც სახმელეთო, ასევე საჰაერო. თავდაპირველად ბრძოლაში ალ-ქაიდა თითქოსდა მედგრად იდგა, მათ ჰქონდათ კარგად გათხრილი და აღჭურვილი სანგრები საჭმლისა და შეიარაღების დიდი მარაგით, ქონდათ საუკეთესო დაკვირვების პოსტები. თავდაპირველი აშშ-ს მართული ავღანელთა შეტევა ჩაიშალა ცუდი საჰაერო მხარდაჭერის გამო, არტილერიის ნაკლებობის გამო და ასევე მტერი ბევრად უფრო

მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მოელოდნენ. მიუხედავად ამ პრობლემებისა, „ოპერაცია ანაკონდა“ იყო წარმატებული, რადგანაც ლიკვიდირებულ იქნა ალ-ქაიდას ბევრი წევრი, მტრის მსხვერპლი მერყეობდა 100-დან 1000 ტერორისტამდე, მტრის ნაწილმა შეძლო გაქცევა და ახლომახლო გორაკებს შეაფარა თავი, ასევე პაკისტანის ტომებს შეერივნენ. ალ-ქაიდამ დაკარგა ბევრი გამოცდილი და ძლიერი მებრძოლი, აშშ-ს ძალებმა (დამატებითი სპეციალური ძალების ერთეულები, 82-ე საჰაერო დივიზიის და 18 საჰაერო კორპუსის ნაწილები) დიდი დანაკარგის გარეშე შეძლეს ოპერაცია წარმატებით ჩაეტარებინათ, ეს ოპერაცია კი სამომავლოდ უნდა ყოფილიყო პოლიტიკური სტაბილურობის და ეკონომიკური რეკონსტრუქციის დაწყების გარანტი.

სამხედრო გამარჯვება კიდევ უფრო გაძლიერდა გაეროს მიერ მხარდაჭერილი ბონის სამშვიდობო შეთანხმებით, რომლის მიხედვითაც გაეროს მანდატით საერთაშორისო უსაფრთხოების ძალები - ოფიციალური სახელწოდებით საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალები (ISAF) - შეიქმნებოდა, რათა დახმარებოდა ავღანეთის გარდამავალ ხელისუფლებას - ავღანეთის შუალედურ მთავრობას ქაბულში და მის გარშემო უსაფრთხოების შენარჩუნებაში.

ოპერაციამ მდგრადი თავისუფლება (OEF) და „ანაკონდა“ წარმატებულად გაართვა თავი დაკისრებულ მისიას და ტერორიზმთან ბრძოლა გადავიდა ახალ ფაზაში. 2001 წლის დეკემბერში ავღანეთის ოპოზიციის ლიდერებმა გერმანიაში ქ. ბონში გამართეს კონფერენცია, სადაც განხილულ იქნა ქვეყნის აღდგენისა და სამომავლო განვითარების პროცესი. ამ შეხვედრაზე გადაწყდა ავღანეთში ახალი სახელმწიფო სტრუქტურის ჩამოყალიბება და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების ფორმირება (International Security Assistance Force-ISAF). ნატოს სარდლობის ქვეშ მყოფი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალებმა ISAF ავღანეთში მოღვაწეობა დაიწყეს 2003 წლის აგვისტოდან. ISAF წარმოადგენდა საერთაშორისო ძალებს, რომელიც მოქმედებდა გაეროს მანდატით და აერთიანებდა სამხედრო მოსამსახურეებს 51 ქვეყნიდან.

ამ მნიშვნელოვანი მისიის მიზანი იყო ავღანეთის მთავრობისათვის გაეწიათ დახმარება უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაში და ქვეყნის წინსვლაში.

ISAF-ის მისიის დავალება იყო ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალებთან ერთად სხვადასხვა სამხედრო ოპერაციების ჩატარება, ავღანეთის პოლიციის, უსაფრთხოების ძალებისა და არმიის განვითარების მხარდაჭერა, სხვადასხვა ჰუმანიტარული ოპერაციების მხარდაჭერა, ავღანეთის მთავრობის მიერ სამოქალაქო და სამხედრო პროექტების განხორციელებაში მხარდაჭერა, ეროვნული უსაფრთხოების ძალების მხარდაჭერა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში და ა.შ. ISAF-ის მისია მიმდინარეობდა ავღანეთის ჩრდილოეთით ცხრა პროვინციაში, რომელიც მოიცავდა 185 ათას კვადრატულ კილომეტრს.

ISAF-ის მისია იყო ნატოს პირველი სამხედრო სახმელეთო ოპერაცია. ნატო საზღვრებს გარეთ 1999 წელს კოსოვოშიც ომობდა, მაგრამ მაშინდელი სამხედრო კამპანია იყო მხოლოდ საჰაერო, ნატოს სახმელეთო ჯარები კი კოსოვოში წინააღმდეგობის გარეშე შევიდნენ მას შემდეგ, რაც საომარი მოქმედებები დასრულდა. 2006 წლიდან ნატომ ავღანეთის „სამხრეთიც“ ჩაიბარა. გარდა სამხედრო მისიისა, ნატო ავღანეთში ზრუნავდა მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზეც. ნატოს მისია ავღანეთში, რომელიც 13 წელი გაგრძელდა, 2014 წლის 28 დეკემბერს ოფიციალურად დასრულდა, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ნატო ტოვებდა ავღანეთს. 2015 წელს დაიწყო ნატოს ახალი პროგრამა მტკიცე თანამშრომლობის მისია (RSM - Resolute Support Mission in Afghanistan). ეს მისია ატარებდა სასწავლო და საკონსულტაციო ხასიათს და დახმარებას უწევდა ავღანელ სამხედროებს ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ნატოს ამ მისიაში მონაწილეობდა 42 ქვეყანა, სულ - 13.195 მოსამსახურე, საქართველოც 2015 წლიდან ჩაერთო ამ მისიაში.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მისია იყო ISAF-ის მისია. 2003 წლის აგვისტოდან გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე ავღანეთში სამხედრო მოსამსახურეები გაიგზავნა. ამ მისიის მიზანი იყო ტერორიზმთან შეურიგებელი ბრძოლა. ალიანსმა იტვირთა ამ რთული მისიის სარდლობა. ამ მისიაში ჩართულობამ აღმოფხვრა ტერორიზმის საფრთხე და გახდა მშვიდობის გარანტი მთელი მსოფლიოსათვის.

გაეროს წევრები ექვსთვიანი ინტერვალით მოხალისედ ასრულებდნენ ISAF-ის მისიას, თუმცა ხანმოკლე როტაციამ ძალაუფლების გადაცემა

კონტრპროდუქტიული გახადა. იმის გათვალისწინებით, რომ ISAF-ის მისიაში მონაწილე მრავალი ქვეყანა ასევე იყო ნატოს წევრი, სწრაფად გავრცელდა იდეა, რომ შესაძლოა უფრო ეფექტური ყოფილიყო, თუ ნატო უფრო დიდ როლს შეასრულებდა ISAF-ის მისიაში. ნატოს წევრების მოთხოვნით, გაეფართოებინათ ნატოს როლი ავღანეთში, ალიანსმა საბოლოოდ 2002 წლის 17 ოქტომბერს განაცხადა, რომ პირველ რიგში მხარს უჭერდა ISAF-ის მისიის ხელმძღვანელობას გერმანიისა და ნიდერლანდების მიერ.

თუ გადავხედავთ OEF-ის სამხედრო მოქმედებებს, ოპერაცია „ანაკონდამ“ მოახერხა ალ-ქაიდას პოზიციებზე თავდასხმა შარ-ი-კოტის ხეობაში. OEF-მა აშკარად მიაღწია წარმატებას თავის ოპერაციებში და „გააგებინა თალიბან ლიდერებსა და მათ მხარდამჭერებს, რომ ტერორისტების შეფარება მიუღებელია და პასუხი მოეთხოვებათ“ (Rumsfeld, 2001). საბოლოოდ ჩამოაგდეს თალიბანის რეჟიმი. საერთო ჯამში, თალიბანის დაახლოებით 4000 წევრი დაიღუპა, ხოლო ამერიკის მხრიდან მხოლოდ 56 დაიღუპა და 200 დაიჭრა. მიუხედავად ამისა, ასევე დაფიქსირდა დაახლოებით 1,000-1,300 მშვიდობიანი ავღანელი მოქალაქის დაღუპვა აშშ-ს დაბომბვის შედეგად და 3000-ზე მეტი არაპირდაპირი მიზეზების გამო, რამაც დიდად შეარყია აშშ-ს განზრახვა მიეწოდებინა ავღანელი ხალხისთვის მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული შვება. ადგილზე სათემო გამოკითხვებზე დაფუძნებული კვლევა ვარაუდობს ომის ამ ფაზაში დაღუპულთა კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს, თუნდაც 10000-მდე (Benini, Moulton, 2004:403-422).

აშშ სამხედრო ოპერაციასთან ერთად განაგრძობდა ავღანელი ხალხის დახმარებას რეკონსტრუქციასა და განვითარებაში, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, ხელს უწყობდა ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების (ANSF) ზრდას ნატოს სასწავლო მისიის - ავღანეთის (NTM-A) მეშვეობით. თუმცა, ორწლიანი სწავლების შემდეგ, ავღანეთის ძალები კვლავ ბევრად იყვნენ დამოკიდებული აშშ-სა და კოალიციის მხარდაჭერაზე, ხოლო სასწავლო მისიის დასახმარებლად მეტ რესურსს ითხოვდნენ (Baker Quinn, 2009).

§ ISAF მისია ნატოს ხელმძღვანელობით

2009 და 2010 წლებში თალიბანის თავდასხმები საგრძნობლად გაძლიერდა, რამაც ნატოს წინაშე არსებული ვითარება უფრო რთული გახადა. განახლებული თალიბანის გარდა, მთავარი საზრუნავი ასევე მოიცავდა ჩამორჩენილ/ნელა მიმდინარე რეკონსტრუქციის პროცესს; ავღანეთის არმიის შრომატევადი წვრთნა და გამომფიტავი კორუფცია ავღანეთის მთავრობაში. მართლაც, ავღანეთის პრეზიდენტის ჰამიდ კარზაის სისუსტემ და შიდა კორუფციამ გაართულა ის, რაც ისედაც რთული ამოცანა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ნატო მზად იყო უზრუნველყო და გაეუმჯობესებინა უსაფრთხოება ავღანელი ხალხისთვის, მისი ნდობა „ნატოს ტერიტორიის გარეთ შესაძლებლობების ამ მნიშვნელოვანი გამოცდის ჩაბარების თაობაზე ოდნავ შემცირდა, რობერტ გეიტსმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ავღანეთში არსებულ მძიმე ვითარებას უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე მიუნხენის 44-ე კონფერენციაზე და განაცხადა, რომ არ იყო საკმარისი ჯარი, რათა ალიანსს მიეცეს საშუალება მიაღწიოს პროგრესს ქვეყნის ყველა ნაწილში. (Garamone, 2008).

ნატოს მოკავშირეებისგან მხოლოდ რამდენიმე დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა ავღანეთში დამატებითი ჯარების გაგზავნა. ვაშინგტონში თვლიდნენ, რომ ალ-ქაიდამ კვლავ შეინარჩუნა თავისი „უსაფრთხო თავშესაფარი“ საზღვრის გასწვრივ, რაც ავღანეთის სტატუსს ქვოს არამდგრადს ხდიდა. 2009 წლის თებერვალში ნატოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე პრეზიდენტმა ობამამ გამოაცხადა დამატებით 17000 ამერიკელი ჯარისკაცის გაგზავნა, რითაც აღინიშნა ავღანეთში ომის ამერიკანიზაციის დასაწყისი. ამ ბრძანების გაცემით, თითქმის 50% დაემატებოდა უკვე იქ მყოფ 36000 ამერიკელ ჯარისკაცს (Cooper, 2009).

ერთი თვის შემდეგ, პრეზიდენტმა ობამამ პირობა დადო, რომ განათავსებს დაახლოებით 4000 ჯარისკაცს ავღანეთის უსაფრთხოების ძალების მოსამზადებლად, რათა ავღანეთში მყოფი ყველა ამერიკული ქვედანაყოფი პარტნიორული იყოს ავღანურ ქვედანაყოფთან, რომელიც „პირველად... ნამდვილად გამოავლენს ჩვენს ძალისხმევას და მხარს დაუჭერს ავღანეთის არმიას და

პოლიციას". უფრო მეტიც, მან ასევე დაისახა მიზნად, რომ 2011 წლისთვის შექმნიდა ავღანური არმიის 134,000 კაციან არმიას და 82,000-იან პოლიციას (Obama, 2009).

აშშ-ის ძალისხმევამ კულმინაციას მიაღწია 2009 წლის დეკემბერში, როდესაც პრეზიდენტმა ობამამ დამატებით 30000 ჯარისკაცის გაგზავნის უფლება მისცა ავღანეთის მისიის მხარდასაჭერად 2010 წლის ზაფხულისთვის. ეს გადაწყვეტილება ფაქტობრივად პასუხი იყო სექტემბერში ავღანეთის უმაღლესი სამხედრო მეთაურის გენერალ სტენლი მაკკრისტალის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე, რომ თუ მნიშვნელოვნად მეტ ჯარს არ გააგზავნიდნენ, ავღანეთის ომი სავარაუდოდ წარუმატებელი იქნებოდა. იმ ფაქტმა, რომ „რამდენიმე წლის განმავლობაში (ავღანეთი) უკან იხევდა“ და „(აშშ-ს) უსაფრთხოება (იყო) სასწორზე“, საბოლოოდ დაარწმუნა ობამა მეტი ჯარი გაეგზავნა (Woodward, 2010:334).

ISAF-ის პერსონალის საერთო რაოდენობა 2009 წლის ოქტომბერში 71030-მდე გაიზარდა. 2010 წელს ISAF-ში ჯარისკაცების რაოდენობა 119745-მდე გაიზარდა. 2011 წლის ივნისისთვის ISAF-ი კიდევ უფრო გაფართოვდა 132,457-მდე. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად გაზრდილმა ISAF-მა უფრო მეტი გარანტია მისცა მისიის წარმატებისთვის, მან ვერ გადაჭრა თავსატეხი, რომ „ნატომ შეიძლება საბოლოოდ მიაღწიოს წარმატებას ავღანეთში, მაგრამ მარცხი განიცადოს როგორც ალიანსმა“, რადგანაც უმეტესი წვლილი მაინც მხოლოდ ვაშინგტონმა შეიტანა. ასე მაგალითად, აშშ-ს ძალების კონტრიბუცია ISAF-ში 2009 წლის ოქტომბრის მდგომარეობით იყო 34,800, რაც ISAF-ის ჯარების თითქმის ნახევარს უტოლდებოდა (Bowman, Dale, 2009:15). ეს რიცხვი 2010 წლის ივლისში 78,430-მდე გაიზარდა, რამაც გააორმაგა ევროპული ძალების რაოდენობა და შეადგენდა ISAF-ში ჯარების ჯამური კონტრიბუციის ორ მესამედს. პროპორცია უფრო გასაოცარი გახდა 2011 წელს, როდესაც აშშ-ს ძალები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ISAF-ს, გაიზარდა 90 000-მდე, რაც 10-ჯერ მეტი საჯარისო შემადგენლობაა, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

ზოგადად, ორი წლის განმავლობაში, 2009 წლის შუა რიცხვებიდან 2011 წლის შუა რიცხვებამდე, შეერთებულმა შტატებმა 67%-ით გაზარდა თავისი ძალები ავღანეთში. მეორეს მხრივ, ნატოს ზოგიერთმა წევრმა, მათ შორის ნიდერლანდებმა, ბელგიამ, ნორვეგიამ, ისლანდიამ, რეალურად შეამცირეს თავიანთი არსებული

წვლილი. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ვაშინგტონს გაუჭირდა ევროპელი მოკავშირეებისგან მისთვის სასურველი ძალების გამომუშავება, იყო ის, რომ აშშ-ს ხელმძღვანელობისადმი ევროპული საზოგადოების მხარდაჭერის შემცირებამ შეზღუდა ევროპის მთავრობების მიერ რესურსების მიწოდება ISAF-ის მისიისთვის, რომელსაც ნატო ხელმძღვანელობდა. ამ დაბრკოლების გადალახვა ადვილი არ იყო, რადგან ბრალდება იმის შესახებ, რომ აშშ იყენებდა ნატოს, როგორც ცალმხრივი ძალაუფლების ინსტრუმენტს, იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული ევროპის ქვეყნებში, რომ ხშირად იჩენდა თავს, როცა აშშ-სა და ევროპელ მოკავშირეებს შორის დავები მწვავედებოდა. ღრმად ფესვგადგმული დისკარმონია კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა ავღანეთის შემთხვევაში იმის გამო, რომ ორი ომი ერთდროულად მიმდინარეობდა. რობერტ გეითსმა ერთხელ ახსნა, თუ რატომ არ სურდათ ევროპელებს მხარი დაუჭირონ ავღანეთში ოპერაციებს იმ მტკიცებულებით, რომ მათ არ შეეძლოთ ერაყისა და ავღანეთის ბრძოლების სათანადოდ გამიჯვნა. მისი თქმით, „ევროპელებმა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან იმას, რასაც შეერთებული შტატები აკეთებს ერაყში, მისი ასოცირება მოახდინეს ავღანეთის ოპერაციებზე. ასე რომ, ამ კუთხით, ალბათ, იყო გარკვეული ზეგავლენა“ (Garamone, 2008).

მიუხედავად შეხსენებისა, რომელიც გეითსმა გაუგზავნა ევროპულ ქვეყნებს, რომ „ევროპას (ავღანეთიდან) პირდაპირი საფრთხე ემუქრება“, შეერთებულმა შტატებმა ასევე სრულად გააცნობიერა სირთულეების აღმოფხვრა, რაც საზოგადოებამ დაუწესა ევროპის პოლიტიკურ ლიდერებს. შედეგად, 2009 წლის დასაწყისში შეერთებულმა შტატებმა შეცვალა თავისი სტრატეგია, ვაშინგტონმა დაიწყო ევროპელი მოკავშირეებისგან ფოკუსირება იმაზე, რისი გაკეთებაც შეეძლოთ ნატოს ოპერაციებისთვის, ეს ოპერაცია კი იყო არა მხოლოდ ავღანეთის გრძელვადიანი სტაბილურობა, არამედ ნატოს გამძლეობის დასაბუთებაც.

გ. აშშ-ს გამოსვლა ავღანეთიდან

2011 წლის 2 მარტს შეერთებულმა შტატებმა დაიწყო მიზანმიმართული ოპერაცია აბოტაბადში, პაკისტანში, სადაც წარმატებით მოკლა ოსამა ბინ ლადენი, ალ-ქაიდას ლიდერი და სიმბოლო. პრეზიდენტის თქმით, „ბინ ლადენის სიკვდილი

არის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა ჩვენი ერის მცდელობაში ალ-ქაიდას დამარცხებისთვის“ (Obama,2011). ადასტურებდა რა, რომ „ალ-ქაიდა უფრო მეტი ზეწოლის ქვეშ იმყოფება, ვიდრე ნებისმიერ დროს 11 სექტემბრის შემდეგ“, პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ „ომის ტალღა იკლებს“ (Obama,2011).

ამრიგად, მან გამოაცხადა ავღანეთიდან 10 000 ამერიკელი ჯარისკაცის გაყვანა 2011 წლის ბოლომდე. მას შემდეგ რაც დაადასტურა, რომ შეერთებულმა შტატებმა უკვე მიაღწია წინასწარ დასახულ მიზნებს, მათ შორის „ალ-ქაიდაზე ფოკუსირება, თალიბანის იმპულსის შეზღუდვა და ავღანეთის უსაფრთხოების ძალების მომზადება საკუთარი ქვეყნის დასაცავად“, პრეზიდენტმა შემდგომ მიზნად დასახა, რომ სახლში დააბრუნებდა მთლიანობაში 33,000 მეომარს მომავალი ზაფხულისთვის, „როგორც მე-2 ფაზის შემცირებას“.

ISAF-ის მეთაურის გენერალ ჯონ ალენის თქმით, გამოცხადებული გაყვანა ავღანეთში მყოფი 88 000 ამერიკელი ჯარისკაციდან 23 000-ს სამშობლოში 2012 წლის 30 სექტემბრისთვის დააბრუნებდა, მაგრამ ISAF-ს იმ დროისთვის ჯერ კიდევ ეყოლება 65,000 ამერიკელი ჯარისკაცი და ასევე დაახლოებით 40,000 ჯარისკაცი სხვა ქვეყნებიდან, როგორცაა ბრიტანეთი, გერმანია და კანადა (Shaughnessy, 2012).

ფაქტობრივად, ავღანეთში მთავარი უსაფრთხოების პასუხისმგებლობის გადაცემის და აშშ-ის ძალების შემცირების გადაწყვეტილება მიღებული იქნა ჯერ კიდევ 2009 წლის დეკემბერში, როდესაც ობამა დაპირდა ჯარების გაყვანას 2011 წლის ივლისში, მაშინ როცა ავღანეთში დამატებით 30 000 ამერიკელი ჯარისკაცის შეყვანის ბრძანებას გასცემდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ამბების უმეტესობა ფოკუსირებული იყო 30 000 ჯარისკაცზე, ობამას 33-წუთიან ვესტ პოინტის გამოსვლაში, New York Times-ის სათაური იყო: „ობამა ამატებს ჯარებს, მაგრამ ამზადებს გასვლის გეგმის რუკებს“ (Stolberg, Cooper, 2009).

იქედან მოყოლებული გრძელდებოდა დებატები, უნდა გამოსულიყო თუ არა აშშ ავღანეთიდან. როგორც კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, „ობამას გადაწყვეტილებამ ავღანეთიდან ჯარები უფრო სწრაფად გამოიყვანოს, ვიდრე სამხედროების მიერაა რეკომენდირებული, შეიძლება საფრთხე შეუქმნას ომის შემდეგ მთავარ ბიძგს, აღმოსავლეთში მეამბოხეების ჩამოგდებას“.

ისინი ძირითადად ეწინააღმდეგებოდნენ აშშ-ს ავღანელებისთვის

პასუხისმგებლობის გადაცემის ვადის განსაზღვრას, პრეზიდენტმა ობამამ კი განაცხადა, რომ „ის ადგენს მიზნებს, რომლებიც აღემატება იმას, რისი მიღწევაც შესაძლებელია გონივრულ ფასად და რისი მიღწევა გვჭირდება ჩვენი ინტერესების დასაცავად“ (Obama, 2009). ავღანეთის მისია არ განისაზღვრა როგორც „სრულფასოვანი კონტრ-აჯანყება“ და არც „დაუსრულებელი...არარეალური ერის მშენებლობის მცდელობა“ (Woodward, 2010:325). ასე რომ, ცხადია ამერიკას არ ჰქონდა განზრახვა ეწარმოებინა გაუთავებელი ომი ავღანეთში (Obama, 2009). რაც მთავარია, ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ომების ფასის უბრალოდ იგნორირება ნამდვილად არ შეიძლებოდა. რაჰმ ემანუელი, თეთრი სახლის შტაბის უფროსი, რომელმაც ავღანეთის ომს პირადად უწოდა „პოლიტიკური ბუზის-საჭერი-ქალაქი“ („შენ მასზე ეწებები და ვერ თავისუფლდები“), შეწუხდა ხარჯების გამო, როდესაც ობამამ გამოაცხადა კიდევ 30,000 ჯარისკაცის განლაგების შესახებ. (Woodward 2010:327).

წარმომადგენელმა ლუიზ სლოტერმა (D-NY) კი გამოთვალა, რომ „აშშ-ს მთავრობა უკვე ხარჯავს 3,6 მილიარდ დოლარს თვეში ავღანეთის ომზე. დამატებითი 30,000 ჯარისკაცის გაგზავნა წელიწადში დამატებით 30 მილიარდი დოლარი დაჯდება, რაც დაახლოებით 1 მილიონ დოლარს შეადგენს თითო ჯარისკაცზე ან საზღვაო ქვეითზე“. იმავდროულად, სენატორის ბერნი სანდერსის თანახმად, „ჩვენი ხალხის 17 პროცენტი უმუშევარი ან არადასაქმებულია და ოთხი ბავშვიდან ერთი სასურსათო ბარათზეა“.

მოკლედ, შეერთებულმა შტატებმა ვერ მიაღწია ბალანსს ეროვნულ უსაფრთხოებასა და ეკონომიკას შორის, რის შედეგადაც შემცირდა აშშ-ის ძალები საზღვარგარეთ. მეორე მხრივ, რესპუბლიკელებმა ეჭვქვეშ დააყენეს აშშ-ის ჯარების სამშობლოში შემოტანის გრაფიკის ვალდებულება. წარმომადგენელი ლამარ ალექსანდრე შეშფოთებული იყო, რომ ადმინისტრაციამ უფრო მეტი ყურადღება დაუთმო „გასვლის სტრატეგიას“, ვიდრე წარმატების სტრატეგიას. სენატორი ჯონ კორნინი იზიარებდა იგივე შეხედულებას, თვლიდა, რომ შეცდომა იყო შემცირების თარიღის დაწესება გაზრდის დაწყებამდე, რადგან ეს გაუგზავნის არაერთგვაროვან გზავნილს როგორც ჩვენს მეგობრებს, ასევე ჩვენს მტრებს.

სენატორ ლინდსი გრეჰემსაც აწუხებდა ობამას 2011 წლის ივლისის ვადა

ჯარის გამოსვლის დასაწყებად, რადგან დასაბუთება, თუ რატომ არსებობდა ვადა, პრეზიდენტს გაურთულებდა რესპუბლიკელთა მხარდაჭერის მიღებას (**Woodward 2010:335-336**). რაც ყველაზე უარესი იყო, ეს იქნებოდა სიგნალი მტრისთვის, რომ დამატებითი 30,000 ამერიკელი ჯარისკაცი არ იყო დიდი საქმე, რადგან ისინი მალე დაბრუნდებოდნენ სახლში.

ეს შეშფოთება გონივრული იყო, რადგან 2010 წლის დასაწყისში თალიბების მიერ მკვლელობები გაიზარდა. „მტერი ახლა იწყებს ადაპტაციას“, თქვა დერეკ ჰარვიმ, CentCom-ის ავღანეთ-პაკისტანის ბრწყინვალეების ცენტრის (Excellence Center) დირექტორმა.

რიჩარდ ჰოლბრუკი, აშშ-ის სპეციალური წარმომადგენელი ავღანეთსა და პაკისტანში, ღიად წუხდა, მზადყოფნაში იყვნენ თუ არა ავღანელები აელოთ უსაფრთხოების პასუხისმგებლობა 2011 წლის ივლისამდე, როდესაც ამერიკელი ჯარები დატოვებდნენ ტერიტორიას. გენერალი დუგლას ლუტი, ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველის მოადგილე, ასევე შეშფოთებული იყო იმაზე, თუ როდის გადავიდოდა აშშ ობამას მოდელის „გასუფთავება, შენახვა, აშენება და გადაცემა“ ბოლო ფაზაზე.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ გაყვანის სტრატეგია მდგრადი იქნებოდა, ობამა დათანხმდა პირველი გადაფასების ჩატარებას 2010 წლის დეკემბერში, რათა მიეღოთ გადაწყვეტილება ძალების გაყვანის ტემპის შესახებ მომდევნო წელს. შეფასების შედეგი განსაზღვრავდა არა იმას, რომ შეამციროს თუ არა, არამედ როგორ უნდა შეამციროს ძალები აშშ-მ (**Woodward, 2010:329**).

გაყვანის გადაწყვეტილება მიიღეს ავღანეთში ინტენსიური ბრძოლების ფონზე. ძალადობა ფაქტობრივად გაიზარდა მთელ ქვეყანაში 2011 წლის 2 მაისს პაკისტანში ოსამა ბინ ლადენის მკვლელობის შემდეგ, რასაც მოჰყვა ეგრეთ წოდებული თალიბანის „საგაზაფხულო შეტევა“. გაყვანის გამოცხადებიდან სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ, სამმა ტერორისტმა თავი აიფეთქა ქაბულის სასტუმრო ინტერკონტინენტალში, დაიღუპა სულ მცირე შვიდი ადამიანი და გაჩნდა კითხვები იმის შესახებ, იყო თუ არა ავღანური ძალები სრულად მზად აელოთ პასუხისმგებლობა აშშ-ს ძალების გაყვანის შემდეგ, მაგრამ აშშ-სთვის შემცირების გამოცხადება ამოცანად ჩანდა, რომელიც არ უნდა შეფერხებულიყო. ვაშინგტონი ელოდა, რომ ავღანეთის უსაფრთხოების ძალები

2011 წლის ზაფხულში აიღებდნენ უსაფრთხოების პასუხისმგებლობას უცხოური ძალებისგან ქვეყნის შვიდ რაიონში და 2014 წლის ბოლომდე უხელმძღვანელებდნენ მთელი ქვეყნის დაცვას. ერთ-ერთი ახსნა იყო ის, რომ 2012 წლის მაისისთვის დაახლოებით 2000 ამერიკელი ჯარისკაცი დაილუპა და 16 253 დაიჭრა, რამაც ობამას ადმინისტრაციაზე დიდი ზეწოლა მოახდინა.

ობამას ბევრი თანამემამულე დემოკრატი დიდი ხანია სკეპტიკურად უყურებდა ავღანეთის ვალდებულებას და ითხოვდა სწრაფ შეჩერებას.

იმდროინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, რომელიც თავდაპირველად ამტკიცებდა, რომ ავღანეთი მცირე გაზომვად სარგებელს მიიღებდა 30 000 ჯარისკაცის შეგროვებით, სანამ არ იქნება სანდო ავღანეთის მთავრობა და ავღანეთის უსაფრთხოების სამსახურები, გააფრთხილა ობამა, რომ სამხედრო დასაბუთება ავღანეთის ომში მეტი ჯარის დამატების შესახებ არასწორი იყო (Gearan, 2012).

თავად რესპუბლიკელებიც გაიყვნენ. ზოგიერთი, მათ შორის მაშინდელი საპრეზიდენტო კანდიდატი მიტ რომნი, აკრიტიკებდა ობამას გასვლის თარიღის დადგენის გამო, რადგან ეს მცირე ადგილს დატოვებდა აშშ-ს სტრატეგიის მომავალი კორექტირებისთვის. თუმცა უმრავლესობა ფიქრობდა, რომ აშშ უნდა გამოვიდეს ავღანეთიდან უფრო ადრე, ვიდრე 2014 წლის დასასრული. ძალადობრივი ეპიზოდების და წარუმატებლობის სერიის შემდეგ, ომის მხარდაჭერა მკვეთრად დაეცა როგორც დემოკრატებს, ასევე რესპუბლიკელებს შორის. New York Times/CBS News-ის გამოკითხვის თანახმად, რომელიც ჩატარდა 2012 წლის მარტში, გამოკითხულთა 69% თვლიდა, რომ ავღანეთის ომი არ ღირდა ბრძოლად (Bumiller, Kopicki 2012).

Pew Research Center-ის გამოკითხვაში გამოკითხულთა 57%-მა თქვა, რომ ამერიკამ უნდა დააბრუნოს ამერიკელი ჯარები სახლში რაც შეიძლება მალე, ხოლო Gallup/USA Today-ის გამოკითხვისას 50%-მა განაცხადა, რომ ამერიკამ უნდა დააჩქაროს ავღანეთიდან გამოსვლა.

ეს საშინაო დებატები გართულდა შეერთებულ შტატებსა და ავღანეთს შორის დაძაბულობის გამო, განსაკუთრებით აშშ-ს სამხედრო ბაზაზე ყურანის დაწვის შემდეგ, რამაც გამოიწვია რამდენიმე ავღანელი მშვიდობიანი მოქალაქის სიკვდილი. ასობით დემონსტრანტი გაჰყვიროდა „მოკვდიო, მოკვდიო უცხოელებო“ და მოითხოვდნენ აშშ-ს ძალებს დაეტოვებინათ თავიანთი ქვეყანა. ფაქტობრივად,

ავღანელი ხალხისთვის, აშშ-ს ძალები დიდი ხანი აღიქმებოდა, როგორც იმპერიული პოლიცია (Hammes 2006:165).

ამ ინციდენტმა უბრალოდ გააჩინა ეჭვი იმის შესახებ, პატივს სცემენ თუ არა ამერიკელები ისლამს, ისევე როგორც ღრმა იმედგაცრუება იმის გამო, თუ რატომ იყო ძალადობა ფართოდ გავრცელებული თალიბანის დამხობიდან 10 წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ. საპასუხოდ, ობამამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აშშ-ს არ ჰქონდა განზრახვა ავღანეთის ქუჩების პოლიცია ან ავღანეთის მთების პატრულირება განუსაზღვრელი ვადით განეხორციელებინა, რადგან ავღანეთის უსაფრთხო ადგილად გადაქცევა ავღანეთის მთავრობის პასუხისმგებლობა იყო. გარდა ამისა, მან განმარტა, რომ აშშ-ს მიზანი იყო შეძლებოდა „პარტნიორობის დამყარება ავღანელ ხალხთან, რომელიც მყარი იქნებოდა, და რის მეშვეობითაც შეძლებდნენ ტერორისტების გამკლავებას და სუვერენული ავღანეთის მთავრობის მხარდაჭერას“ (Obama, 2011).

თუმცა, დამაბულობა ვაშინგტონსა და ქაბულს შორის მომდევნო წელს დაჩქარდა იმის გამო, რომ გამოქვეყნდა ფოტოები, სადაც ნაჩვენებია იყო ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებიც პოზირებდნენ თალიბანის მემბოხეების ნემტებთან და ამერიკელი შტაბის სერჟანტთან, რომელსაც ბრალი ედებოდა 16 ავღანელი მშვიდობიანი მოქალაქის მკვლელობაში. ავღანეთთან ისედაც რთული ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, პრეზიდენტმა ობამამ ხელი მოაწერა სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებას პრეზიდენტ ჰამიდ კარზაისთან ოსამა ბინ ლადენის გარდაცვალების პირველ წლისთავზე, რომელიც იუწყებოდა „მომავალს, რომელშიც ომი მთავრდება და გაიშლება ახალი ფურცელი“.

ობამას თქმით, ეს „მუდმივი სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება“ უზრუნველყოფს აშშ-ავღანეთის ურთიერთობის გრძელვადიან ჩარჩოს აშშ-ს ძალების შემცირების შემდეგ: „აშშ გადაინაცვლებს მხარდაჭერის როლში, როდესაც ავღანელები წინ წაიწევენ.“ მიუხედავად ამისა, აშშ-ს წასვლის სურვილი გააკრიტიკეს ზოგიერთმა ავღანელმა და თუნდაც საერთაშორისო საზოგადოებამ, რადგან თალიბებს არასოდეს შეუწყვეტიათ ბრძოლა, შეთანხმების ხელმოწერიდან რამდენიმე საათის შემდეგ, სულ მცირე ორმა აფეთქებამ შესძრა ავღანეთის დედაქალაქი. კომპლექსის მახლობლად, რომელსაც იყენებდნენ გაეროს თანამშრომლები და სხვა უცხოელები, დაიღუპა შვიდი

ადამიანი, მათ შორის ექვსი მშვიდობიანი მოქალაქე და დაცვის თანამშრომელი (Landler ,2012).

ამან კიდევ ერთხელ გააჩინა კითხვა, მზად იყვნენ თუ არა ავღანეთის ძალები აეღოთ პასუხისმგებლობა მთელი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის და ნაადრევი იყო თუ არა აშშ-სთვის კონტრ ამბოხების მისიის გადატანა და ძალების ავღანეთიდან გაყვანა.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო შემცირდეს ავღანელების შემფოთება იმის შესახებ, რომ გაყვანის შემდეგ მარტო უნდა გაუმკლავდნენ საფრთხეებს და გაექარწყლებინათ ჭორები, რომ ამერიკა აპირებდა ავღანეთის მიტოვებას, აშშ-მ წახალისა ISAF-ი და სხვა პარტნიორები, გაემლიერებინათ ავღანური ძალების და პოლიციის წვრთნები. ISAF-ის მეთაურის, გენერალ ჯონ ალენის თქმით, ავღანეთის არმია და პოლიცია სწრაფად იზრდებოდა 276 000-დან 340 000-მდე, რომელთაგან ზოგიერთი მაღალკვალიფიციური და კარგად გაწვრთნილი იყო. რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა 2013 წელს და შეადგინა 350 000-ზე მეტი.

ამავდროულად, გაეროს უშიშროების საბჭო ერთსულოვნად შეთანხმდა გაეხანგრძლივებინა ISAF-ის უფლებამოსილება კიდევ 12 თვით, 2013 წლის 13 ოქტომბრამდე, იმის გათვალისწინებით, რომ თალიბებმა ისევ გაამლიერეს თავდასხმები, რადგან ისინი ცდილობდნენ ესარგებლათ უცხოური ჯარების გაყვანით. 2013 წლის ივნისში ავღანეთის ძალებმა საბოლოოდ აიღეს ლიდერობა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, ხოლო ნატოს ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ISAF-ი კი მთლიანად დამხმარე პოზიციაზე, უკანა სკამზე გადაიყვანა. ჯერჯერობით, ISAF-ის ჯარის რაოდენობა 130,000-დან 87,200-მდე შემცირდა და დაახლოებით 60,000 ამერიკელი ჯარისკაცი დაბრუნდა სახლში.

ერთი შეხედვით ჩანდა, რომ ავღანეთის უსაფრთხოების ძალების მზარდი შესაძლებლობები საშუალებას მისცემდა უცხოურ ჯარებს დაეტოვებინათ ქვეყანა, მაგრამ „მომავალი მაინც გაურკვეველი რჩებოდა, გაურკვეველობის შიში გავრცელდა მას შემდეგ, რაც ავღანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა უმერ დაუძაიმ გამოავლინა, რომ 1700-ზე მეტი ავღანელი პოლიციელი დაიღუპა 2013 წლის მარტიდან. იგივე რაოდენობა გარდაიცვალა წინა 12 თვეშიც (Smith, 2013).

ობამასაგან განსხვავებით, განსხვავებული ხედვა ჰქონდა აშშ-ს 45-ე პრეზიდენტ ტრამპს. მისი აზრით, გადაწყვეტილება ავღანეთის დატოვებაზე უნდა ყოფილიყო

დამოკიდებული არა კონკრეტულ ვადებზე, არამედ ადგილზე არსებულ ვითარებაზე. „ამერიკის მტრებს არასოდეს ეცოდინებათ ჩვენი გეგმები“, ამბობდა ის. ტრამპმა მოლაპარაკებების პროცესში გაზარდა ინდოეთის როლიც. ის აცხადებდა, რომ ავღანეთში გამოიყენებდა ყველა რესურსს, რათა სასურველი შედეგი მიეღო. ტრამპი ფიქრობდა ინდოეთთან სტრატეგიულ თანამშრომლობაზე, რის გამოც პაკისტანთან საკმაოდ კონფრონტაციულ ნაბიჯებზე წასვლა არჩია. ცხადია, ამ გადაწყვეტილებებს რეგიონში შეიძლებოდა დიდი გეოპოლიტიკური ძვრები გამოეწვია - ტრამპის პოზიციის გამო შესაძლებელი ხდებოდა პაკისტანი რუსეთისა და ჩინეთის მხარეს გადახრილიყო. 2017 წლის აგვისტოში ტრამპმა საკუთარი სამხედრო მრჩევლების აზრს დაუჯერა და ავღანეთში დამატებით 4000 სამხედრო შეიყვანა. ტრამპის სტრატეგია ომის დასრულების კუთხით უშედეგო ჩანდა, რადგანაც თალიბანი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა კონტროლს ქვეყნის გარკვეულ ნაწილზე, ყოველდღიურ საბრძოლო მოქმედებებს კი უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს უკვე „მოზეზრდა“ გაუთავებელი ომი ავღანეთში. ტრამპმა ზალმაი ხალილზადს, ავღანეთში ამერიკის ყოფილ ელჩს დაავალა, თალიბანთან იმგვარი შეთანხმება მიეღწია, რომ ნატოს და აშშ-ს ქვეყანა მალე დაეტოვებინათ. 2020 წლის თებერვალში შეთანხმება შედგა, მხარეთა მოლაპარაკებებს ესწრებოდა მაშინდელი სახელმწიფო მდივანი მაიკლ პომპეოც, აშშ-სა და ნატოს ჯარებს ქვეყანა 14 თვეში უნდა დაეტოვებინათ. შეთანხმების მიხედვით აშშ-ს პირველი 135 დღის განმავლობაში უნდა შეემცირებინა წარმომადგენლობა ავღანეთში და 8600 ადამიანამდე დაეყვანა. შეთანხმებაში გათვალისწინებული იყო, რომ არ უნდა დაემვათ ალ-ქაიდასა და სხვა ექსტრემისტი ჯგუფებისათვის მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ოპერირების შესაძლებლობა. ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობას არ იღებდა თავად ავღანეთის ლეგიტიმური მთავრობა და პრეზიდენტი ღანი. ტრამპის შემდეგ აშშ-ს მეთაურის ბაიდენის განცხადებით, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ ავღანეთში დაწყებული ომი, „არასოდეს განიხილებოდა როგორც თაობების განმავლობაში გასაკეთებელი საქმე“, „ჩვენ ავღანეთში ტერორისტების მოსახელთებლად წავედით, ტერორისტების, რომლებიც თავს დაგვესხნენ, 20 წლიანი გმირობისა და თავგანწირვის შემდეგ, დროა ჯარისკაცები სახლში დავაბრუნოთ“.

„შეერთებულ შტატებს მათი მთავრობის დახმარების გზით, მხოლოდ ავღანეთის უსაფრთხოების ძალების, ავღანელი ხალხისათვის რესურსების და შესაძლებლობების მიწოდების, წვრთნის და მათი ძალების აღჭურვის საშუალება აქვს“- განაცხადა პრეზიდენტის მრჩეველმა ჯეიკ სალივანმა. მისი თქმით „ჩვენ ამას ვაკეთებდით, მაგრამ ახლა დადგა დრო, ამერიკის ჯარები შინ დაბრუნდნენ, ავღანელმა ხალხმა კი მათი ადგილი დაიკავოს და დაიცვას ქვეყანა“. ბაიდენის გადაწყვეტილებას ავღანეთიდან ძალების გამოყვანის თაობაზე, შერეული რეაქცია მოჰყვა. სენატის რესპუბლიკური უმცირესობის ლიდერმა მიტჩ მაკკონელმა თქვა, რომ ეს საბედისწერო შეცდომა და „მტრის წინაშე უკანდახევა“ იქნება. ზოგიერთი დემოკრატიც გააკვირვა ამ გადაწყვეტილებამ, მათ შორის სენატორი რობერტ მენენდესი. ის შიშობდა, რომ ამ ნაბიჯით შესაძლოა აშშ-მ დაკარგოს „მიზნების მიღწევის საშუალებები“.

ავღანეთში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა ოთხ პრეზიდენტზე ნაწილდება, თუმცა მხოლოდ ჯო ბაიდენი გახდა დასასრულის სიმბოლო (მუშკუდიანი, 2021).

მრავალწლიანი პარტიზანული ომის შემდეგ, ავღანეთიდან აშშ-ს სამხედრო შენაერთის გასვლიდან რამოდენიმე დღეში, თალიბანმა ქვეყანა სრულად აიღო და დედაქალაქ ქაბულში პრეზიდენტის სასახლე დაიკავა. დედაქალაქის აღებამ დაბნეულობა და პანიკა გამოიწვია, სასოწარკვეთილი მოსახლეობა ევაკუაციის სხვადასხვა გზას ეძებდა. ავღანეთის პრეზიდენტმა აშრაფ ღანიმ განაცხადა, რომ რთული გადაწყვეტილების წინაშე იდგა და ქვეყნის დატოვება ამჯობინა.

აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს კი ქაბულში დამატებით ძალები შეჰყავთ, რათა საკუთარი მოსახლეობა მშვიდობიანად დააბრუნონ სახლში. ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა 2021 წლის 11 სექტემბრისათვის უნდა დასრულებულიყო, ზუსტად 20 წლის გასვლის შემდეგ, აშშ-მ კი საგარეო პოლიტიკის ცვლილება და „ტერორიზმის წინააღმდეგ მსოფლიო ომი“ დაიწყო. თალიბანმა ქვეყანა იმაზე ბევრად ადრე დაიკავა ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. 20-წლიანი ძალისხმევის მიუხედავად, რამდენიმე თვეში თალიბანმა ქაბული აიღო და ავღანეთზე კონტროლი დაამყარა. ლოგიკურია, პრეზიდენტი ბაიდენი არ ელოდა ქაბულის ასე მალე დაცემას, ამას მისი განცხადებაც ადასტურებს - „მოვლენები განვითარდა უფრო სწრაფად, ვიდრე ჩვენ ველოდით“.

მაიკ პომპეოს განცხადებით, ავღანეთის ძალებმა ვერ დაიცვეს ქვეყანა და ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. მისივე განცხადებით, აშშ-ს მისია არასოდეს ყოფილა ავღანეთის გაუთავებელი მშენებლობის პროცესი, არამედ მას ჰქონდა ერთი კონკრეტული მიზნები - ტერორისტებისათვის უსაფრთხო ნავსაყუდელის გაქრობა. ბაიდენის გადაწყვეტილება ამერიკის უსაფრთხოების ექსპერტებისა და პოლიტიკური ელიტის უმრავლესობის მიერ უარყოფითად შეფასდა. მიჩ მაკონელმა მოვლენებს კატასტროფა უწოდა. უარყოფითად შეაფასა ბაიდენის გადაწყვეტილება რესპუბლიკელმა სენატორმა ბენ სასემაც და ივარაუდა, რომ ავღანეთი ისევ გახდებოდა უსაფრთხო ნავსაყუდელი ტერორისტებისათვის. თავად ჯორჯ ბუშმა კი, ვინც 2001 წელს ავღანეთში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო, იქ განვითარებულ მოვლენებს ტრაგიკული უწოდა და თქვა, რომ ეს ღრმა მწუხარების მომგვრელია.

ბაიდენის გადაწყვეტილების შეფასება მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან შეიძლება, იქნება ეს წარმატებულად თუ წარუმატებლად. აშშ-ს უსაფრთხოების სპეციალისტების აზრით, რაც კოალიციური ჯარები ავღანეთში იმყოფებოდნენ, არც ერთი საერთაშორისო ტერორისტული თავდასხმა ამ ტერიტორიიდან არ განხორციელებულა, მაშინ როცა 1996-2001 წლებში ალ-ქაიდას შეეძლო მამტაბური ტერორისტული ბანაკების მოწყობა და შეტევების განხორციელება. ეს მიღწევა შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს. მართალია, ალ-ქაიდა არ განადგურებულა, თუმცა ძალიან დასუსტდა. ქვეყანაში წარმატებით ვერ დასრულდა სახელმწიფოს მშენებლობა, ადამიანის უფლებებისა და სხვა ღირებულებების დაცვის უზრუნველყოფა. არაერთი ექსპერტისაგან მოვისმენთ, რომ აშშ მეტს ვერაფერს მოიმოქმედებდა ავღანეთში და იქ სამუდამოდ ვერ დარჩებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თავად ავღანეთის მთავრობას არ ეტყობოდა ბრძოლის ენთუზიაზმი. ცხადია, ამაში გარკვეული სიმართლეც არის. ავღანეთის ომის ხარჯები ამერიკელი გადასახადის გადამხდელების ჯიბიდან ფინანსდებოდა, რომლიდანაც, შესაძლოა ურჩევნია ეს თანხა სოციალურ და ეკონომიკურ სერვისებს მოხმარდეს.

მიუხედავად იმისა, რომ არავინ იცის რას მოიმოქმედებს მომავალში თალიბანი, ზოგადად ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა „დიდ სტრატეგიაზე“ დამყარებული, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების მიღწევისათვის საჭირო საშუალებებს აერთიანებს. ცივი ომის დასრულების შემდეგ აშშ-ს, როგორც

ზესახელმწიფოს, 21-ე საუკუნეში გამოუჩნდა კონკურენტი ჩინეთის სახით. მისმა მზარდმა ეკონომიკამ აშშ-ს დიდი თავსატეხი გაუჩინა და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი პირველობა. წორედ ამიტომ, აშშ ახორციელებს რესურსების ხარჯვას სხვის ომზე და უფრო მეტ კონცენტრაციას ჩინეთიდან და რუსეთიდან წამოსულ საფრთხეებზე აკეთებს.

თავი III

ნატოს გეოპოლიტიკური პრიორიტეტები

3.1 რუსეთსა და ნატოს შორის ურთიერთობები ურთიერთთანამშრომლობისა და კონფრონტაციის ფონზე

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის (NATO) შექმნა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკავშირდება მათი წევრების საჭიროებას, დაეხმოს საბჭოთა კავშირის ძალაუფლების ზრდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მეორეს მხრივ, 1980-იანი წლები ხასიათდება, როგორც საბჭოთა კავშირის იმპერიალისტური მმართველობის რღვევა, რომლის შემდეგაც, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ნატოც უნდა დაშლილიყო, თუმცა არათუ დაიშალა, არამედ ის გახდა ყველაზე წარმატებული და მტკიცე სამხედრო ალიანსი ისტორიაში.

ნატოს გამძლეობა გამოიხატება სამი ფაქტორით. პირველი, ახალი ალიანსის სტრატეგიული კონცეფციის შექმნა 1991 წლის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლამდე რამდენიმე დღით ადრე. ეს იყო გამოძახილი გაურკვეველი მომავლისგან დაცვის საჭიროებისა.

მეორე, როგორც სამხედრო ორგანიზაცია, ნატო შეიქმნა, რათა ამოეცნოთ საფრთხეები ან დაეხმოს საბჭოთა კავშირის ძალაუფლებას. მიუხედავად ამისა, ნატო ყოველთვის ნიშნავდა უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ ბალანსი: 1949 წლის ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსის პრეამბულის თანახმად, მისი წევრი სახელმწიფოებისთვის იყო განსაზღვრული შემდეგი: „დაეცვათ თავისუფლება, სახალხო მემკვიდრეობა და მათი ხალხის ცივილიზაცია დაფუძნებულიყო დემოკრატიის ძირითად პრინციპებზე, ინდივიდუალურ თავისუფლებასა და კანონის ძალაზე“. დროთა განმავლობაში სამხედრო თავდაცვის ალიანსიდან, ის განვითარდა სახელმწიფოების ტრანსატლანტიკურ, სიცოცხლისუნარიან, ინსტიტუციონალურ საზოგადოებად, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ ერთი მიზნისთვის: დაეცვათ დასავლური ღირებულებები.

მესამე, საჭიროება ცვლილებისათვის და მისი სტრუქტურის ადაპტაციისთვის და მისიისთვის ახალ გარემოსთან, ორგანიზაციის რეფორმირება იყო, როგორც პოლიტიკური ისე სამხედრო თვალსაზრისითაც. ამ პროცესში ალიანსი გარდაიქმნა სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციად. სამხედრო კორექტირებამ გამოიწვია

შეექმნათ უფრო მოქნილი სახელისუფლებლო სტრუქტურა, რომელსაც ექნებოდა უნარი სწრაფად განელაგებინა შეიარაღებული ძალები. პოლიტიკური ადაპტაცია ნიშნავდა იმას, რომ ალიანსს ჭირდებოდა ახალი მისიები მისი მნიშვნელობის შესანარჩუნებლად - მშვიდობისმყოფელი მისიებით დაწყებული მასიური განადგურების იარაღების გავრცელებისთვის ხელის შეშლით დამთავრებული.

ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ოფიციალური დასაწყისი იყო 1991 წლის დეკემბერი, ჩრდილოეთ ატლანტიკური ურთიერთთანამშრომლობითი საბჭოს გახსნის ცერემონია (NACC). 1997 წელს ამ ორგანიზაციას გადაერქვა სახელი და გახდა ევროატლანტიკური პარტნიორული საბჭო (EAPC). ეს საბჭო შეიქმნა, რათა წახალისებინა ახალი ურთიერთობები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას შორის. ალიანსთან ინდივიდუალური ურთიერთობის გასამყარებლად რუსეთი შეუერთდა ურთიერთთანამშრომლობით სამშვიდობო პროგრამას 1994 წელს (PFP). PFP შეიქმნა, რათა შემოეთავაზებინათ ორმხრივი თანამშრომლობა ბევრ პრობლემასთან დაკავშირებით, ეზრუნათ ურთიერთთანამშრომლობაზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და მოეწყოთ სამშვიდობო ოპერაციები ორივე ორგანიზაციას შორის. ეს ნიშნავდა ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში პრაქტიკულ მონაწილეობას ბოსნიასა და კოსოვოში (SFOR და KFOR). 1990-იან წლებში რუსეთის წვლილი სამშვიდობო ოპერაციებში იყო უდიდესი, სხვა არა ნატოს წევრებთან შედარებით.

1990-იან წლებში, რუსეთს ჰქონდა დარჩენილი რამდენიმე მიზეზი, რათა ყოფილიყო რეზერვში PFP-სა და ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით. რუსეთის პოზიცია აღმოსავლეთში გაფართოებასთან დაკავშირებით აშკარა იყო. რუსეთის კლასიკური გეოპოლიტიკური შეხედულება დაკავშირებული იყო საჭიროებასთან გავლენა ჰქონოდა რეგიონში და შეექმნა ძლიერი კავშირი რეგიონის ქვეყნებს შორის. შემდეგი მიზეზი იყო ის, რომ რუსეთს ჰქონდა იგივე რეპუტაცია, როგორც სხვა პოსტ-საბჭოურ ქვეყნებს - ეს არ ემთხვეოდა მსოფლიოში რუსეთის მიერ საკუთარი გეოპოლიტიკური პოზიციის ინტერპრეტაციას.

1999 წლის მარტში პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა შეუერთდა ნატოს. 1997 წელს (ეს ის პერიოდი, როცა ამ სამი ქვეყნის მიღებასთან დაკავშირებით დაიწყო საუბარი), ნატო და რუსეთი შეთანხმდა „ჩამოეყალიბებინათ აქტი ურთიერთობებზე, ურთიერთთანამშრომლობასა და უსაფრთხოებაზე“. ამ აქტმა მისცა

რუსეთს შესაძლებლობა ყოფილიყო მუდმივი საბჭოს წევრი (PJC) და ნატოს წევრებთან ერთად დამსხდარიყო ერთ მაგიდასთან (19+1-ის ფორმატში). თანამშრომლობა გაგრძელდა და 1998 წელს რუსეთმა წამოიწყო დიპლომატიური მისია ნატოში. მიუხედავად ამისა, ერთი წლის შემდეგ მათი ურთიერთობები დაიძაბა იუგოსლავიაში ალიანსის ჩარევის შემდეგ, როდესაც რუსეთმა უკან გაიწვია თავისი წარმომადგენლები ნატოს შტაბიდან (Foxall, A. 2014:4-5).

ნატოსა და რუსეთს შორის უფრო ინტენსიური ურთიერთობა დაიწყო 2002 წელს, ნატო-რუსეთის საბჭოს ბაზაზე (NRC). თანამშრომლობის ახალმა ფორმამ ჩაანაცვლა წინა 19+1 ფორმატი (ნატოს+1) ყოფილი მუდმივი შენაერთის საბჭოს ფარგლებში (PJC). ნატო-რუსეთის საბჭოს ერთ-ერთი მთავარი სარგებელი იყო რუსეთს ჰქონოდა შესაძლებლობა ნატოს დისკუსიებში მიეღო მონაწილეობა დასაწყისიდანვე. NRC-ის დაარსების აქტში აღნიშნული იყო, რომ ნატოს წევრ ქვეყნებსა და რუსეთს შორის თანამშრომლობა გაიზრდებოდა ისეთ არეალში, როგორცაა, ანტიტერორიზმი, კრიზისის მენეჯმენტი, იარაღის მაკონტროლებელი ზომების მიღება, თავდაჯერებულობის შექმნის ზომები, ძიება და გადარჩენა ზღვაზე, რაკეტებისგან თავდაცვა, სამხედრო ურთიერთთანამშრომლობა და სამოქალაქო გადაუდებელი საქმეები (Padrtová, B. 2012:24-26).

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა შეტევამ აშშ-ზე აშკარა გახადა, რომ ტერორიზმი, არასტაბილურობა ცენტრალურ აზიაში და მასობრივი განადგურების იარაღი წარმოადგენს საფრთხეს ორივე მხარისთვის. ერთი წლის შემდეგ, რომის დეკლარაციით, ნატო-რუსეთის საბჭო (NRC) დაარსდა, სადაც რუსეთი იყო როგორც თანაბარი წევრი და ლეზულობდა გადაწყვეტილებას კონსენსუსის საშუალებით. NRC-ის შეხვედრები დროებით შეფერხდა 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ცალკეული ადგილები, სადაც ნატომ შეწყვიტა თანამშრომლობა რუსეთთან, თანამშრომლობა მაინც გაგრძელდა საერთო პრობლემებზე, როგორცაა ტერორიზმი და ნარკოტიკები.

მათ ურთიერთობებში არსებობს ორი ძირითადი კონცეფცია: ნატოს არ სურს მისცეს რუსეთს ვეტოს დადების უფლება ნატოს გადაწყვეტილებებზე, რადგან რუსეთი საკუთარ თავს მიიჩნევს მსოფლიო ძალად, რომელიც იმსახურებს სრულუფლებიან ხმას ევროპის უსაფრთხოების საკითხებში. მიუხედავად ამისა, საქმე

მდგომარეობს არა ძალაუფლებაში, არამედ მიზნის პრობლემაში. ნატოს განზრახვაა შექმნას სტაბილურობა და უსაფრთხოება აღმოსავლეთ ევროპაში. ამასთანავე, რუსეთს ბრალი ედება კონფლიქტის წამოწყებაში უკრაინაში, საქართველოსა და მოლდოვაში, ამ რეგიონში საკუთარი ძალაუფლების გასაზრდელად და ამ ტერიტორიებზე ნატოს გავლენის თავიდან ასარიდებლად. რუსეთი შეეწინააღმდეგა ნატოს პოლიტიკურ კურსს გავლენის გაზრდის თაობაზე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა შეიძლება იქნეს დაყოფილი ოთხ ფაზად, თითოეული მათგანი სპეციფიკური ნიშნებითა და თვისებებით ხასიათდება.

პირველი ფაზა მოიცავს პერიოდს 1991 წლიდან 1998 წლამდე. ეს ხასიათდებოდა მარეგულირებელი და სამართლებრივი ბაზის შექმნით ორმხრივი ურთიერთობებისთვის: სტრატეგიული დოკუმენტების ხელმოწერის პროცესი, რომელიც დააფორმალიზებდა მათ ურთიერთთანამშრომლობას. ეს იყო ის პერიოდი, როცა რუსეთ-ნატოს მუდმივი შენაერთის საბჭომ დაიწყო მუშაობა. ორივე მხარის ლიდერები გამოთქვამდნენ აუცილებელ პოლიტიკურ სურვილს, ქმნიდნენ რა გზას სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობისთვის. ნატომ და რუსეთმა ერთობლივი სამშვიდობო მისიები შეასრულეს ბოსნია - ჰერცეგოვინაში.

მეორე ფაზა მოიცავს მოკლე, ერთწლიან პერიოდს - 1999 წლიდან 2000-მდე. ეს პერიოდი ხასიათდებოდა მათი ურთიერთობის დაქვეითებით. ეს ვარდნა გამოწვეული იყო რუსეთის რეაქციით ნატოს გამართული ოპერაციის შემდეგ კოსოვოში, რომელიც, რუსეთის თქმით, ჩატარდა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მკაცრი მანდატის გარეშე და საერთაშორისო კანონის უგულვებელყოფით.

მესამე ფაზა მოიცავს პერიოდს 2001 წლიდან 2004 წლამდე, როდესაც რუსეთის პრეზიდენტი გახდა ვლადიმერ პუტინი. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ამ პერიოდში დაიწყო ახალი ეტაპი ურთიერთთანამშრომლობის საერთო საფრთხეების და გამოწვევების წინააღმდეგ. პუტინმა გადადგა ნატოსკენ რამდენიმე ნაბიჯი და დასავლეთი თავის მხრივ უჭერდა მხარს აშშ-ს ტერორიზმთან ბრძოლაში და შეუერთდა ანტიტერორისტულ კოალიციას. 2001 წელს ნატომ მოსკოვში დაიწყო ნატოს სამხედრო სამოკავშირეო მისია და გახსნა ნატოს საინფორმაციო ცენტრი. მომდევნო წელს შეიქმნა რუსეთ-ნატოს საბჭო, რომელიც კოორდინირებას უწევდა ურთიერთთანამშრომლობას და წევდა მას უფრო მაღალ დონეზე. ეს პროგრესი

მუდმივი შენაერთის საბჭოს „19+1“-დან რუსეთ-ნატოს საბჭოდ შეიცვალა „20“-მდე. მესამე ფაზა იყო ყველაზე პოზიტიური და წარმატებული პერიოდი მათ ურთიერთობაში.

მეოთხე ფაზა მოიცავდა პერიოდს 2005 წლიდან 2012 წლამდე. სტრუქტურულად ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი და რთული პერიოდი. ამ ფაზის განმავლობაში მათმა ურთიერთობებმა იწვნია ბევრი კომპრომისი და გამოწვევა, მაგრამ ყოველივე ეს ხდებოდა „პრაგმატული თანამშრომლობის და სტრატეგიული კონკურენციის“ პირობებში. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი იყო დიდი გამოწვევა მათი ურთიერთობებისთვის. ასევე, ე. წ. “ფერადი რევოლუციები“ ზოგ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. რუსეთი ამას მიიჩნევდა, როგორც აშშ-ს და დასავლეთ ევროპის აშკარა ჩარევას. ბალტიისპირეთის ქვეყნების მიღებამ ნატოში და ღია კარის პოლიტიკამ დიდი გაღიზიანება გამოიწვია მოსკოვში. ანტიბალისტიკურმა პროგრამამ და მისმა განხორციელებამ ასევე გამოიწვია რუსეთის მხრიდან კრიტიკა. ნატოს, აშშ-ს და ევროკავშირის პროგრამებს პოსტსაბჭოთა სივრცეში მიიჩნევდნენ როგორც ჩარევად რუსეთის საგარეო პოლიტიკის ყველაზე მგრძობიარე ნაწილში. რუსეთი მიიჩნევდა, რომ აშშ-ს მხარდაჭერა ტერორიზმთან ბრძოლაში და პოლიტიკური სიახლოვის მომცველი პოლიტიკური კურსის წინ წამოწევა შეუწარმუნებდა სტატუს ქვოს რუსეთს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ტერიტორიულ არეალში, მაგრამ რეალობა სულ სხვანაირი იყო. რუსეთ-საქართველოს ომი იყო მკაფიო გამოძახილი წინა წლების ძალდატანებისა. რუსეთსა და ნატოს შორის ურთიერთობის ისტორიაში ჩანს როგორც კონფრონტაცია, ისე საერთო სამხედრო, სამოქალაქო და პოლიტიკურ ოპერაციებში ჩართულობაც (Alexeev 2014:15-16).

ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვანია ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისათვის. მათ ურთიერთობაში ასახულია მთელი რიგი პრობლემები, როგორცაა, საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების მისია (ISAF), საერთო ტერორიზმი, ბირთვული იარაღი და კრიზისის მენეჯმენტი. თანამშრომლობის მიუხედავად, მათ შეხვდათ ბევრი გამოწვევა, როგორცაა ნატოს გაფართოება და მისი „ღია კარის“ პოლიტიკა, სარაკეტო თავდაცვა ევროპაში, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს პოტენციურ უთანხმოებამდე და შეიძლება მოახდინოს ნეგატიური გავლენა მათ ურთიერთთანამშრომლობის საქმეში.

გ. პრობლემები თანამშრომლობისა და კონფრონტაციის არეალში

ნატო და რუსეთი განიცდიან ერთნაირ საფრთხეებს ავღანეთის რადიკალური ისლამისტებისგან და იზიარებენ საერთო ინტერესებს რეგიონის სტაბილიზაციაში. ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი ნატოსა და რუსეთის თანამშრომლობას შორის არის ISAF მისია. ეს თანამშრომლობა დაიწყო 2008 წლის მარტში და იყო დაფუძნებული რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებზე, რათა დაეშვა ნატოდან არასამხედრო ტვირთის გადაზიდვის სახმელეთო ტრანზიტი რუსეთის გავლით, ასევე დაეცვა ნატოს წევრი სახელმწიფოების ინტერესები და ასევე, არაწევრი ქვეყნებისაც, როგორცაა ISAF-ის წევრი ქვეყნები. რუსეთმა 2012 წლის 25 ივნისს მიიღო დადგენილება, რომელმაც გაზარდა ISAF-ის სატრანზიტო გზები კომბინირებული ტრანსპორტირებისთვის, დაემატა სარკინიგზო, საგზაო და საჰაერო გზები. ტრანზიტი ხორციელდებოდა რუსეთის სატრანსპორტო კომპანიების მიერ „ვოსტოჩნის“ აეროპორტიდან, ქალაქ ულიანოვსკში. რუსეთმა მიიღო მოგება ტრანსპორტიდან, დაახლოებით 160 კონტეინერისა და 50-მდე სატრანსპორტო საშუალებებიდან ეს მოიცავდა 800 მლ. დოლარს, გარდა ამისა ქვეყანა ღებულობდა მოგებას MI-17 ტიპის ვერტმფრენების, სამხედრო აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალების ნატოსთვის მიყიდვიდან (Monaghan, 2011).

2013 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა გამოაცხადა მზადყოფნა ნატოსთან ინტერაქციისთვის. მან ფოკუსირება მოახდინა უსაფრთხოების ორ ძირითად ფაქტორზე ევრო-ატლანტიკურ რეგიონში: რუსეთის და ნატოს შესაძლებლობა მოახდინოს რისკების ნეიტრალიზება რეგიონის გარედან და მზადყოფნა ორივე მხრიდან ერთობლივი ძალებით გადაჭრან ის პრობლემა, რაც მათ მოსდევდათ წარსულიდან. რუსეთისა და ნატოს ურთიერთობა უნდა იყოს დაფუძნებული ნდობაზე, თანასწორობასა და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებაზე. ლავროვის თქმით, ნატომ არ უნდა მიითვისოს მისთვის ხელსაყრელი გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მიერ მინიჭებული ფუნქციები ან ეცადოს გაამართლოს ძალადობრივი პროექტები ნებისმიერ რეგიონში ნატოს ეგიდით. ლავროვმა დაასკვნა, რომ მათი ურთიერთთანამშრომლობის ბუნება დამოკიდებულია ნატოს ევოლუციაზე, მათი წევრების მზადყოფნაზე აღიარონ საერთაშორისო კანონის

უზენაესობა, სხვისი ინტერესების გათვალისწინება, თანაბარი და განუყოფელი უსაფრთხოების პრინციპების პატივისცემა (Lavrov, 2013).

ავღანეთში პრაქტიკული თანამშრომლობის გარდა, არსებობს ბევრი სადავო საკითხი, რომლებზეც რუსეთისა და ნატოს აზრები განსხვავდება, მათ შორისაა ომი საქართველოსთან და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება. მეორე პრობლემაა ნატოს გაფართოების პოლიტიკა საქართველოსა და უკრაინის შესაძლო წევრობასთან დაკავშირებით, ასევე უკრაინა-რუსეთის ომი. მესამე პრობლემა უკავშირდება სარაკეტო თავდაცვას ევროპაში. გარდა ამ სამი ძირითადი პრობლემისა, კიდევ არსებობს ბევრი პრობლემური საკითხი, მათ შორისაა სირიის კრიზისი, სადაც ორივე მხარის გეოპოლიტიკური ინტერესები განსხვავდებოდა შუა აღმოსავლეთში მათი სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად.

პირველი კრიტიკული პრობლემა იყო საქართველოსთან ომი და ალიანსის დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ ომმა გამოიწვია ურთიერთობების დამაზავა. მათი ურთიერთობები განახლდა 2010 წელს, როდესაც რუსეთი მიიწვიეს ნატოს სამიტზე ლისაბონში. ალიანსის წევრებმა განაცხადეს, რომ ალიანსი გამოხატავდა განსაკუთრებულ წუხილს რუსეთის არაპროპორციულ სამხედრო მოქმედებაზე, რომელიც არ შეესაბამებოდა რუსეთის სამშვიდობო როლს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტერიტორიაზე.

კიდევ ერთი უთანხმოების მიზეზი იყო ნატოს „ღია კარის“ პოლიტიკა და მისი ვალდებულება სამომავლო გაფართოებისთვის, განსაკუთრებით საქართველოსა და უკრაინის წევრობა. რუსეთის პოზიციას ემხრობოდა ალიანსის ბევრი ძლიერი წევრი, როგორცაა გერმანია და საფრანგეთი, რომლებიც საქართველოს გაწევრიანებას მიუღებლად მიიჩნევდნენ. ამის საწინააღმდეგოდ, ნატოს სხვა წევრები და უმთავრესად აშშ საქართველოს მიიჩნევდა წევრობის ღირსეულ კანდიდატად.

ნატოს პოლიტიკური კურსი უკრაინისა და საქართველოს წევრობასთან დაკავშირებით არის ცხადი, მათ აქვთ უფლება განავითარონ ახლო ურთიერთობა ნატოსთან მათი მისწრაფებისა და პროგრესის მიხედვით მანამ, სანამ ისინი გახდებიან უშუალო წევრები. ამავდროულად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი იძლეოდა იმის გარანტიას, რომ ეს ტერიტორიული დავა მალე ვერ გადაიჭრებოდა. 2009 წლის ნატოს სამიტზე ალიანსის ლიდერებმა განაცხადეს, რომ „ნატოს კარი ღიაა ნებისმიერი

დემოკრატიული ევროპული სახელმწიფოსთვის, რომელიც იზიარებს ალიანსის ღირებულებებს; ისინი ვისაც აქვს სურვილი და შესაძლებლობა აიღონ წევრობისთვის საჭირო ვალდებულებები და მოვალეობები და რომელთა გაწევრიანებამაც შეიძლება შეიტანოს წვლილი საერთო უსაფრთხოებასა და სტაბილურობაში. 2009 წელს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტის დროს, აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ „წევრობის მსურველი ქვეყნების უმრავლესობამ უნდა განაცხადოს თანხმობა გაწევრიანებასთან დაკავშირებით“. ეს მიიჩნეოდა, როგორც დამატებითი კრიტერიუმი და აშკარად მიმართული იყო უკრაინისკენ (Goldgeier, 2010:11-13).

ტრადიციულად, ნატოს გაფართოების საკითხი იწვევს რუსეთის უარყოფით რეაქციას. რუსეთი არის კონტინენტალური სახელმწიფო და ამ მიზეზით ყოველთვის უნდოდა დაეცვა საკუთარი თავი მეგობარი სახელმწიფოებით და მოკავშირეებით. დღესდღეობით ძალიან რთულია რუსეთის პოლიტიკური ტრადიციების უგულვებელყოფით ნატოს გაფართოება აღმოსავლეთისკენ. ნატოს გაფართოებას აქვს ძლიერი უარყოფითი ფსიქოლოგიური ეფექტი რუსეთის სტრატეგიულ აზროვნებაზე. ნატოს გაფართოება პოსტ-საბჭოური ქვეყნებით მოიცავს საერთაშორისო სტატუსის შემცირებას რუს პოლიტიკოსებსა და რუს ელიტარულ წრეებს შორის, მაგრამ ასევე რუს ხალხს შორისაც. ამ აზრის ემოციური მიზეზების გარდა, უმეტესი რუსული სამხედრო სტრატეგები და პოლიტიკური ექსპერტები განიხილავდა ნატოს გაფართოებას, როგორც „ევროპაში სტრატეგიული ძალების ბალანსის დარღვევად“ (Alexeev, 2014:17). რუსეთს ჰქონდა რამდენიმე შეკითხვა ნატოს გაზრდასთან დაკავშირებით აღმოსავლეთ ევროპაში, როგორცაა: როგორ გაამარტივებს ნატოს გაფართოება რუსეთის უსაფრთხოების პრობლემებს? ალიანსის გაფართოება პოსტ-საბჭოური ქვეყნებით გააძლიერებს თუ არა უსაფრთხოებას რეგიონში და რა ტიპის საფრთხეები აჩქარებს ნატოს წამოიწყოს გაფართოების ახალი ტალღა და ახალი წევრების მიღება?

მიუხედავად ამისა, ასეთი ტიპის დამოკიდებულება არ მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ ნატო მიიჩნეოდა საფრთხედ რუსეთისთვის. რუსეთი და მისი ოფიციალური წარმომადგენლები ძალიან ხშირად გამოხატავდნენ თავიანთ დამგობ აზრებს და უარყოფით რიტორიკას ნატოს პოლიტიკური კურსის განხილვისას, რომელიც ქმნის მუდმივი საფრთხის სურათს რუსეთის მხრიდან, მაგრამ პრაქტიკაში

რუსეთი მზად იყო ნატოსთან თანამშრომლობისთვის ისეთ საკითხებში, როგორცაა ტერორიზმთან ბრძოლა, ავღანეთი და ნარკოტიკებით ვაჭრობა.

უთანხმოება იყო გამოწვეული ასევე სარაკეტო თავდაცვით ევროპაში, რომელიც აღმოჩნდა კატალიზატორი ორმხრივ ურთიერთობაში. რუსეთის გეგმები სარაკეტო თავდაცვასთან დაკავშირებით ევროპაში იყო მონაწილეობა მიეღო გადაწყვეტილებების მიღებაში (Sherr, 2011).

ამ ტიპის კოლაბორაცია საჭიროებს ნდობას, რომელიც არ არსებობს. მათი კოლაბორაციის სამომავლო პროგრესი პრაქტიკაში დაეხმარება ორმხრივი თავდაჯერებულობის გაძლიერებაში და მათი ურთიერთობების გაუმჯობესებაში. მეორეს მხრივ, თუ რუსეთი უგულბელებფს შესაძლებლობას ითანამშრომლოს ალიანსთან საერთო სარაკეტო თავდაცვის საკითხებზე ევროპაში, ნატო და აშშ აუცილებლად შექმნიან ახალ სისტემას რუსეთის გარეშე (Trenin, 2011).

2008 წლის აგვისტოში რუსეთმა დაარღვია ეუთო-ს ჰელსინკის ფინალური აქტის დებულებები, რომელიც ეხებოდა აკრძალვას საზღვრების ძალადობრივად შეცვლის შესახებ, როდესაც ჩაერია სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტში (Goldgeier, 2010).

2016 წლის ივლისში ვარშავა მასპინძლობდა ნატოს სამიტს. ალიანსი შეთანხმდა, გაემლიერებინა ბალტიისპირეთის ქვეყნები და აღმოსავლეთ პოლონეთი რუსეთის მუქარების წინააღმდეგ. ეს მოხდა სამხედრო ძალების გადაყვანით აღმოსავლეთ პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებში 2017 წლის დასაწყისში, ვარშავის სამიტის კომუნიკეს მიხედვით. ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო კიდევ ერთხელ ეჩვენებინა „სოლიდარობა, გაბედულება და შესაძლებლობა მოქმედებისა“, „მოკავშირეთა დაუყოვნებლივი პასუხი ნებისმიერ აგრესიაზე“ გააქტიურებით და რუსეთთან ნებისმიერი თანამშრომლობის შეზღუდვით, იქნება ეს სამხედრო თუ სამოქალაქო, პოლიტიკური დიალოგისკენ გახსნილობის დემონსტრირებით. სამიტზე სახელმწიფოებისა და მთავრობების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ სირიის რეჟიმის მხარდაჭერა და სამხედრო ჩარევა გაზრდიდა საფრთხეს ნატოს მოკავშირეებისთვის. ამ მიზეზით, ნატოს ლიდერებმა გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ უკრაინისთვის და გაეხადათ მისი უსაფრთხოების და თავდაცვის ორგანოები უფრო ეფექტური. როგორც ვარაუდობდნენ, სამიტმა მოკლედ კონფრონტაცია გააღვივა,

რადგან დღის წესრიგში იყო პრობლემები, რომელთაც ტრადიციულად აკრიტიკებდა რუსეთი, როგორცაა პროგრესი სარაკეტო თავდაცვაში, გაფართოების პროცესი და სტრატეგიული რეორგანიზაციის დასრულება დაწყებული უელსის სამიტზე (Kleine M. & Major, 2015).

სამიტის შემდეგ მალევე ნატო-რუსეთის საბჭომ ჩაატარა შეხვედრა, სადაც რუსეთმა გამოხატა შემფოთება ნატოს სამხედრო აქტივობებზე შავი ზღვის რეგიონში. 2016 წლის ივლისში რუსეთმა განაცხადა, რომ ახალი საბრძოლო სისტემა განლაგდებოდა ყირიმში, რაც გააძლიერებდა რუსეთის შეღწევადობას ყირიმის ნახევარკუნძულზე.

ზოგიერთი რუსი ავტორი, როგორცაა ალექსეი ფენენკო, ფიოდორ ლუკიანოვი, დიმიტრი ვ. სუსლოვი, ანალიზს უკეთებდნენ რუსეთსა და ნატოს შორის უთანხმოებას აშშ-რუსეთის ურთიერთობის ჩრდილში.

ფენენკოს თანახმად (2016), მტრული განწყობა რუსეთსა და აშშ-ს შორის შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ავტორი განსაზღვრავს მათი ორმხრივი ურთიერთობის ორ ასპექტს. პირველი უკავშირდებოდა იმას, რომ მოსკოვმა შეინარჩუნა საბჭოური ბირთვული პოტენციალი. შესაბამისად, რუსეთი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შეეძლო ომის წამოწყება აშშ-სთან ორივე ქვეყნის თანაბარი სამხედრო ძალის გამო. მეორე, რუსეთი არის გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი და შეუძლია დაბლოკოს აშშ-ს ქმედებები ან გახადოს ისინი არალეგიტიმური. გამოცხადებული სტრატეგიული პარტნიორობისდა მიუხედავად, აშშ-ს მიზანი იყო დაენგრია რუსეთის სტრატეგიული შესაძლებლობები აშშ-სთვის მისაღებ დონემდე. რუსეთის ეკონომიკური გაძლიერება აღადგენდა მის სამხედრო ინდუსტრიასაც, რაც აშშ-ს ინტერესებში არ შედიოდა. ამკარა იყო, რომ ეკონომიკური ომი რუსეთის წინააღმდეგ წაადგებოდა აშშ-ს მხოლოდ ევროკავშირის დახმარების შემთხვევაში. რუსეთი წუხდა აშშ-ს ინიცირებულ რეფორმაზე საერთაშორისო კანონის შესახებ, რომელიც მოიცავდა ორ ძირითად პრინციპს: სუვერენული სახელმწიფოების ლიდერების ძალისმიერი ჩამოგდება, რომელთაც ბრალს დებდა საერთაშორისო ტრიბუნალი და მათი საშიში რეჟიმების ძალისმიერი განიარაღება, რაც ვაშინგტონის ხელშეწყობით შესაძლებელი იქნებოდა მასობრივი განადგურების იარაღის განადგურებით.

ლუკიანოვის აზრით (Lukyanov, 2014: 9-24), პუტინს, როგორც ჩანს, არ სურს არასტაბილურობა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ავღანეთი, რადგან ამას შეიძლება ჰქონდეს ზემოქმედების ეფექტი რუსეთზე. ალტერნატივისთვის, პუტინი შეეცდება დააკავშიროს ქვეყნები, რომელთაც აქვთ პრობლემები აშშ-სთან, რათა შექმნას კოალიცია, რომელსაც შეეძლება გავლენა მოახდინოს გლობალურ ინსტიტუტებზე, რაც შეასუსტებს დასავლეთის და ამერიკის დომინირებას. ლუკიანოვი ჩინეთს მიიჩნევს ამ სცენარში წამყვან ქვეყნად ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან ერთად, რომლებიც უკმაყოფილონი არიან გლობალიზაციის პროცესის გატარებით პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სფეროში. რუსეთს შეუძლია დააჩქაროს ეს პროცესი ახალი იდეოლოგიის განვითარებით, რაც იქნება დაფუძნებული ერებს შორის თანასწორობასა და სამართლიანობაზე.

სუსლოვი (2013) ასახელებს რუსეთსა და აშშ-ს შორის არასრული და უარყოფითი ურთიერთობის სამ ძირითად კომპონენტს. პირველი კომპონენტი ეხება ახალი დღის წესრიგის ნაკლებობას მათ ორმხრივ ურთიერთობებში, რომლებიც გამოიწვევს სხვა სიტუაციებს და გამოწვევებს საერთაშორისო გარემოს ცვლილებისას. მათ შორისაა ბირთვული იარაღის მრავალპოლარულობის მართვა, სტრატეგიული დიალოგი აზიის წყნარი ოკეანის არეალსა და ჩინეთს შორის, შორეული აღმოსავლეთის და ციმბირის, ავღანეთისა და ცენტრალური აზიის რეგიონების განვითარება. მეორე კომპონენტი მოიცავს სტრატეგიულ შეუკავებლობას. ბოლო კომპონენტს წარმოადგენს რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების უკანა ფონი, საერთაშორისო და რეგიონური უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკური კურსი, განსაკუთრებით კი იარაღის კონტროლის როლი. სუსლოვის თანახმად, არსებობს ორი სცენარი ამ ორ ქვეყანას შორის: სამომავლო ურთიერთობებში სელექციური ან პრაგმატული თანამშრომლობა და სრული გაუარესება, ან ახალი კრიზისი.

2013 წლის ბოლოს უკრაინაში კრიზისი დაიწყო კიევში მაიდანზე დემონსტრაციით. უკრაინაში შეჭრა გამოიწვევდა შიშს, რომ დაირღვეოდა ტერიტორიული ინტეგრაცია მეზობელ ნატოს წევრ ქვეყნებში, მაშინ როცა ნატო ვერ აკავებდა რუსეთის აგრესიას მეზობელ ქვეყნებსა და მის მახლობლად. რუსეთმა შეუქმნა დაბრკოლება აშშ-ს პოლიტიკას სირიაში, მაშინ როცა იარაღი მიაწოდა ასადის რეჟიმს. ურთიერთობები რუსეთსა და აშშ-ს შორის გადაიქცა კრიზისად, რაც ძირს

უთხრიდა მათ სამომავლო თანამშრომლობას და ქმნიდა საშიშროებას ტრანსატლანტიკური ორგანიზაციის დესტაბილიზაციისთვის. 2009 წელს, როდესაც ბარაკ ობამა პირველად შევიდა კაბინეტში, მან შესთავაზა „გადაეწყოს“ პოლიტიკური კურსი რუსეთთან, რაც საშუალებას მისცემდა ამ ორ ქვეყანას ეთანამშრომლათ მრავალ პრობლემასთან დაკავშირებით, ვაჭრობიდან დაწყებული, შეიარაღების შემცირებითა და ტერორიზმთან ბრძოლით დამთავრებული. დიმიტრი მედვედევის პრეზიდენტობის პერიოდში, რუსეთმა შეცვალა თავისი მიმართულება აშშ-სთან, ძალების ჭიდილიდან გადავიდა პრაგმატულ თანამშრომლობაზე. 2012 წელს WTO-ში რუსეთის მიღება და რუსეთისვე დახმარებით ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესება იყო ერთგვარი სიგნალი დაეწყოს ურთიერთობები პრაგმატული თანამშრომლობისთვის, თუმცა ეს გამოწვევებით სავსე იქნებოდა (Smith and Twardowski, 2017).

2014 წლის თებერვლის ბოლოს, როდესაც პრორუსმა ძალებმა აიღეს ყირიმზე კონტროლი, ეს გადაიზარდა საერთაშორისო კრიზისში. პირველი განმარტება რუსეთის მხრიდან იყო ის, რომ ეს იყო ადგილობრივი ძალები, რომლებიც ახორციელებდნენ თავდაცვას, მაგრამ მოგვიანებით განაცხადეს, რომ ეს იყო რუსული სამხედრო ერთეულები, რომლებიც მოქმედებდნენ სამხედრო რანგის ოფიციალური ნიშნის გარეშე. ნატომ გააკრიტიკა სამხედრო ინტენსიურობა ნახევარკუნძულზე, გამოხატავდნენ რა „ღრმა შეშფოთებას“ რუსეთის პარლამენტის 1 მარტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც აძლევდა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს უფლებას გამოეყენებინა რუსული სამხედრო ძალები უკრაინის ტერიტორიაზე. სევასტოპოლის მთავრობამ 10 მარტს გამოაცხადა დამოუკიდებლობა და 10 დღეში ყირიმი გახდა რუსეთის ნაწილი. აშშ-მ უპასუხა რუსეთის გაძევებით G8-დან, გამოსცა ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები და სამხედრო ღონისძიებები აღმოსავლეთ მოკავშირეების გასაძლიერებლად.

2014 წლის მარტში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურმა გამოთქვა შეშფოთება ნატოს საბჭოს მიერ გაცემულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელშიც რუსეთს ედებოდა ბრალი სამხედრო ესკალაციაში ყირიმის ტერიტორიაზე და ასევე საერთაშორისო კანონის დარღვევაშიც. თავის განცხადებაში რუსეთის

საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს საფრთხე შეექმნა შიდა პოლიტიკური კრიზისის გამო.

ნატოს თავდაპირველი პასუხი აგრესიაზე იყო რიტორიკული. ალიანსი აჩქარებდა რუსეთს შეესრულებინა თავისი ვალდებულებები და მოვალეობები საერთაშორისო კანონის თანახმად, დამორჩილებოდა ამ კანონს და გადაედგა ნაბიჯი კიევთან დიალოგისკენ, რათა ჩაეხშო არსებული კრიზისი. ალიანსმაც გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. აპრილში ნატომ გადაავადა ყველა სამხედრო და სამოქალაქო სახის ურთიერთობა რუსეთთან. ივლისში ევროკავშირმა გააუქმა იარაღის შესყიდვები რუსეთთან, ნატომ გააძლიერა თავისი ვალდებულებები დაეცვა თავისი მოკავშირე სახელმწიფოები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ეს მოხდა საჰაერო თავდაცვის, დაზვერვის, საზღვაო და სამხედრო საშუალებებით. ამ ინიციატივების მიუხედავად, ალიანსი იძულებული გახდა ეჩვენებინა თავისი მზადყოფნა და შესაძლებლობა დაეცვა თავისი ინტერესები და მოკავშირეები აღმოსავლეთ ევროპაში. უკრაინის კრიზისმა გაამძაფრა წუხილი რუსეთის სტრატეგიულ და გეოპოლიტიკურ ამბიციებზე აღმოსავლეთ ევროპაში. ზოგი რუსი, ევროპელი და ამერიკელი ანალიტიკოსი კამათობდა იმ საკითხზე, რომ დასავლეთის უგულვებელყოფა რუსეთის უსაფრთხოების საჭიროებებისთვის აიძულებს რუსეთს, უპასუხოს სამხედრო გზით, დაადანაშაულოს ნატო და ევროკავშირი რუსეთისთვის მისი უსაფრთხოების სივრცის წართმევაში აღმოსავლეთ ევროპაში (Smith and Twardowski, 2017).

უკრაინის კრიზისი „თამაშს ცვლიდა“ ალიანსისთვის, რადგან ამ მომენტამდე ნატო ფოკუსირებას ახდენდა ისეთ პრიორიტეტულ საკითხებზე, როგორცაა ტერორიზმთან ბრძოლა და წარუმატებელი სახელმწიფოები. უკრაინის კრიზისი მოითხოვდა საფრთხეებისა და სამხედრო შესაძლებლობების ხელახლა შეფასებას და საომარი მოქმედებების არა კონვენციური ფორმების სტრატეგიულ განვითარებას. პირველად ცივი ომის შემდეგ, ნატოს დაეკისრა ვალდებულება, ფოკუსირება მოეხდინა აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვაზე. რუსეთსა და ნატოს შორის ურთიერთობის კონტექსტი შეიცვალა, რუსეთი სტრატეგიული პარტნიორიდან გადაიქცა მტრულად განწყობილ აგრესორად. ნატო ცდილობდა განევითარებინა ახალი სტრატეგიები, რათა ეპასუხა რუსეთის მიერ საბრძოლო მოქმედების არა

კონვენციურ გამოყენებაზე. რუსეთმა დაასკვნა, რომ პოლიტიკური ნების არარსებობა ნატოში იყო მიზეზი იმისა, თუ რატომ არ უპასუხა ნატომ რუსეთის აგრესიას.

2014 წელს ანდრეს ფონ რასმუსენმა ჩატამის სასახლეში უელსის სამიტის დროს სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ „უკრაინაში რუსეთის აგრესია იყო რუსეთის მცდელობა გადაეწერა საერთაშორისო წესები და ხელახლა შეექმნა გავლენის სფერო“. მან ხაზი გაუსვა სამ ძირითად პრობლემას საყოველთაო საფრთხეებში: ავღანეთში მისიის დასრულება, კოლექტიური თავდაცვის კონცეფციის გაძლიერება და ხანგრძლივი გლობალური ვალდებულება. მეორე მთავარი საკითხი უელსის სამიტზე იყო, თუ როგორ გაეზარდათ ნატოს კოლექტიური თავდაცვა. რასმუსენი ფოკუსირებას ახდენდა მრავალგანზომილებიანი ალიანსის შექმნის აუცილებლობაზე. ალიანსმა უნდა აჩვენოს მზადყოფნა, რათა გასცეს სწრაფად პასუხი დღევანდელ არაპროგნოზირებად გარემოში, ამიტომაც ნატომ განავითარა ალიანსის მზადყოფნის მოქმედების გეგმა, რომელიც შეიცავს საუკეთესო ტექნიკებს, რომ გადასხას ნატოს ძალები შესაკავებლად და დასაცავად. მესამე დიდი პრობლემა ეხებოდა ალიანსის გლობალურ ვალდებულებას ეფექტური, დროული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ნატომ განავითარა თავდაცვის ახალი ინიციატივა, რომელიც ფოკუსირებას მოახდენს სამხედრო წვრთნის სფეროზე, თავდაცვის რეფორმაზე და დაგეგმარებაზე.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთს-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ნატო-რუსეთის ურთიერთობები გადავიდა დაპირისპირების რეჟიმში. ნატო აქტიურად უჭერს მხარს უკრაინის სუვერენიტეტს და დიდ დახმარებას უწევს როგორც ფინანსურს, ასევე სამხედრო ტექნიკის მიწოდებით, რუსეთის ფედერაცია კი უკრაინაში შეჭრას აფასებს, როგორც სამხედრო ოპერაციას და მოითხოვს უკრაინამ გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი და უარი თქვას ნატოში გაწევრიანებაზე, რადგანაც ნატო საფრთხეს უქმნის რუსეთს. სამწუხაროდ, ბოლო დროის მოვლენებმა და მძიმე საომარმა მოქმედებებმა უკრაინაში შეიწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე. ნატო აქტიურ რეჟიმში აგრძელებს მის მხარდაჭერას, მაგრამ ჯერჯერობით ამ დაპირისპირებას ბოლო არ უჩანს და ყველანაირი ურთიერთობები ნატოსა და რუსეთს შორის ჩიხშია შესული.

3.2 ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) და საქართველოს ურთიერთობები

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და საქართველოს შორის ურთიერთობები დაიწყო 1991 წლიდან, როდესაც ნატოს ფარგლებში შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (NACC-ნაქსი). საქართველოსთვის, რომელმაც იმ პერიოდში აღიდგინა სახელმწიფო სუვერენიტეტი, ნატოს ამ საქმიანობაში ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სამომავლოდ ეროვნული დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. ნაქსის წევრობით საქართველოს საშუალება ეძლეოდა გაზიარებოდა ალიანსის ფარგლებში სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების გამოცდილებას, შემდეგ კი ეს გამოცდილება დაენერგა თავისი ქვეყნის განვითარებისათვის. ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრობა საქართველოსთვის იყო დიდი მიღწევა, რათა სამომავლოდ ამ წევრობას უდიდესი როლი უნდა შეესრულებინა საქართველოს დასავლურ ღირებულებებთან დაახლოებაში და ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში სამომავლო ინტეგრაციაში.

თავდაპირველად საქართველოში დამატებული პოლიტიკური ვითარების გამო 1992 წლის დასაწყისში ნატოს ხელმძღვანელობამ თავი შეიკავა ჩვენი ქვეყნის ნაქსში გაწევრიანებაზე, თუმცა 1992 წლის 5 ივნისს საქართველო გაწევრიანდა ამ ორგანიზაციაში. ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს ნატო-საქართველოს ურთიერთობის თანამშრომლობის დასაწყისად. 1993 წლიდან დაიწყო ნატოს წარმომადგენელთა ვიზიტები საქართველოში, რომლის მიზანი იყო რეგიონში არსებული ვითარების გაცნობა. ალიანსის პირველი დელეგაცია თბილისში იმყოფებოდა 1993 წლის 12 ივნისიდან 18 ივნისამდე, 1993 წლის 23 ივნისს კი ნატოს შტაბ-ბინას ეწვია საქართველოს სახელმწიფო მეთაური ე. შევარდნაძე (ჩიტაძე, 2008:245).

1994 წლის 10-11 იანვარს, ნატოს ბრიუსელის სამიტზე მიღებულ იქნა ნატოს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ამ პროგრამის ფარგლებში ალიანსის მიერ დაიწყო ინდივიდუალური თანამშრომლობის პროგრამის მიღება აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან. 1994 წლის 23

მარტს საქართველო შეუერთდა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამას. 1997 წლის 1 მაისს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე ქვეყნებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირება (ჩიტაძე, 2008:248).

ნატო-საქართველოს შორის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1997 წლის 11-12 თებერვალს ალიანსის გენერალური მდივნის ჰ. სოლანას ვიზიტი საქართველოში. ამ ვიზიტის დროს დაიგეგმა საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძისა და ჰ. სოლანას შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა საქართველოსა და ნატოს შორის თანამშრომლობის ასპექტები, რეგიონში არსებული ვითარება, საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია და მისი გადაჭრის გზები.

ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე საუბრისას არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მადრიდის სამიტი, 1997 წლის 8-9 ივლისი. ამ სამიტზე მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამაც, 1998 წლის 22 აპრილს კი ნატოში საქართველოს დიპლომატიური მისია გაიხსნა და საქართველოს ელჩმა ნატოში ალიანსის გენერალურ მდივანს რწმუნებათა სიგელი გადასცა. 1999 წლის მარტში საქართველო შეუერთდა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის დაგეგმვისა და ანალიზის პროცესს. 2002 წლის 21-22 ნოემბერს ქ. პრადში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველომ გააკეთა ოფიციალური განცხადება ნატოში გაწევრიანებისაკენ სწრაფვის შესახებ, 2003 წლის 27 მაისს კი საქართველოს პრეზიდენტის 235-ე ბრძანების შესაბამისად ნატოში ინტეგრაციის პროცესში სახელმწიფო სტრუქტურების შეთანხმებულ მოქმედებათა და ძალისხმევის კოორდინაციის გაძლიერების მიზნით ჩამოყალიბებულ იქნა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ეროვნული საკოორდინაციო საბჭო (ჩიტაძე, 2008:250).

საქართველოსა და ნატოს ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავიდა ვარდების რევოლუციის შემდეგ, კერძოდ 2004 წლის 7 აპრილს ქ. ბრიუსელში გამართულ 26+1 შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა ნატოს გენერალურ მდივანს გადასცა „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“ საპრეზენტაციო დოკუმენტი, 2004 წლის 28-29 ივნისის სტამბულის სამიტზე კი საქართველო ოფიციალურად შეუერთდა „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ინიციატივას“. ამის

შემდეგ კი ჩვენი ქვეყანა 2004 წლის 29 ოქტომბერს გადავიდა ევროატლანტიკური ინტეგრაციის მეორე ეტაპზე, კერძოდ, დაიწყო „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხორციელება“ (ჩიტაძე 2008:250).

ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ფარგლებში და ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე საქართველოში განხორციელდა არაერთი რეფორმა, კერძოდ, დაიწყო ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, გაძლიერდა საქართველოს შეიარაღებული ძალები, გატარდა ძირეული რეფორმები ძალოვან სტრუქტურებში, გაიზარდა თავდაცვის ბიუჯეტი, გაუმჯობესდა სამხედრო მოსამსახურეთა ეკონომიკური მდგომარეობა, აშენდა ახალი სამხედრო ბაზები, მათ შორის სენაკისა და გორის სამხედრო ბაზები, შეძენილ იქნა თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობა. ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტებზე გადასვლას. 2006 წლიდან საქართველოში გაიხსნა „ნატოს საინფორმაციო ცენტრი“. ამ ცენტრის მიზანი იყო ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება მოსახლეობის მეტი ინფორმირებისათვის. მართალია, საქართველომ მოკლე პერიოდში ბევრი რეფორმა გაატარა ნატოში ინტეგრაციის გზაზე, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩასატარებელი, პირველ რიგში კი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და ეკონომიკური წინსვლა. „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“ მიღებამ და ჩვენს ქვეყანაში გატარებულმა რიგმა რეფორმებმა საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობები უფრო ინტენსიური გახადა.

2005 წლის 7-11 მარტს საქართველოს ეწვია სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შუალედური სამუშაო ჯგუფი, რომლის შეფასებაც იყო დადებითი. 2006 წლის 6-9 მარტს საქართველოს ხელმეორედ ეწვია შეფასების ჯგუფი. ჯგუფის დასკვნის საფუძველზე 2006 წლის 13 აპრილს ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა „აიპაპის“ (Individual Partnership Action Plan) შეფასების განხილვა. 2006 წლის 26-30 მაისს პარიზში გამართულ შეხვედრაზე ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიღებულ იქნა სპეციალური დეკლარაცია, სადაც ასამბლეამ მოუწოდა ალიანსის წევრებს დაწყებულიყო საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის პროცესი (ჩიტაძე, 2008:252).

2006 წლის 21 სექტემბერს ნიუ-იორკში გამართულ ნატოს წევრი სახელმწიფოების არაფორმალურ შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატოში გაწევრიანების საკითხებზე

საქართველოსთან დაწყებულიყო ინტენსიური დიალოგი. ეს დიალოგი წარმოადგენს ალიანსსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მექანიზმს, რომლის მიზანია მომზადდეს საფუძველი, რათა საქართველო მაქსიმალურად მალე გადავიდეს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე. ინტენსიურ დიალოგზე გადასვლით ალიანსმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართ, რაც ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. ნატოს რიგაში გამართულ სამიტზე საქართველო იყო ერთადერთი ალიანსის არაწევრი წარმომადგენელი, რომელიც სამიტს სპეციალური სტუმრის სტატუსით დაესწრო. რიგის სამიტზე საქართველოს, აშშ-სა და ლატვიის დელეგაციების მონაწილეობით გაიმართა შეხვედრა მრგვალ მაგიდასთან, სადაც ხაზი გაესვა საქართველოში წარმატებით მიმდინარე რეფორმების პროცესსა და ინტენსიური დიალოგის ეტაპს და რომ არსებობს იმის საფუძველი, საქართველო უახლოეს მომავალში გადასულიყო გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე (MAP). მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ნატოს სამიტზე აშშ-ს პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის სიტყვით გამოსვლა, რომელმაც დაადასტურა თავისი კეთილგანწყობა საქართველოს მიმართ. რიგის სამიტზე საქართველოსთან მიმართებაში თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ლატვიის პრეზიდენტმა ვაირა ვიკე ფრაიბერგამ, საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა, ნატოს გენერალურმა მდივანმა იაკ დე ჰოოპ სხეფერმა, რომელიც შეეხო საქართველოში არსებულ კონფლიქტებს. სხეფერის თქმით, „პირველი, რასაც საქართველო ნატოსგან უნდა ელოდოს, ტერიტორიული მთლიანობისადმი ალიანსის სრული პატივისცემაა“ (ჩიტაძე, 2008:254).

2006 წლის რიგის სამიტზე ნატოს მიერ მიღებულ იქნა დეკლარაცია. ამ დეკლარაციის 39-ე პუნქტი მთლიანად საქართველოს მიეძღვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ალიანსი მიესალმება ინტენსიური დიალოგის დაწყებას, საქართველოს მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს, მოუწოდებს საქართველოს განაგრძოს წინსვლა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო რეფორმების კუთხით და ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების კუთხით (ჩიტაძე, 255).

ნატო-საქართველოს ურთიერთობების განხილვისას არ უნდა გამოგვრჩეს 2008 წლის 2-3 აპრილს ჩატარებული ნატოს ბუქარესტის სამიტი. ამ სამიტზე საქართველოს დიდი მოლოდინი ჰქონდა რომ გადავიდოდა ნატოსთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე, კერძოდ, მიიღებდა MAP-ს, თუმცა იმ დროისათვის ვერც საქართველომ და ვერც უკრაინამ მაკ-ი ვერ მიიღო, მაგრამ მიიღეს მტკიცე პირობა იმისა, რომ მომავალში ნატოს რიგებს საქართველოც შეუერთდებოდა. ნატო ბუქარესტის სამიტის შემდეგ, სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოში მოხდა ომი, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც „ხუთდღიანი ომი“. ამ ომის შესახებ ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.³

ნატო-საქართველოს ურთიერთობების ქრონოლოგიას თუ მივყვებით, უნდა აღვნიშნოთ ასევე 2008 წლის 2-3 დეკემბერს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების გადაწყვეტილებით, IPAP (ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა) ჩანაცვლდა ANP-ით (ყოველწლიური ეროვნული პროგრამა). ეს პროგრამა წარმოადგენს საქართველოსა და ალიანსს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმს და ხელს უწყობს ნატო-საქართველოს ურთიერთობების ამაღლებას.

2010 წლის აგვისტოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიქმნა სამხედრო თანამშრომლობის ახალი ფორმატი და შემუშავდა ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სამუშაო გეგმა. ამ გეგმით განისაზღვრება სამხედრო თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები **(სეფერთელაძე, 2018:18)**.

ნატო-საქართველოს ურთიერთობების განხილვისას აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ნატოს პროგრამებზე, რომლებიც საქართველოში განხორციელდა. ამ პროგრამებს შორისაა ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამა (PDP). ეს პროგრამა დაიწყო 2009 წელს და მიზნად ისახავს თავდაცვის სამინისტროსა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლების პროფესიული უნარების განვითარებას სხვადასხვა კურსებისა და სწავლებების საშუალებით. 2016 წელს დაარსდა თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა, 2012 წელს კი ნატოს ჩიკაგოს სამიტზე საფუძველი ჩაეყარა გონივრული თავდაცვის ინიციატივას. 2006 წლის 14 აგვისტოს

³ <https://old.infocenter.gov.ge/nato-georgia-history/>

დაარსდა საჩხერის სამთო მომზადების სკოლა, ხოლო 2010 წელს ამ სკოლას მიენიჭა ნატოს წვრთნებისა და განათლების ცენტრის სტატუსი (სეფერთელაძე, 2018: 20-23).

საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობებზე საუბრისას მნიშვნელოვანია საქართველოს ჩართულობა ალიანსის მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში. ეს თანამშრომლობა იწყება ჯერ კიდევ 1993 წლიდან. პირველი კონტაქტების დამყარება იწყება „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ამოქმედების შემდეგ. 1999-2008 წლებში კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში (KFOR) საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფიც იყო ჩართული. პირველი ქართული ოცეული ქ. მამუშაში თურქული ბატალიონის შემადგენლობაში ირიცხებოდა. 2003 წლიდან ქართული სამშვიდობო კონტინგენტი კოსოვოში გაიზარდა. ქ. პრიზრენში გერმანული ბრიგადის შემადგენლობაში ჩავიდა 150-კაციანი ქართული ასეული, მათი როტაცია ხდებოდა ყოველ შვიდ თვეში ერთხელ. კოსოვოში ქართული კონტინგენტი 2008 წლამდე იმყოფებოდა (2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს მთავრობამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა).

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს წვლილი ავღანეთის აწ უკვე დასრულებულ საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების ოპერაციაში (ISAF). საქართველო ამ მისიაში 2004 წლიდან 2014 წლამდე მონაწილეობდა. ავღანეთში საერთაშორისო მისიაში მონაწილეობის მისაღებად პირველი ქართული კონტინგენტი 2004 წელს გაიგზავნა. ამ მისიაში საქართველომ დიდი წვლილის შეტანით დაადასტურა, რომ არ არის მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელი ქვეყანა და აქტიურად შეუძლია ჩაერთოს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში. რა თქმა უნდა, ავღანეთში გამგზავრებამდე ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები სამშვიდობო მისიისთვის გადიოდნენ 6 თვიან მომზადებას საქართველოში. სწავლებას ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარების საექსპედიციო ბრიგადა ხელმძღვანელობდა. ავღანეთში გამგზავრებამდე ჯარისკაცების მომზადების დონეს ცენტრის ექსპერტები და ამერიკელი საზღვაო ქვეითების ინსტრუქტორთა და მრჩეველთა ჯგუფი ამოწმებდა. საერთო ჯამში 2010-2013 წლებში ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში 2 ქვეითი ბატალიონი იმყოფებოდა, ქაბულში ერთი ასეული ფრანგი სარდლობისა და ერთი ასეული ამერიკელების დაქვემდებარების ქვეშ. 2011

წელს ქართველი არტილერიისტების ინსტრუქტორთა ჯგუფი წვრთნიდა ავღანელ არტილერიისტებს.⁴

2015 წლიდან საქართველო ჩაერთო ნატოს ავღანეთის გადამწყვეტ მხარდაჭერის ოპერაციაში, სადაც ის აშშ-ს შემდეგ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობით რიგით მეორე კონტრიბუტორი იყო. ასევე, 2015 წლიდან საქართველო ჩართული იყო ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF-NATO- Response Force).

ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობით საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნის ძალები იძენს მნიშვნელოვან საბრძოლო გამოცდილებას ქვეყნის სამომავლო თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში. სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობით საქართველომ დაამტკიცა, რომ გლობალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია. საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობას საერთაშორისო მისიებში საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა, სამწუხაროდ, ამ სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას იყო მსხვერპლიც, რომელიც რა თქმა უნდა არის ძალიან მძიმე და დიდი - ავღანეთის მისიაში 2015 წლის დეკემბრის მონაცემებით 31 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა ავღანეთში, ხოლო ერაყში - 5.⁵

აღსანიშნავია, რომ KFOR-სა და ISAF-ის მისიების გარდა, ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები მონაწილეობას ღებულობდა ერაყის სამხედრო ოპერაციაშიც (2004-2008წწ), თუმცა ეს ოპერაცია ნატოს ეგიდით არ მიმდინარეობდა და ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა აშშ. 2004 წლიდან დღემდე სხვადასხვა დონეზე ჩატარებულ 107 როტაციის ფარგლებში (ISAF, KFOR, RSM), საერთაშორისო მისიებში მონაწილე 20 ათასზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა და უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების საკითხში.

დღესდღეობით რეგიონში არსებული მწვავე მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოსთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება. ამ ვითარებიდან გამომდინარე საქართველოსთვის

⁴ <https://old.infocenter.gov.ge/nato-peacekeeping-missions/>

⁵ <https://old.infocenter.gov.ge/nato-peacekeeping-missions/>

მაღზე მნიშვნელოვანია ალიანსთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერება ყველა შესაძლო ფორმატში. შავი ზღვის რეგიონში ნატოს შემდგომი გაფართოება არის, პირველ რიგში, ჩვენი სახელმწიფოსათვის ყველაზე ადექვატური პასუხი რეგიონში არსებული საფრთხეების შესაკავებლად. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელია გაწევრიანების პროცესის დადებითი დინამიკის შენარჩუნება და 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების მიმართულებით უფრო ზუსტი ნაბიჯების გადადგმა. თავის მხრივ, როდესაც საქართველო-ნატოს ურთიერთობებზე ვსაუბრობთ, გვიჩნდება კითხვა, თავად ალიანსს რა ინტერესები შეიძლება გააჩნდეს საქართველოს მიმართ? პირველ რიგში ალიანსის ინტერესი გამოწვეულია გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო. ნატოს თავისი ინტერესები გააჩნია შავი ზღვის რეგიონში და ასევე სამხრეთ კავკასიაშიც, თუმცა სამხრეთ კავკასიაში სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, მხოლოდ საქართველო მიისწრაფვის ნატოში ინტეგრაციისაკენ. ალიანსის დაინტერესება სამხრეთ კავკასიის მიმართ გამოწვეულია ასევე ენერგეტიკული პროექტებით, კერძოდ პროექტებით, რომლებიც დაკავშირებულია ამ რესურსების დასავლეთის მიმართულებით საქართველოს გავლით სტრანსპორტირებასთან. ნატოს ინტერესებს კავკასიის რეგიონში ასევე გააჩნია თავისი სამხედრო სტრატეგიული ინტერესები, რომელშიც ითვალისწინებს სამხედრო, გეოგრაფიულ და პოლიტიკურ ფაქტორებს. ალიანსის სამხედრო დაგეგმარების პრინციპი ეფუძნება „სამხედრო რეაგირების“ სტრატეგიას, რაც გულისხმობს სამხედრო ღონისძიებათა ჩატარების საჭიროების შემთხვევაში სწრაფ რეაგირებას და ამ მიმართულებით სამხრეთ კავკასია ალიანსის დიდ ყურადღებას იმსახურებს (სეფერთელაძე, 2018:58).

დღესდღეობით, მსოფლიოში უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ტერორიზმი და მასთან ბრძოლა. ტერორიზმის პრობლემა უკავშირდება შუა აღმოსავლეთს. შესაბამისად, საქართველო იმყოფება ამ რეგიონის სიახლოვეს და ალიანსი სტრატეგიული პრიორიტეტის ინტერესის სფეროდ აღიქვამს სამხრეთ კავკასიის რეგიონს, უფრო ზოგადად კი შავი ზღვის რეგიონს, ნატო კი ამ რეგიონთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას მიესალმება. ბოლო პერიოდში ნატოს წევრი სახელმწიფო თურქეთი გამოირჩევა აგრესიული ტონით დასავლეთის მიმართ,

დაპირისპირება კი სულ უფრო იზრდება, ამიტომაც, იმ ფაქტიდან გამომდინარე, თუ ნატო დაკარგავს თურქეთს, როგორც პარტნიორ სახელმწიფოს ახლო აღმოსავლეთსა და შავი ზღვის რეგიონში, მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს, როგორც სტრატეგიული პარტნიორის არსებობა ამ რეგიონში.

ასევე ისმება კითხვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ნატოში ინტეგრაცია? პირველ რიგში, უნდა აღნიშნოს გეოსტრატეგიული საკითხი და საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, ოკუპირებული ტერიტორიები და მცოცავი ოკუპაცია. საქართველოსთვის ნატოს სრულუფლებიანი წევრობა უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს პირველ რიგში რუსეთისგან მომავალი აგრესიის შესაკავებლად, და თავდაცვის სფეროს ამალღების ხელშეწყობაში დახმარება. ასევე, როგორც ვიცით, რეგიონში ბოლო დროს გაძლიერებულია ისლამისტური ჯგუფები, რომლებიც დიდ საფრთხეს უქმნიან მთლიან რეგიონს. შესაბამისად, ნატოს წევრობა საქართველოს დაეხმარება რადიკალური ისლამის აგრესიის მოგერიებაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნატოს წევრ სახელმწიფოებში დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, ნატოში ინტეგრაცია კი ხელს შეუწყობს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვას. ასევე, ნატოში გაწევრიანება არის ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის მნიშვნელოვანი და ის შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის გარანტად.

ნატოსკენ ინტეგრაციის გზაზე არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ ეკონომიკური ფაქტორი. იმისათვის რომ დაკმაყოფილებულ იქნეს ნატოს სტანდარტები, საქართველო საჭიროებს სწრაფ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ნატოს წევრი სახელმწიფოებისთვის მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ „მარშალის გეგმით“ ამ სახელმწიფოების აღსადგენად და ეკონომიკურად გასაძლიერებლად აშშ-მ გამოყო 17 მილიარდი დოლარის დახმარება. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული კი ალიანსი ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა პირველ რიგში მისივე უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე არ მოხდეს მათი წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური დაქვეითება.

ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს, სამწუხაროდ, ბევრი პრობლემის გადალახვა მოუწევს. პირველ რიგში, ეს არის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა. სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იან წლებში გარედან

ინსპირირებულმა სეპარატისტულმა მოძრაობებმა ქვეყანაში გამოიწვია კონფლიქტი, რასაც, როგორც ცნობილია, მოჰყვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოდან დე ფაქტო გამოყოფა და ამ ტერიტორიებზე საქართველოს ხელისუფლების კონტროლის დაკარგვა. სამწუხაროდ, დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა საფრთხეს უქმნის საქართველოს ნატოში ინტეგრაციას. საგანგაშო ფაქტს წარმოადგენს ასევე რუსეთის მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული პასპორტების დარიგება, რაც სამომავლოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ. სამწუხაროდ, ყველას გვახსოვს 2008 წლის აგვისტოს 5 დღიანი ომი, თუმცა იქამდე 2008 წლის დასაწყისში, როდესაც აქტიურად მიმდინარეობდა საუბარი საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების შესახებ ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები დაიძაბა. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ თუ საქართველო და უკრაინა გახდებოდნენ ნატოს წევრები, რუსეთს მოუწევს მიიღოს სამხედრო ზომები და დაიცვას რუსეთის ინტერესები და საზღვრები, ამასთანავე რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მთავრობებს, რომლებმაც რუსეთს დახმარებისათვის მიმართეს, რადგან შეშფოთებულნი იყვნენ ნატოს განცხადებებით. 2008 წლის აგვისტოში დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის, რომელშიც ჩართულნი იყვნენ ოსი და აფხაზი სეპარატისტებიც. ომი დაიწყო მას შემდეგ, რაც საქართველოს ჯარებსა და ოს სეპარატისტებს შორის მოხდა დაპირისპირება. ეს მეტად მძიმე და აქტუალური თემაა საქართველოსთვის და უნდა მივყვეთ მოვლენების განვითარებას ქრონოლოგიურად:

2008 წლის მარტი-აპრილის პერიოდში ქართულ-რუსული ურთიერთობები დაიძაბა. ამ პერიოდში უკვე აქტიურად განიხილებოდა საქართველოსთვის მაკ-ის მიცემის საკითხი და ნატოში ინტეგრაცია, რუსეთის ხელისუფლებამ კი დაიწყო საუბარი დე ფაქტო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა 2008 წლის ივლისში, კერძოდ, ცხინვალის რეგიონში. სამხრეთ ოსეთში მოხდა რამდენიმე ინციდენტი. კონფლიქტის ზონაში განხორციელდა არაერთი შეიარაღებული თავდასხმა, რის შედეგადაც დაიღუპა და დაშავდა რამდენიმე ადამიანი. დამაბულობის კულმინაცია კი 2008 წლის

ავვისტოს შეარაღებული კონფლიქტი გახდა. 2008 წლის 7-8 ივლისს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო წარმომადგენლებმა დააკავეს ოთხი ქართველი სამხედრო პირი, რომლებიც 8 ივლისს გაათავისუფლეს. იმავე დღეს საქართველოს საჰაერო სივრცე ოთხმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია. 2008 წლის 24-28 ივლისს ცხინვალის სამხრეთ შემოგარენში და საქართველოს მიერ კონტროლირებად სოფელ ავნევეში მოხდა აფეთქებები, ასევე რუსულმა მხარემ ჩაატარა ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები რუსეთ-საქართველოს საზღვართან. ამასთან, საქართველოშიც დაიწყო სამხედრო წვრთნები პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით.⁶

ძალადობის შემთხვევებმა იმატა აფხაზეთშიც, კერძოდ, 9 ივლისს ქვემო კოდორში, ქართველი და აფხაზი შეიარაღებული ძალების შეტაკების შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა ორივე მხრიდან. დამაბულობამ იმატა მას შემდეგ, რაც ქართულმა მხარემ აფხაზური მხარე ნაღმების სროლაში დაადანაშაულა ქართველების კონტროლირებად ზემო კოდორის ხეობაში. 1 ივლისიდან აფხაზეთის ხელისუფლებამ ჩაკეტა ენგურის ხიდი, რაც ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები ადგილობრივი ქართველებისათვის მთავარ დამაკავშირებელს წარმოადგენდა.

1 აგვისტოს ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე სატვირთო ავტომობილთან დისტანციურად მართვადი 2 ნაღმი აფეთქდა და მძიმედ დაიჭრა ხუთი ქართველი პოლიციელი. იმავე დღეს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რეჟიმის შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლი გახსნეს ქართული სოფლების მიმართულებით, რის შედეგადაც 6 სამოქალაქო პირი და ერთი პოლიციელი დაიჭრა. 2 აგვისტოს საპასუხო ცეცხლი გახსნა საქართველომაც, თუმცა მალევე შეწყვიტა.

2 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რეჟიმმა დაიწყო მოსახლეობის ევაკუაცია, რაც 6 აგვისტომდე გაგრძელდა, 3 აგვისტოს კი ოფიციალურმა მოსკოვმა დაიწყო ცრუ ინფორმაციის გავრცელება, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონში სამხედრო ჯარები შეიყვანა, პარალელურად კი ღამით როკის გვირაბით საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა რუსეთის 58-ე არმიის მე-19 მოტომსროლელთა დივიზიის სადაზვერვო ბატალიონი. 4 აგვისტოს ღამით რუსეთიდან საქართველოში შემოვიდა 10 ერთეული ჯავშანტექნიკა და გაუნაწილდა

⁶ <http://www.gcicc.ge/ka/page/8/2008-tslis-agvistos-omis-istoria>

დე ფაქტო რეჟიმის შეიარაღებულ დაჯგუფებებს. 5 აგვისტოს განახლდა ქართული სოფლების დაბომბვა. ამავე დღეს როკის გვირაბი რუსეთის არმიის თვითმავალი არტილერიის 40-მა ერთეულმა და ბოტლიხის 33-ე მოტომსროლელთა ბრიგადის სადაზვერვო ბატალიონმა დაიკავა. პარალელურად რუსეთის ტერიტორიაზე როკის გვირაბთან მობილიზებული იყო 58-ე არმიის ნაწილები, 6 აგვისტოს გაგრძელდა ქართული სოფლების დაბომბვა. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა უარი თქვა 7 აგვისტოს დაგეგმილ შერეულ სამშვიდობო მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე (ჯაფარიძე, 2021).

2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში რუსი სამხედროებით ზურგგამაგრებულ ოს სეპარატისტებსა და ქართულ ჯარს შორის საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. ამ ომში რუსეთი ღიად 8 აგვისტოს ჩაერთო. რუსებისა და ოსების გაერთიანებული სამხედრო შენაერთები ქართველებს ცხინვალში სამი დღე ებრძოდნენ. რუსულმა გემებმა საქართველოს შავიზღვისპირეთი დაბლოკეს. 9 აგვისტოს რუსულმა და აფხაზურმა ძალებმა მეორე ფრონტი გახსნეს და კოდორის ხეობას თავს დაესხნენ და დასავლეთ საქართველოს შიდა ტერიტორიებზე შეიჭრნენ. 5 დღის შემდეგ ქართულმა ჯარებმა ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონი დატოვეს. ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით კონფლიქტის მხარეებმა 12 აგვისტოს მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელსაც საქართველომ თბილისში 15 აგვისტოს მოაწერა ხელი, ხოლო რუსეთმა 16 აგვისტოს. 12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა გასცა ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება, თუმცა საქართველოს დასახლებული პუნქტების დაბომბვები არ შეწყვეტილა. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთმა ჯარების უმეტესი ნაწილი სამეგრელოსა და შიდა ქართლის რეგიონიდან გაიყვანა, 26 აგვისტოს კი რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა. რუსეთის ამ გადაწყვეტილებაზე უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა საერთაშორისო საზოგადოებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიდი სიფრთხილე გამოიჩინეს ევროკავშირის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგების დადებამდე. რუსეთმა, შეიძლება ითქვას, მოახდინა დიდი ზეწოლა საერთაშორისო საზოგადოებაზე, კერძოდ, ეუთოს მისიამ დატოვა საქართველო და ის ზონები, რომლებიც ომის შედეგად დაზარალდნენ, და დარჩნენ საერთაშორისო მეთვალყურეობის გარეშე. ამ ომის

ყველაზე დიდი დანაკარგი, რა თქმა უნდა, იყო ადამიანების სიცოცხლე. ასევე, კოდორიდან და ოსეთიდან იძულებით გადაადგილდა 50 ათასზე მეტი ადამიანი, ქვეყანას მიაღდა ძალიან დიდი ეკონომიკური ზიანი, საქართველოს გაუფუჭდა იმიჯი საერთაშორისო არენაზე, რამაც თავისთავად დიდი გავლენა იქონია ინვესტიციებზე. ამასთან, შენელდა ნატოში გაწევრიანების პროცესი.

2008 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროების ინფორმაციით, აგვისტოს ომის დროს დაღუპულია შეიარაღებული ძალების 168 სამხედრო მოსამსახურე, პოლიციის 16 თანამშრომელი და 188 მშვიდობიანი მოქალაქე.⁷

ფაქტიურად, რუსეთმა მოახერხა მიზნის განხორციელება. რუსეთის ჯარები განლაგებულია ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ძალიან ახლოს საქართველოს ტერიტორიასთან, მიმდინარეობს მცოცავი ოკუპაცია მავთულხლართებით. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ განხორციელებული საომარი მოქმედებები, შეიძლება ითქვას, იყო ერთგვარი გზავნილი და მუქარა საერთაშორისო საზოგადოებისათვის, რომ ის არ შეეგუება ნატოს შემდგომ გაფართოებას მის საზღვრებთან, რაც კიდევ უფრო მწვავედ აისახა 2014 წლის უკრაინის მოვლენების შემდეგ. 2014 წლის მოვლენების შემდეგ, განსხვავებით 2008 წლის მოვლენებისგან, საერთაშორისო საზოგადოება უფრო ხისტი აღმოჩნდა და რუსეთი მოაქციეს ერთგვარ იზოლაციაში. ვითარება, რა თქმა უნდა, რეგიონში კიდევ უფრო მწვავეა 2022 წლის 24 თებერვლიდან, მას შემდგომ, რაც უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს მძიმე საბრძოლო მოქმედებები, ნატოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები კი ღიად უჭერენ მხარს უკრაინის სუვერენიტეტს და უწევენ დიდ სამხედრო და ფინანსურ დახმარებას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რუსეთი კი წარმოჩინდა, როგორც აგრესიული სახელმწიფო. 2008 წლის ომის შემდგომ საქართველოს ტერიტორიების რუსეთის მიერ დე იურედ აღიარებამ, შეიძლება ითქვას, გამოიწვია რეგიონში ბევრი პრობლემები, რაც თავისთავად ხელს უშლის საქართველოს ნატოში ინტეგრაციას, თუმცა საქართველო-ნატოს აქტიური ურთიერთობები მაინც გრძელდება. 2009 წლის 18 ნოემბერს ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა, რომელზეც განხილულ

⁷ <https://ghn.ge/news/230819-2008-tslis-agvistos-omi-kronika>

იქნა საქართველოს მიერ წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შესრულება და ნატო-საქართველოს ურთიერთობების სამომავლო გეგმები. საქართველო-ნატოს შეხვედრები სხვადასხვა მიმდინარე საკითხებზე იყო აქტუალური მომდევნო წლებშიც. აღსანიშნავია 2010 წლის 19-20 ნოემბერს ქ. ლისაბონში გამართული ნატოს სამიტი, სადაც დამტკიცებული იქნა ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფცია და მიღებულ დეკლარაციაში მოკავშირეებმა დაადასტურეს ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. 2014 წლის 11-12 თებერვალს, საქართველოს პირველად ეწვია ნატოს სამხედრო კომიტეტი, რომელსაც ალიანსის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი კნუდ ბარტელსი ხელმძღვანელობდა. 2014 წლის 4-5 სექტემბერს ნატოს უელსის სამიტზე, მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოსთან „არსებითი პაკეტის“ შემუშავების შესახებ, რომლის მთავარი მიზანია ნატოსთან თავსებადობის ამაღლება, თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება და გაწევრიანებისათვის საქართველოს მომზადება. 2015 წლის 2 დეკემბერს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიღებულ იქნა განცხადება „ღია კარის“ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამ დოკუმენტში პირველად დადასტურდა, რომ საქართველოს გააჩნია ყველა პრაქტიკული მექანიზმი ნატოში გაწევრიანებისათვის. მომდევნო წლებში საქართველო-ნატოს ურთიერთობები სულ უფრო აქტიურ ფაზაში გადავიდა. 2019 წლის 3-4 ოქტომბერს საქართველოში, ქ. ბათუმში, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე როუზ გოტმიოლერის ხელმძღვანელობით, რიგით მეხუთე ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტი შედგა. ვიზიტის ფარგლებში გამართულ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება, რომლის თანახმადაც მოკავშირეებმა მაღალი შეფასება მისცეს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს. მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განახლებისა და გაუმჯობესების შესახებ.⁸

საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ ოჯახში, პირველ რიგში, დაკავშირებულია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან, კერძოდ, რამდენად არის ჩვენი ქვეყანა მზად ეკონომიკურად, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით,

⁸ <https://mfa.gov.ge/nato/119142-mnishvnelovani-movlenebis-qronologia>

არასამთავრობო სექტორის მუშაობა, სახელმწიფო მართვის ორგანოები, სასამართლო რეფორმა, სამხედრო რეფორმა და სხვა რიგი საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციაზე. ბოლო პერიოდში რეგიონში მიმდინარე მოვლენებმა, რუსეთ-უკრაინის ომმა, ერთის მხრივ, შეაფერხა ნატო-საქართველოს ურთიერთობების ინტენსიურობა, ვინაიდან ახლა ნატოს წევრების მთელი ყურადღება გადატანილია უკრაინის მოვლენებზე, თუმცა, სამხრეთ კავკასიაში საქართველო რჩება ნატოს დიდ პარტნიორ სახელმწიფოდ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ნატო-საქართველოს ურთიერთობები აქტიურ ფაზაში გადავიდა, რაც კიდევ უფრო მეტად გამოჩნდა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ. აქამდე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ისტორიულად არ ჰყოლია ისეთი მოკავშირე და პარტნიორი, რომელიც ხელს შეუწყობდა ეროვნულ თვითმყოფადობას და პატივს სცემდა ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს. შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ყველაზე კარგ მდგომარეობაში სახელმწიფო არის მაშინ, როდესაც არის ნეიტრალური, თუმცა, საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რთულია შეინარჩუნო ნეიტრალური პოზიცია, რადგანაც ეს არ არის ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარანტი. საქართველოს მოსახლეობამ უკვე განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის საგარეო მიმართულება და აირჩია ნატოში ინტეგრაცია, ნატოსთან დაახლოება კი პირველ რიგში ნიშნავს სტაბილურობის გაზრდას, ასევე ეკონომიკურ აღმავლობას, გაიზრდება ქვეყნის განვითარების პერსპექტივები, ეს არის პირველ რიგში ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების მაქსიმალურად მაღალი გარანტიები.

დასკვნა

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნე იყო ძალიან დატვირთული სხვა ეპოქებთან შედარებით. სწორედ XX საუკუნეში მოხდა პირველი და მეორე მსოფლიო ომები, რომლებმაც დიდი დადი დაასვა მთელ მსოფლიოს. მეორე მსოფლიო ომმა მთლიანად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური სურათი და სრულიად ახალი საერთაშორისო სისტემის ტიპი ჩამოაყალიბა. მსოფლიო დადგა ახალი რეალობის წინაშე. მანამდე არსებულმა წამყვანმა სახელმწიფოებმა დათმეს ლიდერის პოზიციები (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, იაპონია), დარჩა ორი ძლიერი სახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი. შესაბამისად, ამ ორი ძლიერი სახელმწიფოს დაპირისპირებამ გამოიწვია ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბება, რომელიც ცივი ომის სახელით შევიდა ისტორიაში.

„ცივი ომის“ პერიოდში მსოფლიოში პოლიტიკური სისტემა ბევრი ცვლილებით ხასიათდებოდა. ორი სახელმწიფოს ურთიერთობები უკიდურესი დამაბულობიდან გადადიოდა შედარებით თბილ ურთიერთობებში და პირიქით, ორივე სახელმწიფო მოქმედებდა იმ გეოპოლიტიკური მიზნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, რაც მათ ეროვნულ ინტერესებში შედიოდა.

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირი სარგებლობდა დიდი უპირატესობით. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები გათავისუფლებულ იქნა გერმანელებისაგან, თუმცა აქ ფეხი მოიკიდა კომუნიზმმა. ასევე ჩინეთში, ვიეტნამსა და ჩრდილოეთ კორეაში გაიმარჯვა კომუნიზმმა. ამრიგად, მსოფლიოს მეოთხედი აღმოჩნდა საბჭოთა ჰეგემონობის ქვეშ. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ უკვე ნათელი იყო საბჭოთა კავშირის ამბიციები. აღმოსავლეთ ევროპის ის სახელმწიფოები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მიერ იქნა ფაშიზმისგან განთავისუფლებული, აღმოჩნდა კომუნისტური რეჟიმის პირისპირ. შეიძლება ითქვას, ევროპა გაიყო ორ ნაწილად, რაზეც ჩერჩილის სიტყვებიც მოწმობს, როდესაც ის საუბრობდა ბალტიიდან ადრიატიკამდე რკინის ფარდის ჩამოშვების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცნენ თურქეთი და საბერძნეთი, სადაც საბჭოთა კავშირს დიდი ინტერესები გააჩნდა. ამ პირობებში საჭირო იყო ძალა, რომელიც გახდებოდა საბჭოთა კავშირის დამბალანსებელი. მეორე მსოფლიო ომის

შედეგები მძიმე იყო ევროპისათვის. აშშ-მ შეიმუშავა ტრუმენის დოქტრინა, რომელიც ითვალისწინებდა თავისუფალი ხალხების დახმარებას. ასევე, მარშალის გეგმით აშშ-მ ევროპის სახელმწიფოებს გაუწია ეკონომიკური დახმარება. მარშალის გეგმის განხორციელებით, ფაქტობრივად გამოირიცხა კომუნიზმის გამარჯვება ამ რეგიონში და უკვე 1949 წელს აშშ-ს თაოსნობით შეიქმნა ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია-ნატო (NATO). ეს ორგანიზაცია გახდა ფაქტიურად საბჭოთა-კომუნისტური ძალის საპირწონე. თავდაპირველად აშშ-ს მიდგომა იყო „შეჩერების პოლიტიკა“, ანუ არ დაეშვა კომუნიზმის გავლენის ზრდა მსოფლიოში, თუმცა კონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებისა და კოსმოსური ხომალდების შექმნამ, სამხედრო ავიაციის პროგრესმა, ატომური იარაღის რაოდენობის სწრაფმა ზრდამ აშშ-ს „შეჩერების პოლიტიკა“ დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ. შედეგად, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან აშშ ცვლის თავის ტაქტიკას და გადადის „დაშინების პოლიტიკაზე“, კერძოდ, აშშ-მ საბჭოთა კავშირის მსგავსად დაიწყო ბირთვული შეიარაღების ზრდა, სამხედრო ინფრასტრუქტურის სრულყოფილებით სურდა დაეშინებინა საბჭოთა კავშირი, საბოლოოდ კი ეს ყველაფერი გადაიზარდა გამალებულ შეჯიბრში სსრკ-სა და აშშ-ს შორის.

შეიძლება ითქვას, აშშ-ს ეს პოლიტიკა უფრო ეფექტური აღმოჩნდა. გარდა შეიარაღების ზრდისა, აშშ და დასავლეთ ევროპის ქვეყნები ეკონომიკური აღმავლობის გზას ადგნენ, ხოლო საბჭოთა კავშირში პირიქით, დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, რაზეც დიდი გავლენა იქონია ნავთობზე ფასის ვარდნამ, ასევე გორბაჩოვის მიერ შემუშავებულმა რეფორმების კრახმა განაპირობა კომუნისტური რეჟიმების დამხობა ჯერ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის დაშლა და 15 დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. „ცივი ომი“ დასრულდა, დაირღვა ბიპოლარული სისტემა და აშშ აღმოჩნდა მსოფლიოში ლიდერის პოზიციაზე.

„ცივი ომის“ დასრულების შემდგომ მკვლევრებს შორის აქტიურად მიმდინარეობდა მსჯელობა იმის შესახებ, შეწყვეტდა თუ გააგრძელებდა ნატო არსებობას. სამხედრო ალიანსები ზოგადად იქმნებიან ომის პერიოდში და როდესაც საფრთხე აღარ არსებობს, იშლებიან. ნატოს დაშლის შესახებ საუბარი აქტიური გახდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და დასრულდა „ცივი ომი“. რეალისტები წინასწარმეტყველებდნენ, რომ ნატო დაიშლებოდა საბჭოთა კავშირის დაშლასთან

ერთად ან მოხდებოდა მისი რეკონსტრუქცია ევროპაში ძალთა ახალი გადანაწილების საფუძველზე.

კერძოდ, რეალისტები მიიჩნევენ, რომ NATO-მ, როგორც ორგანიზაციამ ამოწურა თავისი მისია, „ცივ ომში“ შემლო საბჭოთა კავშირის დამარცხება, შესაბამისად ნატო დაიწყებდა დაშლას. კენეტ უოლცი თავის ნაშრომში „ძალთა ბალანსი და ნატოს გაფართოება“ მიიჩნევდა, რომ ნატო ცივი ომის დასრულების შემდეგ, როგორც ორგანიზაცია, დარჩა უფუნქციოდ, რადგანაც მას აღარ ჰყავს მოწინააღმდეგე ვის წინააღმდეგაც იბრძოლებს, თუმცა დღევანდელი რეალობით თუ ვიმსჯელებთ, ნატოს ჯერ ისევ უწევს ბევრი გამოწვევის წინაშე არსებობა, კერძოდ, ტერორიზმის მზარდი საფრთხე, სხვადასხვა რეგიონალური თუ გლობალური პრობლემები, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოშობილი ეთნიკური პრობლემები და ა.შ. რეალისტების წინასწარმეტყველება არ გამართლდა და ნატო არათუ დაიშალა, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დინამიური სამხედრო ორგანიზაცია გახდა.

ნატო სწორედ ისეთი ალიანსია, რომელიც სარგებლობს ორგანიზაციული ინტერესებით. ტრანსატლანტიკური ურთიერთობა სტრუქტურირებულია საერთო იდეოლოგიური ღირებულებებით. ნატოს წევრები ერთმანეთს განიხილავენ, როგორც არსებითად კარგ სახელმწიფოებს, რომლებსაც არ აქვთ განზრახული საფრთხე შეუქმნან ერთმანეთს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ აშშ დომინანტურ როლს თამაშობს ნატოში, მისი წამყვანი სტილი განსხვავდება საბჭოთა კავშირისგან: აშშ არასოდეს მოქმედებს დაძალებით, რათა აიძულოს სხვა წევრი ქვეყნები კომპრომისზე წავიდნენ. რეალისტური თეორიისგან განსხვავებით, ინსტიტუციური თეორიის მიხედვით ნატოს მდგრადობის გამოკვლევად ჰანს მორგენტაუმ წამოაყენა კონცეფცია სახელწოდებით „იდეოლოგიური სოლიდარობა“, რომელიც ხაზს უსვამდა იდეოლოგიის მნიშვნელობას ალიანსის ფორმირებაში.

სახელმწიფოები, რომლებიც იზიარებდნენ მსგავს პოლიტიკურ, კულტურულ ან სხვა მახასიათებლებს, უფრო მეტადაა შანსი რომ მოკავშირეები იყვნენ. რეალისტებისაგან განსხვავებით, ინსტიტუციონალისტების ცენტრალური არგუმენტია ის, რომ ჩამოყალიბების შემდეგ ინსტიტუტებს ახასიათებთ სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, რადგან უფრო ადვილია ინსტიტუტების

მოდინიცირება, ვიდრე ახლის შექმნა. შესაბამისად, როდესაც ინსტიტუტების წინაშე დგება ახალი პრობლემები ვიდრე ისინი, რომელთა დასაძლევადაც ისინი თავიდან შეიქმნენ, სახელმწიფოები ილტვიან ამ ინსტიტუტების არა დაშლის, არამედ მათი მოდიფიკაციისაკენ, რათა მათ ახალ გამოწვევებს უპასუხონ.

„ცივი ომის“ დასრულება, საბჭოთა კავშირის დაშლა და ბიპოლარული სისტემის მსხვრევა არ ნიშნავდა ევროპის კონტინენტზე სტაბილური წესრიგის დამყარებას. კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თავი იჩინა ეკონომიკურმა პრობლემებმა, სასაზღვრო დავებმა, კონფლიქტებმა მეზობელ სახელმწიფოებს შორის და ა.შ. შესაბამისად, NATO-ს როგორც ალიანსის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ევროპაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა, რამაც უპირველეს ყოვლისა ასახვა ჰპოვა ნატოს პოლიტიკაში. დაიწყო ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფციის შემუშავება, რომელზეც მუშაობა დასრულდა 1991 წელს, მოგვიანებით კი შემუშავებულ იქნა ალიანსის სტრატეგიული კონცეფციის ადაპტირებული ვერსია და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა 1999 წელს გამართულ ვაშინგტონის სამიტზე.

ნატოს ტრანსფორმაციის შემდეგ ყველაზე დიდი გამოწვევა იყო ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტის მოგვარება, მათ შორის ყველაზე მასშტაბური სამხედრო ოპერაცია ნატოს მიერ განხორციელდა კოსოვოში. კოსოვოს კონფლიქტი იყო მძიმე გამოცდა ნატოსთვის ცივი ომის დასრულების შემდგომ. სერბებსა და ალბანელებს შორის დაწყებულ კონფლიქტს მოჰყვა დიდი მსხვერპლი, ნატოს წევრი სახელმწიფოები კი თავდაპირველად მოლაპარაკებების გზით ცდილობდნენ კონფლიქტის მოგვარებას. დიდ როლს თამაშობდა აშშ და ბილ კლინტონის ადმინისტრაცია, თუმცა მხარეებს შორის კონფრონტაცია არ განელეებულა. ნატომ მიიღო გადაწყვეტილება კოსოვოს კონფლიქტში ჩარეულიყო და საჰაერო ძალებით განეხორციელებინა დარტყმები სერბეთზე, რათა მილოშევიჩი ეიძულებინა გაეყვანა სერბი პოლიციელები და ჯარი კოსოვოდან. ნატოს საჰაერო თავდასხმა გაგრძელდა 78 დღეს და ეს ფაქტი ისტორიაში შევიდა, როგორც „78 დღიანი ომი“. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ნატოს ოპერაციას კოსოვოში არ ჰქონდა გაეროს რეზოლუცია და ზოგიერთი მკვლევარი ამ ფაქტს მიიჩნევს უცხო ქვეყნის სამინაო საქმეებში უხეშ ჩარევად და სუვერენიტეტის დარღვევად. კოსოვოში

ნატოს სამხედრო ოპერაციის დროს დაშვებულ იქნა არაერთი შეცდომა, კერძოდ, შეცდომით დაიბომბა ჩინეთის საელჩო, ასევე დასახლებულ პუნქტებს მოხვდა რაკეტები, რასაც ემსხვერპლა მშვიდობიანი მოსახლეობა. ხიდების დაბომბვის ბრძანების შემდეგ, პრიშტინასთან ხიდზე მყოფი სამოქალაქო ავტობუსი შემთხვევით განადგურდა. გარდა ამისა, ნისის მახლობლად ბაზარი და საავადმყოფო შემთხვევით იქნა სამიზნე, როდესაც ნატო ცდილობდა აეროდრომზე კლასტერული ბომბით დაერტყა. ნატოს დაბომბვამ გამოიწვია უამრავი ადამიანის დაღუპვის ტრაგედია. იურიდიული და მორალური საკითხებისთვის, "ის იბრძოდა ერთი ჯგუფის (კოსოვოს ალბანელების) მხარდასაჭერად სამოქალაქო ომში სუვერენულ სახელმწიფოში (სერბეთი/იუგოსლავია), რომელიც იურიდიულად ხელშეუხებელი სუბიექტია საერთაშორისო სამართლის მიხედვით" და "ეს განხორციელდა გაეროს თანხმობის გარეშე". თუმცა, ნატოს ქმედებებს კოსოვოში წინ უძღოდა არაერთი დანაშაულებრივი ქმედებები კოსოვოელი ალბანელების წინააღმდეგ, რის შეჩერებასაც ნატოს წევრები არაერთხელ შეეცადნენ მშვიდობიანი გზით.

ნატოს ტრანსფორმაციის შემდეგ დიდი გამოწვევა იყო ასევე 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი. ეს იყო მთელი მსოფლიოსათვის უმძიმესი ტრაგედია. მსოფლიო დადგა ისეთი საფრთხის წინაშე, როგორცაა ტერორიზმი. ნატოს არსებობის ისტორიაში პირველად ამოქმედდა ხელშეკრულების მეხუთე მუხლი, რომელიც კოლექტიურ თავდაცვას ითვალისწინებს. სულ მალე იქნა დადგენილი ამ ტერორისტული აქტის ჩამდენთა ვინაობა, კერძოდ, ორგანიზატორი იყო ოსამა ბინ ლადენი, ავღანეთი კი წარმოადგენდა ტერორისტების თავშესაფარს, შესაბამისად, დაიწყო ავღანეთის წინააღმდეგ პირველი სამხედრო მოქმედებები - ოპერაცია მდგრადი თავისუფლება (OEF). ამ სამხედრო ოპერაციის შედეგად განადგურებულ იქნა თალიბანის დიდი ნაწილი, ავღანეთის ხელისუფლებაში კი მოვიდა ჰამიდ კარზაი. სამხედრო გამარჯვება კიდევ უფრო გაძლიერდა გაეროს მიერ მხარდაჭერილი ბონის სამშვიდობო შეთანხმებით, რომლის მიხედვითაც გაეროს მანდატით საერთაშორისო უსაფრთხოების ძალები - ოფიციალური სახელწოდებით საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალები (ISAF) - შეიქმნებოდა, რათა დახმარებოდა ავღანეთის გარდამავალ ხელისუფლებას - ავღანეთის შუალედურ

მთავრობას ქაბულში და მის გარშემო უსაფრთხოების შენარჩუნებაში. ISAF-ის მისიის ფარგლებში მიმდინარეობდა ადგილობრივი ავღანელი ჯარისკაცების წვრთნა, ასევე ჰუმანიტარული დახმარებები და ქვეყნის რეკონსტრუქცია, თუმცა ავღანეთში დაუსრულებელი შიდა კორუფციის ფონზე. ასევე, 2001 წლიდან მიმდინარე სამხედრო ოპერაცია ავღანეთში ამერიკის შეერთებული შტატებისა და მოკავშირე სახელმწიფოების არმიებს საკმაოდ ძვირი დაუჯდათ როგორც ფინანსური, ასევე ცოცხალი სამხედრო ძალისა და ტექნიკის თვალსაზრისით. საბოლოოდ, კოალიციის ძალებმა 2021 წელს ავღანეთი სრულიად დატოვეს, რის შემდეგაც ადგილობრივ ხელისუფლებაში კვლავ თალიბანი მოვიდა. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება ჩაითვალოს ნატოს მარცხად ავღანეთში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამხედრო ოპერაციების შედეგად ავღანეთიდან მომავალი ტერორიზმის საფრთხე განელდა.

ცივი ომის დასრულების შემდგომ დაინგრა ბიპოლარული სისტემა, ნატომ როგორც ორგანიზაციამ განიცადა ტრანსფორმაცია, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციასთან ნატოს ურთიერთობები რა თქმა უნდა შეიცვალა. ეს შეიძლება დაიყოს 4 ეტაპად.

პირველი ეტაპი - 1991-1998 წლამდე ურთიერთობები ხასიათდებოდა მარეგულირებელი და სამართლებრივი ბაზის შექმნით ორმხრივი ურთიერთობებისთვის: სტრატეგიული დოკუმენტების ხელმოწერის პროცესი, რომელიც დააფორმალიზებდა მათ ურთიერთთანამშრომლობას.

მეორე ეტაპი - 1999-2000 წლები. ეს პერიოდი ხასიათდებოდა მათი ურთიერთობის დაქვეითებით, რუსეთი ეწინააღმდეგებოდა ნატოს ოპერაციას კოსოვოში.

მესამე ეტაპი - 2001-2004 წლები. რუსეთის პრეზიდენტი გახდა ვლადიმერ პუტინი და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ამ პერიოდში დაიწყო ახალი ეტაპი ურთიერთთანამშრომლობის, საერთო საფრთხეების და გამოწვევების დაძლევის. პუტინმა გადადგა ნატოსკენ რამდენიმე ნაბიჯი და დასავლეთი თავის მხრივ უჭერდა მხარს აშშ-ს ტერორიზმთან ბრძოლაში და შეუერთდა ანტიტერორისტულ კოალიციას.

მეოთხე ეტაპი - 2005-2012 წლები. ამ ფაზის განმავლობაში მათმა

ურთიერთობებმა იწვინა ბევრი კომპრომისი და გამოწვევა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი იყო დიდი გამოწვევა მათი ურთიერთობებისთვის. ასევე ურთიერთობების გამწვავების ერთ-ერთი მიზეზია ე.წ. “ფერადი რევოლუციები” ზოგ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, რასაც რუსეთი მიიჩნევდა როგორც აშშ-ს და დასავლეთ ევროპის აშკარა ჩარევას. ბალტიისპირეთის ქვეყნების მიღებამ ნატოში და ღია გაფართოების პოლიტიკამ დიდი გაღიზიანება გამოიწვია მოსკოვში. ანტიბალისტიკურმა პროგრამამ და მისმა განხორციელებამ ასევე გამოიწვია რუსეთის მხრიდან კრიტიკა. ნატოს, აშშ-ს და ევროკავშირის პროგრამებს პოსტსაბჭოთა სივრცეში მიიჩნევდნენ, როგორც ჩარევად რუსეთის საგარეო პოლიტიკის ყველაზე მგრძობიარე ნაწილში.

2012 წლის შემდეგ ნატო-რუსეთის ურთიერთობები მძიმე კრიზისს განიცდის, განსაკუთრებით კი ჩიხშია შესული 2014 წლის უკრაინის მოვლენების შემდეგ. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ ნატო-რუსეთის ურთიერთობები გადავიდა დაპირისპირების რეჟიმში. ნატო აქტიურად უჭერს მხარს უკრაინის სუვერენიტეტს და დიდ დახმარებას უწევს, როგორც ფინანსურს ასევე სამხედრო ტექნიკის მიწოდებით, რუსეთის ფედერაცია კი უკრაინაში შეჭრას აფასებს, როგორც სამხედრო ოპერაციას და მოითხოვს უკრაინამ გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი და უარი თქვას ნატოში გაწევრიანებაზე, რადგანაც ნატო საფრთხეს უქმნის რუსეთს. სამწუხაროდ, ბოლო დროის მოვლენებმა და მძიმე საომარმა მოქმედებებმა უკრაინაში შეიწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე. ნატო აქტიურ რეჟიმში აგრძელებს მის მხარდაჭერას, მაგრამ ჯერჯერობით ამ დაპირისპირებას ბოლო არ უჩანს და ყველანაირი ურთიერთობები ნატოსა და რუსეთს შორის ჩიხშია შესული.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ აიღო დასავლური კურსი. ნატო-საქართველოს ურთიერთობები დასაბამს იღებს 1991 წლიდან, როდესაც ნატოს ფარგლებში შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (NACC-ნაქსი). ვარდების რევოლუციის შემდეგ კი ნატოში გაწევრიანებისთვის ჩვენმა ქვეყანამ არაერთი ნაბიჯი გადადგა და სულ უფრო დაუახლოვდა ნატოს სტანდარტებს. ასევე საქართველოს შეიარაღებული ჯარები მონაწილეობდა ნატოს სამხედრო ოპერაციებში. 2007 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე საქართველო

იმედოვნებდა, რომ მიიღებდა მაპ-ს, სამწუხაროდ მაშინ მაპ-ი ვერ მივიღეთ, თუმცა მივიღეთ დაპირება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი სახელმწიფო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სტრატეგიულად მნიშვნელოვანია და ევროატლანტიკური ოჯახისადმი ურყევია მისი ერთგულება, საქართველო კვლავ ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელების მოლოდინშია. მით უფრო, რომ საქართველო-ნატო-ს თანამშრომლობა მოიცავს წევრობისთვის საჭირო ყველა ინსტრუმენტს, რაც არაერთგზის გაჟღერდა ალიანსის მაღალი დონის წარმომადგენლების მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე ზურაბ. „ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისკენ“, თბილისი. 2000;
2. აბაშიძე ზურაბ. „ცივი ომი“, თბილისი. 2009;
3. აკობია ეკა. „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, თბილისი; 2006.
4. ბედომვილი ლია, „აშშ-სა და სსრკ-ს ურთიერთობები 1986-1987 წლებში (რეკვიავიკისა და ვაშინგტონის სამიტები)“, თბილისი; 2019. (სამაგისტრო ნაშრომი)
5. გვენეტაძე ე. რუხაძე რ. „ნატო საერთაშორისო ურთიერთობებში“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2009;
6. გოცამე ელენე, „საქართველო საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში“, (გამოცემულია ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ) თბილისი, 2014;
7. რონდელი ალექსანდრე. „საერთაშორისო ურთიერთობები“, გამომცემლობა ნეკერი, თბილისი. 2008;
8. ყალიჩავა კახაბერ, „კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ შედარებითი ანალიზი“, თბილისი, 2021;
9. ჩიტაძე ნიკა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი, თბილისი, 2008;
10. ცინცაძე სოსო, უმულისი ულდის „ნატო და საქართველოს უსაფრთხოება“, ნატოს საინფორმაციო ცენტრი, 2008.
11. Agha Aleem, Achifrin Nick ‘Koran Burning at US Base Sparks Afghan Protest’, ABC News, 2012.
12. Albright Madeleine, Madam Secretary: A Memoir, New York: Miramax Books, 2003.
13. Alexeev D. (2014). Resetting relations with Russia. Journal of European Security and Defence Issues “Per Concordiam”. George C. Marshall European Center for Security Studies. Vol.4, issue 2.
14. Allin Dana NATO’s Balkan Interventions, New York: Oxford University Press, 2002;
15. Anatoly Chernyaev. My Six Years with Gorbachev, 2000.
16. Baker Luke, Quinn, ‘Andrew` NATO Allies Offer 7,000 Extra Troops for Afghan War’, Reuters, 04 December 2009;
17. Benini Aldo, Moulton Lawrence ‘Civilian Victims in An Asymmetrical Conflict: Operation Enduring Freedom, Afghanistan’, Journal of Peace Research, Vol. 41, No. 4, 2004;
18. Binder David ‘Bush Warns Serbs Not to Widen War’, The New York Times, 28 December, 1992;
19. Bland D. The Military Committee of the North Atlantic Alliance: A Study of Structure and Strategy, the Greenwood Publishing Group, 1991,
20. Bowman Steve, Dale Catherine ‘War in Afghanistan: Strategy, Military Operations, and Issues for Congress’, CRS Report for Congress, 2009.
21. Bumiller Elisabeth, Kopicki Allison ‘Support in US for Afghan War Drops Sharply, Poll Finds’, The New York Times, 26 March. 2012;
22. Cesa M. Allies Yet Rivals: International Politics in 18th Century Europe, Stanford: Stanford University Press, 2010,

23. Chernomyrdin Viktor, 'Comments: Bombs Rule Out Talk of Peace', The Washington Post, 1999;
24. Chossudovsky Michel 'NATO's War of Aggression in Yugoslavia: Who Are the War Criminals?', Global Research, 1999;
25. Clark Wesley Waging Modern War: Bosnia, Kosovo and the Future of Combat, New York: Public Affairs. 2001;
26. Conetta Carl 'Strange Victory'. 2002
27. Cooper Helene 'Putting Stamp on Afghan War, Obama Will Send 17,000 Troops', The New York Times, 17 February. 2009;
28. Daalder Ivo H. NATO in the 21st Century: What Purpose, What Missions? Brookings Website. 1999;
29. Dempsey Gary 'An Accomplice to War in Kosovo?', Cato Institute, 1998
30. Dempsey Judy (2002).
31. Elsie Robert Historical Dictionary of Kosovo, Lanham: Scarecrow Press, 2004;
32. Entous Adam, Barnes Julian (2014) 'US Military Proposal Seeks Shorter Afghan Stay', The Wall Street Journal, 21 January.
33. Erlanger Steven 'Albright Warns Serbs on Kosovo Violence', The New York Times, 1998
34. Felkay Andrew Yeltsin's Russia and the West, Westport: Praeger Publisher, 2002;
35. Fitchett Joseph 'NATO Agrees to Help New EU Force', The New York Times, 16 December. 2002;
36. Foxall, A. (2014). A fateful Summit: The future of NATO's relationship with Russia. Policy Paper No.1. Russia Studies Centre: The Henry Jackson Society.
37. Garamone Jim 'More NATO Troops Needed in Afghanistan, Gates Says', American Forces Press Service, 2008;
38. Gearan Anne 'Joe Biden, In Leaked Memo, Told Obama Afghanistan Plan Flawed', Huff Post, 2012;
39. Goldgeier, M.J. 2010. The future of NATO. Council Special Report No.51. Council on Foreign Relations. International Institutions and Global Governance Program.
40. Graham Robert, Simonian Haig, 'Chirac Cautions Washington Against Unilateral Use of Force', The Financial Times, 2002
41. Hallams 'NATO at 60: Going Global?', International Journal, Vol. 64, No. 2, 2009;
42. Hallams Ellen The United States and NATO since 9/11: The Transatlantic Alliance Renewed, London: Routledge, (2010)
43. Hellmann G., Wolf R., Neo-realism, Neo-liberal Institutionalism, and the Future of NATO', 1993, Security Studies, Vol. 3, No. 1,
44. Hoehn Andrew R., Harting Sarah Risking NATO: Testing the Limits of the Alliance in Afghanistan, Santa Monica: RAND, 2010;
45. Holsti O. T. Hopmann, J. Sullivan, Unity and Disintegration in International Alliances: Comparative Studies, New York: Wiley, 1973,
46. Hosmer Stephen, The Conflict Over Kosovo: Why Milosevic Decided to Settle When He Did, Santa Monica: RAND, 2001;
47. Ifantis K, NATO's Strategic Direction after Riga: NATO's Post-Cold War Adaption', International Journal, 2007, Vol. 62, No. 3,
48. Ignatieff Michael 'Nation-Building Lite', The New York Times, 28 July. 2002;

49. Johnson Rebecca and Zenko Micah 'All Dressed Up and No Place to Go: Why NATO Should Be on the Front lines in the War on Terror', *Parameters*, Winter 2002-03, 2002;
50. Kagan Robert, *Paradise and Power: America and Europe in the New World Order*, New York: Random House Large Print. 2003
51. Keohane R., *International Institutions and State Power: Essays in International Relations Theory*, Boulder: Westview Press, 1989,
52. Khan Waj 'US Withdrawal Means Afghans Celebrate Eid with Smaller, Cheaper, Animals', *NBC News*, 2013;
53. Kim Julie, Woehrel Steven *Kosovo and US Policy: Background to Independence*, CRS Report to Congress. 2008;
54. Kleine M. & Major C. (2015). Perspectives for NATO-Russia relations. Forms of confrontations dominate - but dialogue not excluded. SWP Comments. German Institute for International and Security Affairs. November 2015.
55. Krieger Heike *The Kosovo Conflict and International Law: An Analytical Documentation 1974-1999*, Cambridge: Cambridge University Press, 2001;
56. Landler Mark 2012;
57. Lavrov, S. (2013). Russia-France, Russia-Europe: partnership horizons. Magazine "Russia in Global Affairs". 23 May 2013.
Avaialbale at: http://www.mid.ru/en/foreign_policy/rso/asset_publisher/0vP3hQoCPRg5/content/id/108766 [accessed 12 April 2017]
58. Liska G. *Nations in Alliance: The Limits of Interdependence*, Baltimore: Johns Hopkins Press, 1962,
59. Lobe Jim 'Conflict-Kosovo: Dealing While Denouncing', *Inter Press Service*, 28 March. 1999
60. Ludsin Steven 'Kosovo, Genocide and the Dayton Agreement', *The Wall Street Journal*, 1 December, 2005;
61. Lukyanov, F. (2014). Russia's asymmetrical response: global aikido. In Saunders, Paul J. (ed.). *Costs of a New Cold War: the U.S. - Russia confrontation over Ukraine*. Center for the National Interest. Washington, DC.
62. Mackinder H. *The Geographical Pivot of History*, *The Geographical Journal*, Vol. XXIII, No. 4
63. Mather Ian 'West Outgrows NATO Paper Tiger', *The Scotsman*, 24 November. 2002;
64. McCalla R. 'NATO's Persistence after the Cold War', *International Organization*, 1996, Vol. 50, No. 3,
65. Mearsheimer J. 'Back to the Future: Instability in Europe after the Cold War', *International Security*, 1990, Vol. 15, No. 4,
66. Meghashyam Mali 'Carney: No Obama Plan to Withdraw All US Troops from Afghanistan by 2014', *The Hill*, 3 September. (2012)
67. Michael Mandelbaum (1999)
68. Monaghan, A. (2011). Limited Partnership: Despite Fundamental Disagreements, NATO Seeks to Pull Russia Closer. *Internationale Politik–Global Edition* 12, (May-June). (pp. 22-26).
69. Moran Michael 'Terrorist Groups and Political Legitimacy', *Council on Foreign Relations*, 2006

70. Morelli Vincent, Belkin Paul 'NATO in Afghanistan: A Test of the Transatlantic Alliance', CRS Report for Congress. 2009;
71. Morrow D. James. 'Alliances and Asymmetry— An Alternative to the Capability Aggregation Model of Alliances', *American Journal of Political Science*, 1991, Vol. 35, No. 4,
72. Moskowitz Eric and Lantis Jeffrey, 'Conflict in the Balkans' in Karl Inderfurth and Loch Johnson (ed.) *Fateful Decision: Inside the National Security Council*, New York: Oxford University Press, 2004;
73. Mulrine Anna 'In Afghanistan, the NATO-led Force is 'Underresourced' for the Fight Against the Taliban', *US News*, 2008.
74. Nichols Michelle 'US Drawdown Begins in Afghanistan', *Reuters*, 15 July. (2011)
75. Obama 'Remarks by the President on A New Strategy for Afghanistan and Pakistan', 27 March. (2009)
76. Owens William, *Lifting the Fog of War*, Baltimore: Johns Hopkins University Press, 2001;
77. Padrtová, B. (2012). NATO-Russia relations. In Ondrejcsák, R. & Gôrka-Winter, B. (Eds.). *NATO's future partnerships*. Bratislava Warsaw: Centre for European and North Atlantic Affairs, Polish Institute of International Affairs. Available at: <http://cenaa.org/analysis/nato-russia-relations/> [accessed 5 February 2017]
78. Petras James, 'NATO: Saving Kosovo by Destroying It', *Economic and Political Weekly*, 5 June, 1999;
79. President George W. Bush 'Address to a Joint Session of Congress and the American People', 20 September. (2001)
80. President George W. Bush 'President Bush Previews Historic NATO (2002)
81. President George W. Bush 'President Bush Previews Historic NATO (2002)
82. President George W. Bush 'Presidential Address to the Nation', 7 October. (2001)
83. President Obama 'Remarks by the President on Osama Bin Laden', 2 May. (2011)
84. President Obama 'Remarks by President Obama and President Hamid Karzai of Afghanistan at Signing of Strategic Partnership Agreement', 2 May. (2012)
85. President Obama 'Remarks by President Obama in Address to the Nation from Afghanistan' (2012)
86. President Obama 'Remarks by the President on the Way Forward in Afghanistan', 22 June. (2011)
87. R.De Castro, 'Special Relations and Alliance Politics in Philippine-US Security Relations, 1990-2002, 2003, *Asian Perspective*, Vol. 27, No. 1, pp.
88. Reagan R. (1983) 'State of the Union Message', *The New York Times*, 26 January.
89. Rebecca and Micah 'All Dressed Up and No Place to Go: Why NATO Should Be on the Front lines in the War on Terror', *Parameters*, Winter 2002-03,
90. Richardson L. *When Allies Differ: Anglo- American Relations During the Suez and Falklands Crises*, Basingstoke: Macmillan, 1996.
91. Ricks Thomas E. 'NATO Allies Trade Barbs Over Iraq; Rumsfeld: Critics Are Understanding Alliance's Strength', *The Washington Post*, 9 February. (2003)
92. Rogel Carole, *The Breakup of Yugoslavia and Its Aftermath*, Westport: Greenwood Press, 2004;

93. Rogel Carole, 'Kosovo: Where It All Began', *International Journal of Politics, Culture, and Society*, Vol. 17, No.1, 2003;
94. Ronzitti Natalino 'Lessons of International Law from NATO's Armed Intervention Against the Federal Republic of Yugoslavia', *The International Spectator*, Vol. XXXIV, No. 3, 1999;
95. Rouleau Eric, 'French Diplomacy Adrift in Kosovo', *Le Monde Diplomatique*, December, 1999
96. Rumsfeld Donald 'Statement of the Secretary of Defence', 7 October. 2001
97. Schmitt Eric 'General Calls for More US Troops to Afghanistan to Avoid Afghan Failure', *The New York Times*, 2009;
98. Schroeder W. Paul. 'Alliances, 1815-1945: Weapons of Power and Tools of Management', 1979.
99. Schweller L. Randall. 'Bandwagoning for Profit: Bringing the Revisionist State Back In', *International Security*, 1994, Vol. 19, No. 1, p. 107.
100. Shaughnessy Larry 'Allen: US Troop Drawdown from Afghanistan to Begin 'Very Shortly'', *CNN*, 23 May. (2012)
101. Sherr, J. (2011). *NATO and Russia: doomed to disappointment?* NATO Review.
102. Shimko Keith, *The Iraq Wars and America's Military Revolution*, New York: Cambridge University Press, 2010;
103. Silber Laura, Little Allan *Yugoslavia: Death of a Nation*, New York: Penguin Books, 1997;
104. Sloan Stanley *NATO, the European Union and the Atlantic Community: The Transatlantic Bargain Reconsidered*, Lanham: Rowman and Littlefield Publishers, 2003;
105. Smith John 'No Plans for Complete Withdrawal from Afghanistan, ISAF General Says', *Stars and Stripes*, 3 September. (2013)
106. Smith, J. and Twardowski, A. (2017). *The future of U.S.-Russia relations*. Center for a new American Security. 11 January 2017. Available at: <https://www.cnas.org/publications/reports/the-future-of-u-s-russia-relations> [accessed 12 April 2017]
107. Snyder H. Glenn. 'The Security Dilemma in Alliance Politics', 1984.
108. Solana Javier, 'NATO's Success in Kosovo', *Foreign Affairs*, Vol. 76, No. 6, 1999;
109. Solana Javier, 'Statement on Exercise "Determined Falcon"', NATO, 1998;
110. Stanley Sloan *NATO, the European Union and the Atlantic Community: The Transatlantic Bargain Reconsidered*, Lanham: Rowman and Littlefield Publishers. (2003)
111. Stephen Hosmer *The Conflict Over Kosovo: Why Milosevic Decided to Settle When He Did*, Santa Monica: RAND, (2001)
112. Stolberg Sheryl Gay, Cooper Helene 'Obama Adds Troops, but Maps Exit Plan', *The New York Times*, 1 December. (2009)
113. Stuart Allan, Zelizer Barbie *Reporting War: Journalism in Wartime*, London: Routledge, 2004;
114. Stuart D., 'NATO's Future as a Pan- European Security Institution', 1993, *NATO Review*, Vol. 41, No. 4
115. Summit in Prague Speech: Remarks by the President to Prague Atlantic Student Summit', 20 November.

116. Suslov, D. (2013). The US-Russia relations after the “reset”: pragmatism or a new confrontation? Basic Research Program. Working Papers. Series: International relations. WP BRP 04/IR/2013. National Research University Higher School of Economics (HSE).
117. Thompson Mark ‘Petraeus Hearings: Easy Confirmation, Difficult Task’, *Time*, 29 June. Bob Woodward (2010)
118. Trenin, D. (2011). NATO and Russia today: interview with Dmitri Trenin. NATO Review.
119. Vann Bill ‘The Holbrooke-Milosevic Agreement on Kosovo’, World Socialist Web Site, 1998;
120. Wallander A. Celeste., Institutional Assets and Adaptability: NATO after the Cold War’, *International Organization*, 2000, Vol. 54, No. 4,
121. Walt M. Stephen. *The Origins of Alliances*, Ithaca: Cornell University Press, 1987,
122. Walter Roberts *Tito, Mihailović, and the Allies, 1941-1945*, Durham: Duke University Press, 1987;
123. Waltz Kenneth, *Theory of International Politics*, 1979.
124. Webber Mark ‘The Kosovo War: A Recapitulation’, *International Affairs*, Vol. 85, No. 3, (2009)
125. Weinstain B. Franklin., ‘The Concept of a Commitment in International Relations’, the *Journal of Conflict Resolution*, 1969, Vol. 13, No.1,
126. Wesley Clark (2001) *Waging Modern War: Bosnia, Kosovo and the Future of Combat*, New York: Public Affairs.
127. Winston, S. *Churchill, The Second World War – Triumph and Tragedy*, (London, U.K: The educational book company ltd. 1953), p. 277.
128. Wolfers Arnold., *Alliance Policy in the Cold War*, Baltimore: Johns Hopkins Press, 1959.
129. Woodward Bob *Obama’s Wars*, New York: Simon and Schuster 2010
130. Woodward Bob, *Plan of Attack*, New York: Simon and Schuster, 2004.

ელექტრონული წყაროები

1. ბორჯესი ანელიზ. (ნოემბერი, 2021) „თალიბანის დაბრუნება“ მოძიებულია 15 მაისი, 2022 (<https://euronewsgeorgia.com/2021/11/12/talibanis-dabruneba/>)
2. გვაძაბია მიხეილ. (აგვისტო, 2022) „თალიბანის 1 წელი: როგორ შეიცვალა ცხოვრება ავღანეთში“ მოძიებულია 16 ოქტომბერი, 2022) <https://netgazeti.ge/life/625658/>
3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. „მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია“, მოძიებულია 15 დეკემბერი 2022. <https://mfa.gov.ge/nato/119142-mnishvnelovani-movlenebis-qronologia>
4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. „ნატო-საქართველოს ურთიერთობები“, მოძიებულია 10 იანვარი 2023. <https://mfa.gov.ge/nato/232016-saqartvelo-nato-s-urtiertobebi>
5. საქართველო და ნატო საინფორმაციო ცენტრი. მოძიებულია 22 აგვისტო 2022, <https://old.infocenter.gov.ge/nato-peacekeeping-missions/>
6. მომზადებულია, ახალი ამბების სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ მიერ 2008 წლის 1-26 აგვისტოს გავრცელებული მასალების მიხედვით. (აგვისტო. 2010) „2008 წლის აგვისტოს ომის ქრონოლოგია“, მოძიებულია 20 მარტი 2022, <https://www.ghn.ge/news/20209-2008-tslis-agvistos-omis-kronologia>
7. მომზადებულია, ახალი ამბების სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ მიერ 2008 წლის 1-26 აგვისტოს გავრცელებული მასალების მიხედვით. „2008 წლის აგვისტოს ომი-ქრონიკა“. <https://ghn.ge/news/230819-2008-tslis-agvistos-omi-kronika>
8. კაკაშვილი ლელა (იანვარი, 2020) „შეკავების პოლიტიკა, „ტრუმენის დოქტრინა“, „მარშალის გეგმა“, „ჟდანოვის დოქტრინა“, „ორი ბანაკის თეორია“. მოძიებულია 10 თებერვალი 2021, <http://www.ianusi.com/2020/01/blog-post.html>
9. წიქარიშვილი გიორგი (სექტემბერი, 2021) „ 20 წელი 9/11-შემდეგ ყველაზე სისხლისმღვრელი ტერაქტის ისტორია“. მოძიებულია 15 აპრილი 2022, <https://tabula.ge/en/news/672828-20-celi-911-shemdeg-qvelaze-siskhlismghvreli>
10. ჯაფარიძე მარი. (იანვარი, 2021) „აგვისტოს ომის ქრონოლოგია და გზა სტრასბურგამდე რამ გამოიწვია მძაფრი რეაქციები კრემლში“. მოძიებულია 12

ოქტომბერი 2022. <https://old.primetime.ge/agvistos-omis-qronologia-dagzastraburgamde-ram-gamoitsvia-mdzafri-reaqtsiebi-kremlshi>

11. მუშკუდიანი ანანო. (აგვისტო, 2021) „20 წლიანი ომი ავღანეთში რას ვერ მიაღწია ამერიკამ?“. მოძიებულია 15 ოქტომბერი 2022. <https://on.ge/story/79985-20-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9B>